პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 აგვისტო ორშაბათი 2012 №202 (13 808) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეოთხეც უნდა მოვიგოთ!




## დღეს ალმერეში, 21:30
## ჰოლანდია-საქართველო
## დავწყვიტოთ ტიტები

წინასამატჩო 13

# დინამო ლიდერია!




ჯაბა დვალმა (№12) დინამოში გოლით დაიწყო
ფოტო: www.fcdinamo.ge

# იმერული დერბი გეგუჩაძემ მოიგო



ფოტო: www.fczestafoni.ge

# რეალი მინუს ხუთი




7

# ინტერი და კასანო მოგებით იწყებენ




10



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# დილა: ისევ ნაგება

2-4

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. III ტური

26.08.12. ქუთაისი. ტორპედო. 4 500 მაყურებელი

ტორპედო **1**

ზესტაფონი **0**

1:0 დათუნაიშვილი (90.ფანცულაიას პასით)

| ტორპედო 4-4-2 | ზესტაფონი 4-4-2 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | რ. კვასხვაძე |
| რიგვავა | ლონლაძე |
| კვახაძე | თედ. გრიგალაშვილი |
| ზ. ჯელიძე | კობახიძე |
| გურული | თორ. გრიგალაშვილი |
| ე. გრიგალაშვილი | აფციაური |
| დოლიძე | შარიქაძე |
| კუხიანიძე | გორგიაშვილი |
| გ. დათუნაიშვილი | მილხრაუმი |
| ბერიაშვილი | კვერნაძე |
| საბანაძე | ოვონიკოკო |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. გეგუჩაძე | გ. ქიაბრიშვილი |

**ტორპედო**

52. კუხიანიძე - **ვ. ბოლქვაძე**
72. დოლიძე - **ბიგაური**
84. გრიგალაშვილი - **ფანცულაია**

სათადარიგოები: ქვილითაია, ტაბატაძე, შერგელაშვილი, ტულუში

**ზესტაფონი**

17. მილხრაუმი - **რაჟამაშვილი**
58. კვერნაძე - **დ. მუჯირი**
72. აფციაური - **სარდალიშვილი**

სათადარიგოები: მამალაძე, ბაბუნაშვილი, ელიავა, კაჭკაჭიშვილი

გაფრთხილება: თედ.გრიგალაშვილი (44), ლონლაძე (66)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

# დრამა ბოლო წუთზე

იმერული "დერბის" მნიშვნელობაზე ბევრს არ ვისაუბრებთ. ,,ტორპედოსა" და ,,ზესტაფონის" შეხვედრებს ინტრიგა არასდროს აკლდა და გამონაკლისი ეს მატჩიც არ ყოფილა.

წინა ტურში ორივე გუნდმა მარცხი განიცადა. კიდევ ერთი წარუმატებლობა ორივეს რთულ მდგომარეობაში ჩააგდებდა. შეხვედრა ისეთი გამოდგა, როგორიც "დერბის" ეკადრება: დაძაბული და დრამატული, განსაკუთრებით კი მისი ბოლო წუთები. საკმაოდ უხვმომენტიანი მატჩი თითქოსდა უგოლოდ უნდა დასრულებულიყო, როცა არბიტრის მიერ კომპენსირებულ დროში შეცვლაზე შესულმა **გიორგი ფანცულაიამ** პოზიციურად **თემურ ლონლაძეს** ზედიზედ ორჯერ აჯობა და **გიორგი დათუნაიშვილს** ზუსტი გადაცემა გაუკეთა, რომელმაც ზესტაფონელთა კარში გამარჯვების გოლი გაიტანა. გულშემატკივართა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ისინი **გია გეგუჩაძის** სახელს სკანდირებდნენ, რომელმაც თავის ყოფილ ასისტენტს **გია ჭიაბრიშვილს** სეზონის პირველი "დუელი" მოუგო და ამ მნიშვნელოვანი გამარჯვებით სატურნირო მდგომარეობაც გაიუმჯობესა. ახლა კი, სჯობს თამაშის პერიპეტიებს თავიდანვე მივყვეთ.

ქუთაისელთაგან განსხვავებით, რომელთა რიგებშიც ,,დინამოსთან" მარცხის შემდეგ მხოლოდ ორი ცვლილება მოხდა, ,,მეტალურგთან" ნაგებით უკმაყოფილო გია ჭიაბრიშვილმა რამდენიმე ფეხბურთელი სათადარიგო სკამზე გაამწესა, მათ ნაცვლად კი ,,ტორპედოს" წინააღმდეგ ძირითადში **თეიმურაზ ლონლაძე, მამუკა კობახიძე, ლევან შარიქაძე და ოთარ კვერნაძე** გაამწესა. ჭიაბრიშვილმა სათამაშო სქემაც შეცვალა და ქუთათურებს ორი გამოკვეთილი ფორვარდით დაუპირისპირდა. მის მსგავსად გეგუჩაძემ ,,ტორპედო" კლასიკური 4-4-2-ით ათამაშა.

შეხვედრა მასპინძლების შეტევებით დაიწყო და პირველი ხიფათიც მათ შექმნეს: **ნიკა საბანაძეს გრიგოლ დოლიძის** გადაცემის შემდეგ კარში ოდნავ ძლიერად რომ დაერტყა, სწრაფ გოლს ვიხილავდით. საბანაძის მსგავსად აქტიური იყო ქუთაისელთა მეორე ფორვარდი **გიორგი ბერიაშვილი,** რომელმაც ზედიზედ ორჯერ მწვავედ შეუტია ზესტაფონელთა კარს. პირველ ჯერზე მისი დარტყმა **როინ კვასხვაძემ** მოიგერია, მეორე ცდა კი უზუსტო გამოდგა. ზესტაფონელებს რაც შეეხებათ, **გელაშვილი-დვალი-შოთა გრიგალაშვილის** შესანიშნავი ,,ტრიოს" დაკარგვის შემდეგ ამ გუნდის შეტევითი პოტენციალი საგრძნობლად დასუსტდა. ფეროელებს ბურთის კონტროლი და მეტოქის დაცვაში ,,ნაპრალების" მოძებნა ძალიან უჭირდათ. პირველ ტაიმში მათ საგოლე მომენტი არც შეუქმნიათ. ტაიმის შუაწელიდან კი ინიციატივა მთლიანად გეგუჩაძის შეგირდების ხელში გადავიდა. ქუთათურებს უფრო აგრესიულად რომ ემოქმედათ, ადრევე დაწინაურდებოდნენ. საბანაძეს კიდევ ერთხელ მიეცა გატანის შანსი, ქუთაისელი ფორვარდი მცველებს კარგად დაუსხლტდა და კარშიც დაარტყა, მაგრამ კვასხვაძემ კარგი რეაქცია გამოავლინა და საკუთარი გუნდი იხსნა. მალე საბანაძემ სტუმრები კიდევ აანერვიულა, მაგრამ მისი მოჭრილი დარტყმა ხარიხას გადასცდა. მეორე ტაიმი გაცილებით დინამიკური და კარგი სანახავი გამოდგა. თამაშის განახლებისთანავე სტუმრებს ქუთაისელთა დასჯა შეეძლოთ: **რაჟამაშვილის** სწრაფი გარღვევისა და გადაცემის შემდეგ **ოვონიკოკომ** მეკარისგან შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი, მაგრამ სიზუსტემ მცირედით უმტყუნა. მალევე **თორნიკე გორგიაშვილის** დარტყმა მეკარე **მიგინეიშვილმა** უკუაგდო. რიონისპირელებმა არანაკლებ სახიფათო შეტევით უპასუხეს: ქუთაისელთა კუთხურს **ლექსო კვახაძის** თავური დარტყმა მოჰყვა, რომელიც კვასხვაძემ მოიგერია, დამატებაზე ბერიაშვილმა კი გაიტანა, მაგრამ თამაშგარეში იმყოფებოდა. მოგვიანებით ქუთათურებმა კიდევ ერთხელ შეარხიეს ზესტაფონელთა კარის ბადე, მაგრამ არბიტრმა მასპინძლები შეტევაში დააჯარიმა და ეს გოლიც არ ჩაითვალა, რასაც ქუთაისელთა პროტესტი მოჰყვა. ამასობაში დავით რაჟამაშვილმა, რომელმაც **დავით მუჯირთან** ერთად ზესტაფონელთა თამაში აშკარად გამოაცოცხლა, ოვონიკოკოს კარგად ჩაუწოდა ბურთი, თუმცა ზესტაფონელთა ნიგერიელმა ფორვარდმა ხელსაყრელი სიტუაციიდან უხერხულად დაარტყა და კიდევ ერთი შანსი გაუშვა ხელიდან. მატჩის ბოლო 10 წუთი ძალზედ დაძაბული გამოდგა. **ელგუჯა გრიგალაშვილისა** და საბანაძის ლამაზ კომბინაციას ეს უკანასკნელი აგვირგვინებდა, მაგრამ ისევ სუსტად დაარტყა. შემდეგ ბერიაშვილს ჰქონდა ანგარიშის გახსნის შესანიშნავი შანსი, ქუთაისელთა ფორვარდი მცველებს კარგად გაექცა, მაგრამ ახლო მანძილიდან ხეირიანად ვერ დაარტყა და კვასხვაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია. ზესტაფონელებმა მუჯირის ორი სახიფათო შორეული დარტყმით უპასუხეს, შემდეგ ისევ მასპინძლები მოექცნენ ყურადღების ცენტრში, **ვალერი ბოლქვაძის** ახლოდან დარტყმულს მცველი გადაეღობა და ,,ზესტაფონი" გოლს გადაურჩა. თუმცა, ქუთაისელთა მონდომებამ შედეგი მაინც გამოიღო, რაზეც თავიდანვე ვისაუბრეთ.

**მატჩის შემდეგ**

**გია ჭიაბრიშვილი**(ზესტაფონი) : ,,რთული თამაში იყო, მოწინააღმდეგე ძალიან კარგად მოქმედებდა. მომენტები ჩვენც გვქონდა, მაგრამ მეტოქე მცირე უპირატესობას ფლობდა და ეს კარგად გამოიყენა. სატრანსფერო ფანჯრის დასრულებამდე ვაპირებთ უცხოელი თავდამსხმელის დამატებას, რომელიც ამ დღეებში ზესტაფონში უნდა ჩამოვიდეს .

**გია გეგუჩაძე**(ტორპედო): ,,ძალიან კარგი და გახსნილი თამაში იყო, წესით უხვგოლიანი მატჩი უნდა ყოფილიყო, რადგან ბოლოს ორივე გუნდის ფეხბურთელები ბევრ შეცდომას უშვებდნენ. ალბათ, ჩვენ მეტი მონდომებისა და თავდადების წყალობით მივაღწიეთ წარმატებას."

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



ფოტო: fctorpedo.ge

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 3 | 3 | 0 | 0 | 7 | 2 | 9 |
| 2 | ჩიხურა | 3 | 3 | 0 | 0 | 6 | 2 | 9 |
| 3 | ტორპედო | 3 | 2 | 0 | 1 | 4 | 3 | 6 |
| 4 | მეტალურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 2 | 1 | 6 |
| 5 | სიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 5 | 4 | 5 |
| 6 | ზუგდიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 4 |
| 7 | ზესტაფონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3 | 3 | 3 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 0 | 2 | 1 | 2 | 3 |
| 9 | მერანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2 | 4 | 3 |
| 10 | კოლხეთი1913 | 3 | 0 | 2 | 1 | 1 | 3 | 2 |
| 11 | დინამო (ბთ) | 3 | 0 | 1 | 2 | 2 | 7 | 1 |
| 12 | დილა | 3 | 0 | 0 | 3 | 4 | 7 | 0 |

## ამონარიდი რეგლამენტიდან

*თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);

2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);

7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

**IV ტური**

**2 სექტემბერი, კვირა**

მერანი-ჩიხურა
სიონი -ვიტ ჯორჯია
ზუგდიდი-დილა
დინამო (თბ)-კოლხეთი
მეტალურგი-ტორპედო
ზესტაფონი-დინამო (ბთ)



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# უსიამოვნო სტარტის საგანგაშო გაგრძელება

26.08.12. თბილისი. ბასა. 400 მაყურებელი

დილა **2**

სიონი **3**

0:1 ჯიქია (2), 0:2 ქუცურუა (4), 1:2 კაციტაძე (17), 2:2 ახალკაცი (65), 2:3 ჯიქია (70)

| დილა 4-3-3 | სიონი 4-2-3-1 |
|---|---|
| სკანდერი | ბობღიაშვილი |
| შ. კაშია | ორბელაძე |
| სალუქვაძე | სვანიძე |
| გ. ონიანი | ქემოკლიძე |
| ნ. ხიზარიანი | ჩიკვილაძე |
| კაციტაძე | გ. ოქროპირიძე |
| კახელიშვილი | ხოჯუა |
| გოგუა | მანწკავა |
| გორელიშვილი | ჭედია |
| ილურიძე | ქუცურუა |
| ვაწაძე | ჯიქია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| თ. შალამბერიძე | ხ. ჯაგიდისი |

**დილა**

38. გორელიშვილი – **არზიანი**
46. გოგუა – **კლიმიაშვილი**
56. კაციტაძე – **ახალკაცი**

**სიონი**

64. ჭედია – **ისიანი**
68. ქუცურუა – **ფეიქრიშვილი**
73. ჯიქია – **უგულავა**

გაფრთხილება: მანწკავა (21), ჩიკვილაძე (30), ოქროპირიძე (51)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

"დილამ", რომელიც ჯერ კიდევ რჩება საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად, ახალ ჩემპიონატში ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია, თანაც მესამედ წააგო მასპინძლის სტატუსით. ევროთასებზე მონაწილეობა შიდა ასპარეზზე წარუმატებლობას მეტ-ნაკლებად ამართლებს, მაგრამ ასეთი შედეგი უკვე ნამეტანია – სხვა ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, "დილა" ლიდერ "დინამოს" უკვე ცხრა ქულით ჩამორჩება, რაც ნამდვილად არ არის იოლად აღმოსაფხვრელი დანაკლისი. რაც არანაკლებ ნიშანდობლივია, გუშინ საქართველოს თასის მფლობელის თამაშის ხარისხი აშკარად არ იყო სახარბიელო. ასევე უკეთესი გარჯა მოეთხოვებოდათ "დილას" ლიდერებსაც და იმ ფეხბურთელებსაც, რომელთა გამოჩენა "მარიტიმუსთან" ნაკლებად სავარაუდოა.

"სიონისთვის", რომელმაც ჩემპიონატი ორი საშინაო ფრით დაიწყო, გუშინდელი ქულაც მშვენიერი შედეგი იქნებოდა, მაგრამ ბოლნისელებმა მიზანი გადაჭარბებულად შეასრულეს და უმაღლესი ლიგის ლიდერებშიც კი გაერივნენ.

მატჩის დებიუტი ბოლნისელთათვის მეტისმეტად შთამბეჭდავი, გორელთათვის კი გამაოგნებელი გამოდგა. "სიონმა" ორი სწრაფი გოლით მეტოქე უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო – **რევაზ ჯიქიამაც და გიორგი ქუცურუამაც** თავი ახლო მანძილიდან შესრულებული დარტყმებით გამოიჩინეს.

"დილა" მყის გააქტიურდა და ერთი ბურთი მალევე გაქვითა – მეტოქის საჯარიმოში **გიორგი ონიანმა** იბრძოლა, დასარტყმელ პოზიციაზე კი **ვალერიან კაციტაძე** აღმოჩნდა. პირველი ტაიმის დასრულებამდე **გოგიტა გოგუამ** და **გიორგი კახელიშვილმა** სცადეს წონასწორობის აღდგენა, მაგრამ მათმა მცდელობამ მიზანს ვერ უწია.

"დილა" შესვენების შემდეგაც ცდილობდა დანაკარგის ანაზღაურებას და რიგ ეპიზოდში ხიფათსაც ქმნიდა. შეცვლაზე შესულმა **რომან ახალკაცმა** 65-ე წუთზე **გიორგი ილურიძის** გადაცემით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა.

თითქოს მატჩი კვლავ გორელთა კარნახით უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ სიონელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მეტოქეს თამაშის სადავეები არ დაანებეს და როცა ყველა ელოდა, რომ სტუმრები საყაიმო შედეგის შესანარჩუნებლად იბრძოლებდნენ, კვლავ "სიონი" დაწინაურდა. **გიორგი ოქროპირიძემ** მოედნის სიღრმიდან შესანიშნავი პასით მეკარესთან პირისპირ ჯიქია გაიყვანა და ამ უკანასკნელს დუბლის შესრულება არ გასჭირვებია – 2:3.

"დილას" შეთამაშების პრობლემა ამის შემდეგაც ეტყობოდა, მაგრამ გათანაბრება მაინც შეეძლო – **ზურაბ არზიანის** მიერ შესრულებული საჯარიმო ხარიხას მოხვდა, კახელიშვილმა კი თავური არაზუსტად დაარტყა.

"დილას", ბუნებრივია, პორტუგალიური ბარიერის დაძლევასა და ევროპის ლიგის ჯგუფში თამაშს ვუსურვებთ. თუ ასე მოხდება, გორელებს ორ ფრონტზე ბრძოლის სწავლა მართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შიდა სარბიელზე წარმატების მიღწევა შემდგომშიც გაუჭირდებათ. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მთავარ კონკურენტებთან დაპირისპირება "დილას" წინ აქვს.

"სიონზე" კი ეს სამი ქულა ალალია – მეტოქის საფიქრალი და ევროპული ამბიციები ბოლნისელთა წარმატებას ოდნავადაც ვერ აკნინებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. III ტური

25.08.12. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 500 მაყურებელი

**დინამო (ბთ) 0**

**დინამო (თბ) 3**

0:1 დვალი (7. ხმალაძის პასით), 0:2 ალვარო (73. დვალის პასით), 0:3 რობერტინიო (85. ჩისკოს პასით).

*გამოუყენებელი პენალტი:* თევდორაძე (82).

| დინამო (ბთ) 4-4-2 | დინამო (თბ) 4-4-2 |
|---|---|
| მამინაშვილი | ლორია |
| ფარტენაძე | სეთურიძე |
| ხუხია | გ. კვარაცხელია |
| მახარაძე | გველესიანი |
| მაკარიანი | გლიშიჩი |
| დიასამიძე | კობო |
| გოგიტიძე | ხმალაძე |
| ლობჟანიძე | ალვარო |
| თევდორაძე | მერებაშვილი |
| ბაციკაძე | ჩისკო |
| ჯორბენაძე | დვალი |
| მწვრთნელი: გ. გურული | მწვრთნელი: დ. უჰრინი |

**დინამო (ბთ)**

62. დიასამიძე - **სიჭინავა**
68. გოგიტიძე – **ა. მუჯირი**
29. ბაციკაძე - **აბუსელიძე**

*სათადარიგოები:* შენგელია, ნასუაშვილი, ქორიძე, ცანავა.

**დინამო (თბ)**

44. ხმალაძე – **ძარია.**
78. მერებაშვილი - **რობერტინიო**
89. ჩისკო - **კაკუბავა**

*სათადარიგოები:* სეფიაშვილი, ტვილდიანი, იაგუე, ვოსკობოინიკოვი

*გაფრთხილება:* თევდორაძე (67), ალვარო (82), გველესიანი (90).

*არბიტრი:* დ. ხარიტონაშვილი



სახიფათო მომენტი ბათუმელთა კართან ფოტო:fcdinamo.ge

# დინამო გალიდერდა

„დინამომ" ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა და ჩემპიონატს უდანაკარგოდ ლიდერობს. რაც უნდა უცნაური იყოს, აჭარაში დღეს სტადიონი არ არის, რომელიც უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. მაგრამ ამაზე მოგვიანებით. სწორედ ამის გამო, "ზესტაფონის" ყოფილი ლიდერის, **ჯაბა დვალის** დებიუტი "დინამოში" მისი ძველი კლუბის სტადიონზე შედგა და წარმატებული გამოდგა. აქვე ვიტყვით, რომ ზესტაფონელი გულშემატკივარი თავის ყოფილ "ჯილას" ძალიან თბილად შეხვდა.

ისედაც ცხადი იყო, რომ ფავორიტად **დუშან უჰრინის** გუნდი მიიჩნეოდა, მაგრამ ბათუმელთა თავკაცმა **გია გურულმა** ორი თავდამსხმელი დააყენა და მიუხედავად თბილისელთა უპირატესობისა, ნომინალური მასპინძლები დაცვაში ჩაჯდომით არ შემოიფარგლებოდნენ. ბათუმელებს ურიგო გუნდი არ ჰყავთ, მაგრამ გამოცდილება აკლიათ, შეხვედრის ბედი კი სტუმართა კლასმა გადაწყვიტა.

ტრიბუნაზე ორივე გუნდის მხარდამჭერები აქტიურობდნენ, მაგრამ სიცხემ და, ჩვენდა გასაოცრად, შელახულმა მოედანმა მეტოქეებს სწრაფი და ლამაზი ფეხბურთის დემონსტრირება ძალიან გაუძნელა.

თბილისელთა პირველივე აზრიანი შეტევა გოლით დასრულდა: **ლევან ხმალაძემ** ბურთი საჯარიმოში შეაყოლა **ჯაბა დვალს**, რომელმაც კარიდან გამოსულ მეკარეს თავზე გადაუგდო და ახალ-ძველი კლუბის მაისურით პირველივე შეხვედრაში გამოიჩინა თავი – 0:1.

ჯაბას მალე კიდევ ერთხელ მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ **შოთა მამინაშვილმა** კარგი რეაქცია გამოავლინა. ცხადია, დვალი ჯერ ახალ გუნდთან შეჩვეული არ არის, მაგრამ მაინც კარგად გამოიყურებოდა.

ბათუმელებმა მწვავე შეტევის განხორციელება მხოლოდ ტაიმის ბოლოს შეძლეს, მაგრამ საჯარიმოში დასარტყმელ პოზიციაზე დარჩენილმა **ვალერი თევდორაძემ** მომენტით ვერ ისარგებლა, შეყოვნდა და **გიორგი ლორიას** დარტყმის მოგერიება არ გასჭირვებია.

44-ე წუთზე ბათუმელები ვალდებულები იყვნენ, წონასწორობა აღედგინათ: **ნიკა დიასამიძის** დარტყმა ლორიამ მოიგერია, დამატებაზე კი **ამირან აბუსელიძესაც** აჯობა.

მეორე ტაიმში თბილისელთა უპირატესობა გამოიკვეთა: 59-ე წუთზე **ჩისკომ** დვალი მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ახალწვეულმა მომენტით ვერ ისარგებლა.

მალე **გიორგი მერებაშვილმა** შეუტია - მამინაშვილმა კვლავ კარგად ითამაშა. აქვე ვიტყვით, რომ მერებაშვილი მარცხენა ნახევარმცველის ამპლუაში აშკარად დაიკარგა. ცოტა უცნაური კი არის, დაცვით ფუქციებს რომ აკისრებენ – ეს ბიჭი ხომ შეტევებშია სასარგებლო.

"დინამომ" უპირატესობა მატჩის მიწურულს გაზარდა: 72-ე წუთზე ჩისკოს მიერ საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი კარში დვალმა გაგზავნა, **მიკელ ალვარომ** დაამატა და ანგარიში გაიზარდა – 0:2. ბათუმელთა აზრით, დინამოელი დარტყმის დროს თამაშგარეში იმყოფებოდა, მაგრამ არბიტრმა **დავით ხარიტონაშვილმა** გოლი ჩათვალა, რამაც მათი უკმაყოფილება გამოიწვია.

ამან ბათუმელები გატეხა და პენალტიც ვერ გამოიყენეს: ლორიამ თევდორაძის დარტყმა მოიგერია. მალე კი მესამეც გაუშვეს: ჩისკოს გადაცემით მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა **რობერტინიომ** ზუსტად დაარტყა და თბილისელთა გამარჯვება დააფიქსირა - 0:3.

**მატჩის შემდეგ:**

**დუშან უჰრინი** (თბილისის "დინამო"): *"მოვიგეთ, თუმცა თამაშის ხარისხი უკეთესის სურვილს მიტოვებს. უფრო მეტად შემტევი და აგრესიული ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, რაზეც ყოველდღიურად ვმუშაობთ. მოხარული ვარ, ჯაბა დვალი — კარგი ფორვარდი რომ შეგვემატა".*

**გია გურული** (ბათუმის "დინამო"): *"ფაქტია, რომ გამოუცდელი მოთამაშეები გვყავს და გაძლიერება გვჭირდება. მაგრამ დღეს ურიგოდ არ გვითამაშია. იყო ეპიზოდები, როდესაც კითხვები გაჩნდა, მაგრამ სანამ ამ ეპიზოდებს განმეორებაზე არ ვნახავ, მსაჯების გადაწყვეტილებებს ვერ შევაფასებ".*

**მერაბ მამულაშვილი**
ზესტაფონი-თბილისი

# განსხვავებული და შინაარსიანი ტაიმები

25.08.12. ფოთი. ფაზისი. 100 მაყურებელი

**კოლხეთი 1913 1**

**ზუგდიდი 1**

1:0 პ. დათუნაიშვილი (43), 1:1 გამეზარდაშვილი (60)

| კოლხეთი-1913 4-5-1 | ზუგდიდი 4-5-1 |
|---|---|
| ა. მიქაბერიძე | ძაგანია |
| ცხვიტარია | დ. ფოფხაძე |
| ფარულავა | ს. თოდუა |
| კოშკაძე | გამეზარდაშვილი |
| გაბუნია | აკობია |
| ქებაძე | დ. ბოლქვაძე |
| ცხადაია | კოშკაძე |
| ჩალაძე | კუტალია |
| პ. დათუნაიშვილი | წურწუმია |
| გ. კილასონია | რ. ონიანი |
| პავლიაშვილი | გაბედავა |
| მწვრთნელი დ. მახარაძე | მწვრთნელი ე. ქომეთიანი |

**კოლხეთი**

65. ცხადაია – **გოგონაია**
68. კრასოვსკი – **კვანტალიანი**
80. კილასონია – **ნაბრია**

*სათადარიგოები:* ბუბუტეიშვილი, ზ. ჩხეტიანი, მეგრელიშვილი, ხომასურიძე

**ზუგდიდი**

46. რ. ონიანი – **ტყემალაძე**
46. კუტალია – **ქობალია**
65. ბოლქვაძე – **სიხარულია**

სათადარიგოები: მერლანი, აფაქიძე, ბოიომო, შ. ლომია

გაფრთხილება: კოშკაძე (62), პავლიაშვილი (65), ცხვიტარია (73), ნაბრია (87)

გაძევება: წურწუმია (90)

არბიტრი: ჯ. ხორავა

მეგრულ დერბიში პირველი ნახევარი მასპინძელთა კარნახით წარიმართა. "კოლხეთმა" "ზუგდიდის" კარს თავიდანვე მწვავედ შეუტია. **პავლე დათუნაიშვილის** შორეული ძლიერი დარტყმა არაზუსტი გამოდგა. დათუნაიშვილის გარდა, შეტევაში კარგად ირჯებოდნენ **ჩალაძე, კრასოვსკი** და **პავლიაშვილი.**

ერთ ეპიზოდში **გიორგი კრასოვსკიმ** მეკარესთან პირისპირ **ჯემალ გაბუნია** გაიყვანა, რომელმაც ზუგდიდელთა მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო, თუმცა ვერც მან და ვერც **ილია პავლიაშვილმა** მიზანს ვერ მიაღწიეს.

სამაგიეროდ, პირველი ტაიმის მიწურულს ფაზისელები დათუნაიშვილის ზუსტი დარტყმით დაწინაურდნენ. პირველი ნახევრის დამატებულ წუთებზე **ლაშა ქებაძე** აღმოჩნდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ მცველებმა ივარგეს და დარტყმის საშუალება არ მისცეს.

როგორც "ზუგდიდის" პრესსამსახური გვატყობინებს, მეორე ტაიმში თამაშის სურათი რადიკალურად შეიცვალა და სტუმრები საგრძნობლად გააქტიურდნენ, მასპინძლებმა კი ინიციატივა დათმეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმართა კარის მიმართულებით **ლევან წურწუმიამ** სახიფათოდ დაარტყა და ბურთმა **არდალიონ მიქაბერიძის** კარს სანტიმეტრებში ჩაუქროლა, ცოტა ხანში კი შეცვლაზე შესულმა **ირაკლი ქობალიამ** აანერვიულა "კოლხეთის" ფეხბურთელები. ზუგდიდელთა ფორვარდისგან ცარიელ კარში გაგზავნილი ბურთი მცველებმა გამოიტანეს. ცოტა ხანში **გიორგი გაბედავას** შორეულმა დარტყმამ მეტოქის კარს ზემოდან გადაუქროლა.

ზუგდიდელებმა წონასწორობის აღდგენა სტანდარტული მდგომარეობიდან შეძლეს – 59-ე წუთზე წურწუმიას კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს თავით **დავით გამეზარდაშვილმა** მეტოქის კარში მიუჩინა ადგილი.

შეხვედრის ბოლოსკენ გამეზარდაშვილმა კვლავ გაიტანა, მაგრამ არბიტრმა **ჯენერი ხორავამ** თამაშგარე დააფიქსირა, რასაც მწვავე პროტესტი მოჰყვა ზუგდიდელი ფეხბურთელებისა და ქომაგებისგან. სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, როცა არბიტრმა მასთან კამათისთვის წურწუმია გააძევა მოედნიდან.

საბოლოოდ, მეტოქეები ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ, სტუმრად მოპოვებული ფრე კი "ზუგდიდის" აქტივში უნდა ჩავწეროთ.

**მატჩის შემდეგ**

**დავით მახარაძე** (კოლხეთი-1913): "პირველ ტაიმში კარგად გამოვიყურებოდით, რასაც ვერ ვიტყვი მატჩის მეორე ნახევარზე. "ზუგდიდი" კარგად დაკომპლექტებული გუნდია და ველოდით კიდეც რთულ თამაშს. შედეგით კი კმაყოფილი ვარ".

**ელგუჯა ქომეთიანი** (ზუგდიდი): "პირველი ტაიმი აშკარად ჩავაგდეთ და მასპინძლებს ამის გამოყენება შეეძლოთ. მეორე ტაიმში კი თამაშში გარდატეხის შეტანა შევძელით, მეტოქე საკუთარ ნახევარს მივაჯაჭვეთ, რამაც შედეგიც გამოიღო. ეს შედეგი ლოგიკურად მიმაჩნია".

**ლევან ჯანეზაშვილი**

ახალწვეული

# ჯაბა დვალი: მადლობა გულშემატკივარს!

**ბათუმის "დინამოსთან" ჩატარებული შეხვედრა თბილისის "დინამოს" ახალწვეულ ჯაბა დვალისთვის წარმატებული გამოდგა: სადებიუტო მატჩში თავი გოლითა და საგოლე გადაცემით გამოიჩინა.**

**მატჩის შემდეგ თბილისელთა 26 წლის თავდამსხმელმა ახალ გუნდში ჩატარებულ პირველ შეხვედრაზე პირველი კომენტარი გააკეთა.**



ჯაბა დვალი ფოტო: fcdinamo.ge

**- "დინამოში" დაბრუნებულმა პირველი გოლი ლამის მშობლიურად ქცეულ სტადიონზე გაიტანე.**

- ამ ფაქტორმაც შემიწყო ხელი. ჩემთვის ზესტაფონში თამაში სასიამოვნო იყო. გამიხარდა, რომ პირველივე შეხვედრაში გავიტანე, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი სამი ქულის მოპოვება იყო.

საკმაოდ მძიმე შეხვედრა გამოდგა, ბათუმის "დინამო" კარგი გუნდია, სიცხეც ხელს გვიშლიდა და მოედნის საფარიც არ იყო კარგ მდგომარეობაში. მადლობა ჩვენს გულშემატკივარს, რომელიც ამხელა გზაზე წამოგვყვა და ძალიან ემოციურად გვამხნევებდა.

**- ზესტაფონელი გულშემატკივარიც თბილად დაგხვდა...**

- ახალ კლუბში გადასვლისას ფეხბურთელი ყოველთვის ფიქრობს, როგორ მიიღებს ძველი კლუბის გულშემატკივარი. ზესტაფონელი ქომაგების თბილი დახვედრა ძალიან სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. მათგან ყოველთვის ვგრძნობდი ამ უჩვეულოდ კარგ დამოკიდებულებას. დიდი მადლობა!

**- მშვენიერი დებიუტის მიუხედავად, მაინც აშკარაა, რომ თანაგუნდელებთან შეთამაშების პრობლემა გაქვს.**

- ეს ბუნებრივია, რადგან ერთი კვირაც არ არის, რაც "დინამოში" ვვარჯიშობ და ამ მოკლე პერიოდში იდეალური შეთამაშება შეუძლებელი იყო. ყველაფერი ნელ-ნელა დალაგდება. რაც მთავარია, გუნდში კარგად დამხვდნენ და ადაპტაცია არ გამჭირვებია.

**მერაბ მამულაშვილი**

ბათუმის დინამო




ბათუმის დინამოს მწვრთნელი გია გურული ახალწვეულების მოლოდინშია

# კარპატელების მოლოდინში

ეროვნული ჩემპიონატის სამი ტური უკვე მიილია, ბათუმის "დინამომ" კი მხოლოდ ერთი ქულა დააგროვა და ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება.

გუნდი საკმაოდ პერსპექტიულია, მაგრამ "დინამოს" ჰაერივით სჭირდება გაძლიერება.

როგორც შევიტყვეთ, ბათუმელები მალე ორ უკრაინელ ფეხბურთელს დაიმატებენ. ინფორმაციის გადამოწმება კლუბის პრეზიდენტ **სულხან გოგიბერიძესთან** ვცადეთ და მან ეს ამბავი დაგვიდასტურა.

*"კარპატიდან" უკვე ჩამოვიდნენ ივან პიცანი და ალექსანდრ ტიმშიშინი, რომლებსაც ალბათ, განაცხადში მალე შევიყვანთ. 21 წლის პიცანი მეკარეა და უკრაინის 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებში უთამაშია. 23 წლის ტიმშიშინი კი სწრაფი მარჯვენა გარემარბია. მეკარე დღემდე "კარპატს" ეკუთვნის და დუბლებში თამაშობდა, შემტევი კი თავისუფალი აგენტი იყო"* – გვითხრა გოგიბერიძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. III ტური

25.08.12. რუსთავი. ფოლადი. 700 მაყურებელი

მეტალურგი 1
მერანი 0

1:0 ტატანაშვილი (24, მაისურაძის პასით)

| მეტალურგი 4-2-3-1 | მერანი 4-1-3-2 |
|---|---|
| ჰოსმანი | შეროზია |
| ჯაფარიძე | მჭედლიშვილი |
| მახვილაძე | იობაშვილი |
| ინწკირველი | გ. ჟვანია |
| სუხიაშვილი | ქარქუზაშვილი |
| რაზმაძე | დიდავა |
| განუგრავა | ნ. ნოზაძე |
| დობროვოლსკი | ფონიავა |
| სიხარულიძე | ამბროლაძე |
| ი. მაისურაძე | რეხვიაშვილი |
| ტატანაშვილი | ს. ლომია |
| მწვრთნელი: კ. ყორყიაშვილი | მწვრთნელი: მ. ჟვანია |

**მეტალურგი**

46. გავაშელიშვილი — **ჯაფარიძე**
46. გ. მიქაბერიძე — **სიხარულიძე**
64. ქავთარაძე — **განუგრავა**
*სათადარიგოები: ბედიაშვილი, დ. ჯანელიძე, ხიდეშელი, გიორგი გურეშიძე*

**მერანი**

64. გეგეჭკორი — **მჭედლიშვილი**
73. ბ. ჩხეტიანი — **რეხვიაშვილი**
80. მელიავა — **ფონიავა**
*სათადარიგოები: ბერია, კიკალიშვილი, ბუკია, მონიავა*
გაფრთხილება: რეხვიაშვილი (60), მიქაბერიძე (83), ჩხეტიანი (86)
არბიტრი: ლ. სილაგავა

# უხერხული მეტოქე

წინა სეზონში „მერანმა" ყველა ფავორიტს დააკარგვინა ქულები და ერთადერთი მხოლოდ „მეტალურგი" იყო, ოთხივე მატჩი რომ წააგო. მარტვილელებმა ვერც ამჯერად გატეხეს ნავსი, თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ: „მერანმა" ერთი-მეორეზე უკეთესი ისეთი მომენტები გააცუდა, საგოლეს რომ ვეძახით ხოლმე. განსაკუთრებით ეს პირველ ტაიმზე ითქმის, როდესაც სტუმრები უპრობლემოდ გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე, „მეტალურგის" საჯარიმოშიც თავისუფლად მოქმედებდნენ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში მართლაც ბავშვური შეცდომები მოსდიოდათ! არადა, ერთი შეხედვით, ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახიფათო მომენტებს სტუმრები ქმნიდნენ და „მერანის" ახალწვეულს **საბა ლომიას** უაღრესად ხელსაყრელი სამი მომენტიდან ერთიც რომ გამოეყენებინა, არავინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა: 22 წლის ფორვარდს მატჩის დასაწყისშივე შეეძლო გოლის გატანა, როცა სისწრაფეში ორი მეურვე ჩამოიტოვა და ბურთს ახლო კუთხეში, „ცხრიანში" უმიზნებდა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა; შემდეგ **გიორგი რეხვიაშვილის** ჩინებული პასი ვერ შეიშნო — მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა სუსტად დაარტყა; აი, მესამე მომენტი კი მართლაც ისეთი იყო, 100-პროცენტიანი გოლი რომ ეგონა ყველას: საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ტიტულიანი ფეხბურთელის, 36 წლის **გივი დიდავას** დიდოსტატური პასის მერე ლომია კვლავაც მეკარესთან პირისპირ (თანაც, სრულ „სიმარტოვეში") დარჩა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბურთი **ივან ჰოსმანს** „დაუმიზნა"! სტუმართა ასეთ აქტიურ თამაშს კი გიორგი რეხვიაშვილის ჩინებული ბურთაობა განაპირობებდა: „სიონიდან" გადმოსული ფორვარდი პირველ ტაიმში მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა და ორიგინალური ფინტებითა თუ „წვრილ-წვრილი აფეთქებებით" მეტოქის მცველებს უამრავი თავსატეხი გაუჩინა. რეხვიაშვილი ფლანგებსაც ხშირად იცვლიდა, ცენტრიდანაც უტევდა, ერთი-ორჯერ საშუალო მანძილიდანაც დაემუქრა მასპინძელთა კარს, — მოკლედ, დასაწყისში უდავოდ, გამორჩეული პერსონა გახლდათ. აი, რაც შეეხება მასპინძლებს, საწყის ტაიმში მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირეს, თუმცა პირველივე მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტიდან იხეირეს: **ირაკლი მაისურაძემ** ბურთი მაღალი ტრაექტორიით გაგზავნა მეტოქის საჯარიმოში, სადაც ყველას **დიმიტრი ტატანაშვილმა** დაასწრო და, როგორც სჩვევია, ზუსტი თავური დარტყმით მეკარე უშანსოდ დატოვა. ტატანაშვილი ერთ ეპიზოდშიც კარგად გაისარჯა, მაგრამ მის გარლვევას **ჯონი შეროზიას** უშეცდომო თამაში მოჰყვა. აი, ტაიმის ბოლო წუთზე კი „მეტალურგმა" ორი ჩინებული მომენტი შექმნა: ჯერ იყო და მართლაც ეფექტური კომბინაცია (სუხიაშვილი-მაისურაძე-სიხარულიძე-სუხიაშვილი) ვიხილეთ, როცა მასპინძელთა ახალწვეული **ანზორ სუხიაშვილი** „მოჭრილი" დარტყმით ცდილობდა ყოფილი გუნდის კარში გოლის გატანას, მაგრამ შეროზიამ ამ ეპიზოდშიც იყოჩაღა და შემდეგაც, როცა **ალექსანდრე ინწკირველის** თავური დარტყმა მოიგერია. ისე, პირველ ტაიმში კიდევ ერთი გოლი ვიხილეთ: სტუმართა სტანდარტულს **გივი ქარქუზაშვილის** ზუსტი თავური დარტყმა მოჰყვა, მაგრამ ასისტენტმა „თამაშგარე მდგომარეობა" დააფიქსირა...

შესვენების შემდეგ მოედანზე არსებული ვითარება რადიკალურად შეიცვალა: **კობა ჟორჟიკაშვილმა** ეფექტიანი შეცვლები განახორციელა (აქტიურად ჩაერთო თამაშში **გიორგი მიქაბერიძე**), ამასობაში სტუმრებსაც დაღლა დაეტყოთ და „მეტალურგის" უპირატესობაც აშკარა გახდა. დიმიტრი ტატანაშვილს (ორჯერ), გიორგი მიქაბერიძესა და **დენის დობროვოლსკის** გოლის გატანის შანსები ჰქონდათ, მაგრამ „მერანის" 21 წლის მეკარე ჯონი შეროზია უშეცდომოდ თამაშობდა. ისე, მეორე ტაიმსაც ჰყავდა გამორჩეული ფეხბურთელი: „მეტალურგის" მარცხენა გარემარბმა ირაკლი მაისურაძემ საერთოდაც ჩინებული მატჩი ჩაატარა და, ალბათ, გოლსაც იმსახურებდა. 24 წლის მაისურაძემ სტუმართა მარჯვენა ფლანგი მართლაც აიკლო, მაგრამ მისი შთამბეჭდავი სოლო-რეიდების შემდეგ ბურთი სტუმართა კარს მცირე მანძილით სცდებოდა. აი, ასეთი აშკარა უპირატესობის ფონზე მასპინძლებმა მატჩის ბოლო წუთებზე კინაღამ ქულები დაკარგეს: **გიგა ჟვანიას** საჯარიმო დარტყმა ოსტატური ნახტომით ჰოსმანმა მოიგერია, სულ ბოლოს კი სტუმართა კუთხურის შემდეგ ბურთი მცირე მანძილით ასცდა „მეტალურგის" კარს.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# გოლი მოედნისა და... ავტობუსის კარში

25.08.12. მცხეთა. მცხეთა პარკი. 200 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია 0
ჩიხურა 1

0:1 ოდიკაძე (65. პენ.)

| ვიტ ჯორჯია 5-4-1 | ჩიხურა 4-4-1-1 |
|---|---|
| დაუშვილი | სომხიშვილი |
| ხურცილავა | ოდიკაძე |
| გოგიაშვილი | ლ. ჯელიძე |
| კასრაძე | გუშარაშვილი |
| გეთიაშვილი | ქიმაძე |
| ლანიაშვილი | კირკიტაძე |
| გურ. გურეშიძე | დილმელაშვილი |
| ვასაძე | ლომაშვილი |
| ჯულელი | ნ. კვასხვაძე |
| კორიფაძე | დეკანოიძე |
| ჩიმაკაძე | გოცირიძე |
| მწვრთნელი მ. კოჯლაშვილი | მწვრთნელი ს. ფრუიძე |

**ვიტ ჯორჯია**

66. ჯულელი – **ლობჯანიძე**
84. კასრაძე – **ზაქრაძე**
*სათადარიგოები: სვანაძე, ტეტუნაშვილი, ჯავაშვილი, დავლაშელიძე, ლიბრაძე*

**ჩიხურა**

66. დილმელაშვილი – **ძამსაშვილი**
81. ნ. კვასხვაძე – **მუმლაძე**
83. დეკანოიძე – **გ. ჩხეტიანი**
*სათადარიგოები: მწყერაშვილი, ბერიანიძე, ბაკურაძე, ნ. მაისურაძე*
გაფრთხილება: ჩიმაკაძე (54), კირკიტაძე (79)
არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

"ჩიხურა" მცხეთას ჩემპიონატის ლიდერის სტატუსით ეწვია და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლეს ლიგაში მოკრძალებული მიზნებით არ დაბრუნებულა. **სოსო ფრუიძის** გუნდმა "ვიტ ჯორჯიას" მძიმე ბრძოლაში სძლია და ქულათა მაქსიმუმით ასპარეზობა გააგრძელა.

მატჩი დიდად სანახაობრივი არ ყოფილა, მაგრამ დაძაბულობა ყველა ეპიზოდში იგრძნობოდა. ორივე გუნდმა წარმატებისთვის ბევრი იბრძოლა, საბოლოოდ კი შეხვედრის ბედი ერთმა ეპიზოდმა გადაწყვიტა.

პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, დასამახსოვრებელი მომენტები კი იშვიათად იქმნებოდა. შეიძლება გავიხსენოთ მატჩის დებიუტში **გიგა ჯულელისა** და **ნიკა კვასხვაძის** უშედეგო დარტყმები. "ვიტ ჯორჯიას" დაწინაურება შეეძლო 42-ე წუთზე, როცა იმავე ჯულელის დარტყმის შემდეგ ბურთი სტუმართა მცველს მოხვდა, მიმართულება იცვალა და კინაღამ "ჩიხურას" კარში აღმოჩნდა.

საკუთარი გულშემატკივრების (რომლებიც სტადიონზე აშკარა უმრავლესობაში იყვნენ) მხარდაჭერით შეგულიანებულმა "ჩიხურამ" მეორე ტაიმში უფრო თამამად შეუტია და 64-ე წუთზე პენალტიც მოიპოვა - **დავით ოდიკაძის** დარტყმას **რევაზ ლანიაშვილი** გადაეფარა, რომელსაც ბურთი ხელზე მოხვდა. თერთმეტმეტრიანი თავად ოდიკაძემ შეასრულა და თავისიანები დააწინაურა.

"ვიტ ჯორჯიას" თამაშის გადასარჩენად ცდა არ დაუკლია, თუმცა "ჩიხურა" თავს დამაჯერებლად იცავდა და მასპინძლებს ხიფათის შექმნა კვლავინდებურად უჭირდათ. 70-ე და 74-ე წუთებზე მეტოქეებმა კარში თითო დარტყმა გაცვალეს – **რევაზ გოცირიძისა** და **ბესიკ ჩიმაკაძის** მცდელობებს წინ მეკარეები აღუდგნენ.

დუნე მატჩისას მცირერიცხოვანი პუბლიკა კურიოზულმა ამბავმა გაახალისა – "ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელის დარტყმა მიზანს ასცდა, სამაგიეროდ კარის უკან მდგომი ავტობუსის კარში შევარდა.

ვეტერინარებმა სანადელს ვერც მსაჯის მიერ დამატებულ ხუთ წუთში მიაღწიეს და ჩემპიონატში ზედიზედ მეორე მარცხი ივნიეს, "ჩიხურამ" კი არცთუ შთამბეჭდავი, მაგრამ პრაგმატული და სწორი ფეხბურთით შეძლო რთული გასვლითი გამარჯვების მოპოვება.

**ლევან ჯანეზაშვილი**
მცხეთა-თბილისი

სიონი



ხვიჩა ქასრაშვილი



არმაზ ჯელაძე

# ქასრაშვილი გადადგა, ჯელაძე რეალური კანდიდატია

როგორც "სიონის" პრესსამსახურმა გვაცნობა, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ხვიჩა ქასრაშვილი** თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადადგა. შეგახსენებთ, მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის გასულ ორ ტურში იგი დისკვალიფიცირებული იყო და "სიონს" **ჯონი ჯაგიდისი** ხელმძღვანელობდა.

ბოლნისელთა ახალი თავკაცის ვინაობა დღეისთვის უნდა გაირკვეს. როგორც შევიტყვეთ, ერთ-ერთი ყველაზე რეალური **არმაზ ჯელაძის** კანდიდატურაა, რომელიც ბოლო წლებში რუსთავის "მეტალურგში" მუშაობდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

I ლიგა. I ტური

**ა ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იმერეთი (ხონი) – ჭიათურა | 1:0 |
| გურია (ლანჩხ.) – მეშახტე (ტყიბული) | 4:0 |
| სასკო (თბილისი) – სტუ (თბილისი) | 3:4 |
| დინამო-2 (თბ.) – სულორი (ვანი) | 7:0 |
| გაგრა – რაჭა | 5:0 |

**ბ ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ჩხერიმელა (ხარაგაული) – სამტრედია | 1:2 |
| ადელი (ბათუმი) – კოლხეთი (ხობი) | 1:3 |
| აეტი (სოხუმი) – მერცხალი (ოზურ.) | 2:3 |
| ზოოვეტი (მარნ.) – ლოკომოტივი (თბ.) | 2:4 |
| სამგურალი (წყალტ.) – შუქურა (ქობულ.) | 1:0 |
| ლიახვი (აჩაბეთი) – სპარტაკი (ცხ.) | 0:3 |

U16

# პალანგაში ბოლო ადგილზე

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა "პალანგის თასზე" ბოლო, მეექვსე ადგილი დაიკავა. **ნოდარ აკობიას** გუნდმა გასულ უქმეებზე ტურნირის ბოლო ორი მატჩი შესაბამისად გერმანიის რეგიონულ და აზერბაიჯანის ნაკრებებთან ჩაატარა და ჯერ 0:2, შემდეგ კი 1:4 წააგო.



რა გვეთქმის - თავი მხოლოდ იმით შეგვიძლია დავიმშვიდოთ, რომ ქართველებს საქმე ერთი წლით უფროს მეტოქეებთან ჰქონდათ.

ცნობისთვის: "პალანგის თასი" ლიტვის ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ფინალში აზერბაიჯანს 1:0 სძლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართული ფეხბურთი

ლეგიონის უქმეები


ჯანო ანანიძე (№49) ტერეკთან მატჩში ძირითადში იყო

# ყენიას დაბრუნება, ცუდი სანაკრებო ფონი და რამდენიმე სასიამოვნო გამონაკლისი

გასული უქმეები ქართული ლეგიონისთვის დიდად წარმატებული ვერ გამოდგა. ცუდია, რომ ასე ხდება საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩის წინ, მაგრამ რას ვიზამთ, რეალობას ვერ გავექცევით.

თუმცა ერთი ისეთი ამბავი მაინც მოხდა, რომელიც ბოლო დღეების ერთ-ერთ უმთავრეს მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ – თითქმის სამწლიანი პაუზის შემდეგ, საკლუბო დონეზე პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა **ლევან ყენიამ!**

დონეცკის "შახტარისა" და ლვოვის "კარპატის" მატჩში (3:0) მას სტუმართა სამწვრთნელო შტაბმა დაახლოებით ნახევარი საათი გამოუყო. "კარპატის" ახალწვეული მოედანზე 61-ე წუთზე შევიდა, თუმცა მეტოქე და თამაშის სცენარი ისეთი იყო, ისიც საკმარისია, რომ მის ნანატრ დაბრუნებას ველირსეთ. იმედია, ყენია დროულად შევა ოპტიმალურ ფორმაში და საკლუბო კარიერის აწყობასთან ერთად, ჩვენს ნაკრებსაც წაადგება. მისმა თანაგუნდელმა **მურთაზ დაუშვილმა** ეს შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

მიმოხილვა რუსეთის ჩემპიონატით განვაგრძოთ, სადაც როგორც იქნა, **ჯანო ანანიძე** მოსკოვის "სპარტაკის" სასტარტო შემადგენლობაში ვიხილეთ. გროზნოში, იქაურ "ტერეკთან" მატჩის 65-ე წუთზე სპარტაკელმა **ხუან მანუელ ინსაურალდემ** ანგარიში სწორედ ქართველი ნახევარმცველის მიერ ჩაწოდებული კუთხურის შედეგად გახსნა. ანანიძე 79-ე წუთზე შეცვალეს, რის შემდეგაც "ტერეკმა" შეხვედრის ბედი სათავოდ შეატრიალა და 2:1 გაიმარჯვა.

"ამკარი"-"კრასნოდარი" ფრედ, 2:2 დასრულდა. კრასნოდარელთა კაპიტანმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, **ნუკრი რევიშვილი** კი თავისი გუნდის 18-კაციან განაცხადში კვლავაც არ გამოჩენილა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში "ბოხუმმა" "ალენს" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. "ბოხუმის" ახალწვეულმა **ალექსანდრე იაშვილმა** კვლავაც შეუცვლელად ითამაშა, **ნიკოლოზ გელაშვილს** კი ისევ მცირე სათამაშო დრო გამოუყვეს – იგი მოედანზე მხოლოდ 87-ე წუთზე შეუშვეს.

მივუბრუნდეთ უკრაინას, სადაც გოლი **ჯაბა კანკავამ** გაიტანა. თუმცა ამან მის "კრივბასს" ვერ უშველა და სტუმრად ხარკოვის "მეტალისტთან" 1:3 დამარცხდა. კანკავამ 81-ე წუთზე მხოლოდ პრესტიჟის ბურთი გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. მანაც და **უჩა ლობჟანიძემაც** "კრივბასის" შემადგენლობაში 90 წუთი გაატარეს.

"ილიჩივეცმა" "გოვერლა" მიიღო და 2:0 სძლია. მასპინძელთა რიგებში **თორნიკე ოქრიაშვილმა** სრულად ითამაშა, ძირითადში გამწესებული **დავით თარგამაძე** კი 81-ე წუთზე შეცვალეს.

უკრაინაში კიდევ ერთი სასიამოვნო გამონაკლისი **სანდრო კობახიძის** საგოლე პასია. ლიტველ თანაგუნდელ **საულიუს მიკოლიუნასს** ქართველმა ნახევარმცველმა 61-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრებინა. ეს სიმფეროპოლის "ტავრიასა" და კიევის "არსენალის" მატჩში მოხდა, რომელიც 1:1 დასრულდა. კობახიძე შეხვედრის მიწურულს, 87-ე წუთზე შეცვალეს.

ვერ გეტყვით, გადავა თუ არა უახლოეს დღეებში **გიორგი ჭანტურია** იტალიურ "ჯენოაში", დღეისთვის კი ფაქტი ის არის, რომ მას ჰოლანდიურ "ვიტესში" მცირე სათამაშო დრო ეძლევა. "ვილემ II"-სთან სტუმრად მოგებულ მატჩში (2:0) მას მოედანზე გასვლის შესაძლებლობა საერთოდ არ მიეცა. "ვიტესის" კაპიტანი **გურამ კაშია** მოედანზე შეუცვლელად იყო, ვაკო ყაზაიშვილი კი საამმატჩო განაცხადში ვერ მოხვდა.

პოლონეთში **ლადო დვალიშვილის** "პოლონიამ" "ლეხს" უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა. ქართველი თავდამსხმელი თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო.

ფინეთის ჩემპიონატში მორიგი გოლი გაიტანა **ირაკლი სირბილაძემ.** "ინტერ ტურკუს" ფორვარდმა "იაროსთან" საშინაო მატჩის (3:1) 55-ე წუთზე ანგარიში 2:0 გახადა.

აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში პირველი გამარჯვება მოიპოვა **კახა ცხადაძის** "ინტერმა". ბაქოელებმა სტუმრად "თურანი" 3:2 დაამარცხეს, ანგარიში კი 58-ე წუთზე **გიორგი ადამიამ** გახსნა. მან და **გიორგი ლომაიამ** "ინტერის" რიგებში სრულად ითამაშეს, **ვალერი აბრამიძე** მოედანზე 65-ე წუთზე შევიდა, **რევაზ თევდორაძე** სათადარიგო იყო, **ილია კანდელაკი** და **ბაჩანა ცხადაძე** კი ამ შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო დააკლდნენ. "თურანის" მაისურით 90-90 წუთი ითამაშეს **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** და **ლევან ჩხეტიანმა,** სასტარტოში მყოფი **ირაკლი ბერაია** 82-ე წუთზე შეცვალეს, **გოგი ფიფია** კი თამაშში მე-60 წუთზე ჩაერთო.

ლატვიის ჩემპიონატში დუბლი შეასრულა **მამუკა ლონლაძემ.** "დაუგავას" ქართველმა თავდამსხმელმა "იურმალასთან" გასვლით შეხვედრაში, რომელიც მისმა გუნდმა 4:2 მოიგო, პირველი ორი გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# „მაგთისატი" და „სეტანტა" — სპორტის ქომაგთა სასიხარულოდ

*„მაგთისატის" გამოჩენა ქართულ მაუწყებლობის ბაზარზე წინ გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა როგორც ტექნოლოგიურ, ისე სოციალურ ასპექტში.* **DTH** *პლატფორმის გაშვებამ და „მაგთიკომის" სანიმუშო ტექნიკურმა ბაზამ სატელევიზიო გადაცემების მაღალი ხარისხით მიღება საქართველოს ნებისმიერ წერტილში გახადა შესაძლებელი.*

სწორედ „მაგთისატის" არსებობა გახდა Setanta Spors Eurasia-ს მიერ საქართველოს ალმოჩენის მასტიმულირებელი და უკვე პირველი სექტემბრიდან ქართველი მაყურებელი „მაგთისატისა" და მათი თანამშრომლობის შედეგად იხილავს საუკეთესო მატჩებს ფეხბურთში. და არა მარტო ფეხბურთში — „მაგთისატის" მაყურებელს შესაძლებლობა ექნება თვალყური მიადევნოს რაგბის, ჰოკეისა და ჩოგბურთის მატჩებს. ამასთანავე, რასაკვირველია, „მაგთისატის" სატელიტური მაუწყებლობა კვლავ გადმოსცემს NBA TV-ის საკალათბურთო რეპორტაჟებს.

Setanta Spors Eurasia-მ მაუწყებლობა 2012 წლის იანვარში დაიწყო და რეგიონში რამდენიმე საუკეთესო სპორტული პირველობის ექსკლუზიური მაუწყებლობის უფლებაც მიიღო. მაუწყებლობს 5 კონტინენტზე და ჰყავს მრავალმილიონიანი აუდიტორია..

**დუაიერ მაკქოული,** *Setanta Spors Eurasia-ის აღმასრულებელი დირექტორი:* „საქართველო ჩვენთვის მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენს. სიამოვნებით ვითანამშრომლებთ „მაგთიკომთან" და სხვა პროვაიდერებთან, რათა ჩვენს არხს რაც შეიძლება მეტი მაყურებელი ჰყავდეს. მოხარული ვართ, რომ გვყავს ისეთი პარტნიორი, როგორიც „მაგთიკომია".

გვიხარია ახალი სეზონის დაწყება, დაგეგმილი გვაქვს 800 მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი, მათ შორის: ინგლისის Premier League, ფეხბურთის მსოფლიო ასოციაციის თასი FA Cap, ესპანეთის La Liga, იტალიის სერია A, საფრანგეთის Liga One, ჩრდილოამერიკული ლიგა MLS და საფრანგეთის Top 14."

დუაიერ მაკქოულიმ იმის შესახებაც ისაუბრა, რომ მიმდინარე წლის 1-ლი სექტემბრიდან „მაგთისატის" მაყურებელს საშუალება ექნება, ფეხბურთის პირველობებს თვალი HD (მაღალი გარჩევადობის) ხარისხით ადევნოს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ Setanta Spors Eurasia — ჩამოთვლილი ჩემპიონატებიდან ექსკლუზივი მხოლოდ ორზე, ინგლისის Premier League-სა და ფეხბურთის მსოფლიო ასოციაციის თასზე არ გააჩნია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მაგთისატმა" სპორტულ არხებზე სერიოზული ფორა აიღო.

სულ მალე, სავსებით შესაძლებელია, „სეტანტას" არხზე სამხრეთამერიკული წამყვანი საფეხბურთო ჩემპიონატიც ვიხილოთ, რადგან მაკქოულის თქმით, მათთან შესანიშნავი ურთიერთობა აკავშირებთ. ამ ეტაპზე „სეტანტა" საკალათბურთო მატჩებს არ გადმოსცემს, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ „მაგთისატის" მომხმარებელს ამ მხრივ თავი ქუდში აქვს და შეუძლია NBA TV-ის ეთერში იხილოს საკალათბურთო მატჩების პირდაპირი ტრანსლირება.

დასაწყისისთვის „სეტანტას" მაუწყებლობა ერთი არხით განხორციელდება. „მაგთისატი" და „სეტანტა" სპორტის გულშემატკივრებს სთავაზობენ: ინგლისის პრემიერლიგის 195 მატჩს, ფეხბურთის მსოფლიო ასოციაციის და FA Cup-ის 45 შეხვედრას. ასევე, საუბარია ესპანეთის ლა ლიგას 152, იტალიური სერია ა-ს 80, ფრანგული Liga One-ს 76 მატჩზე. ასევე, სპორტის მოყვარულებს საშუალება ექნებათ, თვალყური ადევნონ ჩრდილოამერიკულ ლიგა MLS-ს და საფრანგეთის Top 14-ს. გულნაკლული არ დარჩებიან არც ჰოკეის გულშემატკივრები, რომლებიც „მაგთისატისა" და „სეტანტას" მეშვეობით NHL-ის 150 შეხვედრას იხილავენ.

წლის ბოლოსთვის იგეგმება თანამშრომლობის გაფართოებაც — მეორე, პარალელური არხი. უპირველეს ყოვლისა, ეს იქნება იდეალური შესაძლებლობა, ერთდროულად გადაიცეს პარალელურად მიმდინარე შეხვედრები. ხოლო მისი სრული დატვირთვა ქართველ მომხმარებელს კიდევ უფრო მეტი საინტერესო შეჯიბრისა და გადაცემის ნახვის შანსს მისცემს.




ჯერჯერობით რეპორტაჟები რუსულად გადმოიცემა, ხოლო სამომავლოდ ქართული მაუწყებლობა იქნება.

**ნინო სურგულაძე,** *„მაგთიკომის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი:* „მოხარულები ვართ, რომ ქართულ ბაზარზე „სეტანტას" შემოსვლაში „მაგთიკომს" მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. „მაგთიკომის" ტექნიკურ-მატერიალურმა ბაზამ „ სეტანტას" საშუალება მისცა თავისი მაუწყებლობა საქართველოშიც განეხორციელებინა."

**ირაკლი ლობჟანიძე,** *„მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილე მარკეტინგის დარგში:*

— ალსანიშნავია, რომ „სეტანტამ" საქართველო აღმოაჩინა მას შემდეგ, რაც „მაგთიკომმა" გაუშვა თავისი პროდუქტი „მაგთისატი". რეალურად, სწორედ „მაგთისატი" იყო მიზეზი იმისა, რომ „სეტანტა" საქართველოს ბაზარზე შემოვიდა და თავის მხრივ, საქართველომ აღმოაჩინა „სეტანტა". სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ „მაგთისატი" წარმატებული პროექტია, რადგან აბონენტების რაოდენობა დღითი დღე მატულობს, რასაც ისიც უწყობს ხელს, რომ მათ უამრავ სიახლეს და სიურპრიზს ვთავაზობთ. ამ შემთხვევაში, სპორტის მოყვარულებს ვიწვევთ ეკრანებთან, თუმცა ჩვენი პროდუქტები აბსოლუტურად ნებისმიერი გემოვნების ადამიანს დააკმაყოფილებს.

დაბოლოს, სტატისტიკისა და ღიმილისთვის: ამ თანამშრომლობის შედეგად მაყურებელი იხილავს დაახლოებით 1500 გოლს, 1100-მდე ყვითელსა და 200-მდე წითელ ბარათსა და 60-მდე ჩხუბს (ალბათ, ჰოკეიში)...

R

● გერმანია. ბუნდესლიგა. I ტური

# ბაიერნის პირველი მისია შესრულებულია!

## ბუნდესლიგა ემოციურად დაიწყო

**ორი აზრი არ არსებობს, დორტმუნდის „ბორუსიას“ თავკაცმა იურგენ კლოპმა შაბათს საღამოს სწორედაც რომ ირონიულად თქვა, რატომ ამბობთ, რომ ბუნდესლიგის ფავორიტები ჩვენ ვართ, ხომ ხედავთ, პირველ ადგილზე „ბაიერნიაო“. სტარტი „დორტმუნდსაც“ კარგი გამოუვიდა და „ბაიერნსაც“ - თუმცა რეკორდმაისტერმა დებიუტანტი „ფიურტი“ გაანადგურა, მოქმედ ჩემპიონს კი, „ვერდერის“ სახით, გაცილებით რთული მეტოქე ჰყავდა.**

ახალი სეზონი ჩემპიონმა პარასკევს გახსნა და ისეთი ემოციური გამარჯვება მოიპოვა, კლოპს რომ უყვარს ხოლმე: დორტმუნდელები **მარკო როისის** გოლით იგებდნენ, საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე კი ბრემენელთა ჩეხმა ახალწვეულმა **თეოდორ გებრე სელასიემ** წონასწორობა აღადგინა და ის-ის იყო, ყველამ იფიქრა, რომ ახალი სეზონის პირველი მატჩი ფრედ დასრულდებოდა, როცა შეცვლაზე შესულმა **მარიო გიოტცემ** გამარჯვების გოლი გაიტანა და გადაჭედილი „ვესტფალენშტადიონი“ „ააფეთქა“.

გიოტცე ისედაც დორტმუნდის პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელია, იმ საღამოს კი მთავარი თემა როისი გახლდათ - ფეხბურთელი, რომელშიც „ბორუსიამ“ 17 მილიონი ევრო გადაიხადა, პირველივე ოფიციალურ მატჩებში ბრწყინვალედ გამოიყურება. შაბათ-კვირას საფეხბურთო გერმანია სწორედ როისზე ლაპარაკობდა: ლეგენდარულმა **გიუნტერ ნეტცერმა** „ბილდის“ სვეტში გერმანიის ნაკრების თავკაც **იოახიმ ლიოვს** მარკოს და მარიოს ძირითად შემადგენლობაში გამწესება უკვე კატეგორიულად მოსთხოვა, ჩვენს გერმანელ კოლეგებს კი არც ის გამორჩათ, როისმა გოლი **ლეო მესის** სტილში, ცისკენ აღმართული საჩვენებელი თითებით რომ იზეიმა.

*„როცა მოედანზე გასახურებლად შევედი, თმები ყალყზე დამიდგა. დორტმუნდში თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ამიხდა. გოლი გერმანიის თასის მატჩშიც გავიტანე და ბუნდესლიგის პირველ ტურშიც - ასეთ ბრწყინვალე დასაწყისზე კი ნაღდად არ მიოცნებია. ამ სტადიონზე „ბორუსიას“ მეტოქის კარში გოლის გატანა მართლა ზღაპარი ყოფილა,“* - აღნიშნა მატჩის შემდეგ როისმა.

*„ვერდერის“ გოლმა გული მატკინა, მაგრამ ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან სწორედ ასეთი მოგება მიყვარს - ემოციური, ჟრუანტელის მომგვრელი. როისმა ძალიან კარგად ითამაშა და გოლი მისთვის დამახასიათებელ სტილში გაიტანა. იმედია, ასე გააგრძელებს,“* - ეს კლოპის სიტყვებია.

### ბაიერნმა ომახიანად დაიწყო

„ბაიერნმა“ ამას წინათ ნავსი გატეხა და „დორტმუნდი“ სუპერთასზე დაამარცხა, ახლა კი, მიუნხენელების მიზანი ისაა, რომ გერმანიის ჩემპიონი ბოლოს და ბოლოს ბუნდესლიგაშიც დაჯაბნონ. შაბათს რეკორდმაისტერს დებიუტანტი „ფიურტის“ სახით იოლი მეტოქე ჰყავდა



მარიო მანჯუკიჩმა (მარჯვნივ) ბაიერნის ფორმით ბუნდესლიგაში პირველად გაიტანა

და მართალია, საბოლოოდ დამაჯერებლად, 3:0 მოიგო, მაგრამ **ჰაინკესის** ბიჭებს თავიდან მაგრად გაუჭირდათ. თავად განსაჯეთ: პირველ ტაიმში „ფიურტი“ „ბაიერნს“ მედგრად უძალიანდებოდა, ბავარიელები კი საგოლე მომენტსაც კი ვერ ქმნიდნენ და ტაიმი ერთობ მოულოდნელი გოლით მოიგეს: „ფიურტის“ კართან დანიშნული კუთხური მიუნხენელთა ახალწვეულმა **ჯერდან შაჩირიმ** მოაწოდა და ბურთი მეორე ახალწვეულ **დანტეს** თავზე დაასვა, ამ უკანასკნელი დარტყმას **შმიდტგალი** ძლივს გაუმკლავდა და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა, მაგრამ საჭირო დროს საჭირო ადგილზე გაჩნდა **თომას მიულერი**, რომელმაც ანგარიში გახსნა.

„ბაიერნის“ პირველ მატჩს წინ სამწვრთნელო დისკუსიები უძღოდა - ამას წინათ პრეზიდენტ **ული ჰიონესს** წამოსცდა, ამ სეზონის შემდეგ ალბათ ახალ სპეციალისტს მოვიყვანთო, რამაც ბევრს აფიქრებინა, რომ „ბაიერნის“ ვარსკვლავები პენსიაზე გამსვლელ „დონ იუპს“ ისე აღარ დაუჯერებდნენ, როგორც იმ შემთხვევაში, ულის ასეთი რამ რომ არ ეთქვა, მაგრამ 67 წლის ჰაინკესმა სჯა-ბაასს ბოლო ამ განცხადებით მოუღო: *„ფაქტია, რომ მომავალ ზაფხულს კონტრაქტი მიმთავრდება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მივდივარ. გამორიცხული არაა, რომ ხელშეკრულება 2014 წლამდე გავაგრძელო.“*

ასე იქნება, თუ ისე, „ბაიერნი“ უკვე ვალდებულია, ამ სეზონში მინიმუმ ერთი ტიტული მაინც მოიგოს და ეს პირველ რიგში გერმანიის ჩემპიონობა უნდა იყოს. თუკი პირველ ტაიმში თვლემდნენ, „ფიურტთან“ მატჩის მეორე ნახევარში ბავარიელებმა უკვე ჩვეულ სტილში ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ **ბასტიან შვაინშტაიგერის, მარიო გომესისა** და **ფრანკ რიბერის** სახით სამი ლიდერი აკლდათ, ჯუჯა მეტოქეს არაფერი გააბედინეს და კიდევ ორი გოლი გაუტანეს: ჯერ ახალწვეულმა **მარიო მანჯუკიჩმა** გაიხარა, მერე კი, **რობენის** ჩაწოდება ფიურტელთა ცენტრალურმა მცველმა **კლაინემ** ავტოგოლით დააგვირგვინა. ამრიგად, 0:3 და „ბაიერნის“ პირველი მისია ასი პროცენტით შესრულებულია.

### გლადბახს არანგომ მოაგებინა

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ წინა კვირაში მთელ საფეხბურთო გერმანიას იმედები გაუცრუა - **ლუსიენ ფავრის** გუნდი ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის პირველ რაუნდში შინ კიევის „დინამოსთან“ 1:3 დამარცხდა და „გლადბახს“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ახლა სასწაული თუ მოახვედრებს. ერთგული ფანების თვალში ნაწილობრივი რეაბილიტაცია მიონხენგლადბახელებმა ბუნდესლიგის პირველ ტურში მოახერხეს, დაამარცხეს რა „ჰოფენჰაიმი“ - გუნდი, სადაც ასევე სასოწარკვეთა სუფევს (მიზეზი: „ჰოფემ“ გერმანიის თასის პირველ ეტაპზე „ბერლინერთან“ სამარცხვინო კრახი განიცადა). „გლადბახის“ მთავარი შემოქმედი **ხუან არანგო** გახლდათ, რომელმაც ჯერ **მაიკ ჰანკეს** გაატანინა, მერე კი, თავად გაიტანა გოლი (საჯარიმო დარტყმით), რომელმაც „ბორუსიას“ პირველი სამი ქულა მოუტანა. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც კიევის „დინამოსთან“ მატჩში, ფავრის შეგირდებს მეორე ტაიმის დასაწყისში ამჯერადაც „ჩაეძინათ“, რის გამოც **რობერტო ფირმინიოს** გოლით დაისაჯნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში, არანგოს ინდივიდუალური კლასის ხარჯზე ეს მატჩი მაინც მოიგეს.

### ჰამბურგის გამოსწორება არ იქნება...

გერმანელი ექსპერტების წინასწარმეტყველება მართლდება: საქმეს მართლაც ისეთი პირი უჩანს, რომ „ჰამბურგი“ ამ სეზონშიც ბედოვლათი გუნდი იქნება. HSV ერთადერთი კლუბია, რომელიც ელიტიდან არასდროს გავარდნილა და მართლა დიდია იმის შანსი, რომ ამ უძვირფასესს ამბავს ბოლო საიუბილეო, 50-ე სეზონში მოეღოს. ჯერჯერობით ყველაფერი აქეთ მიდის, რადგან „ჰამბურგი“ გერმანიის თასზე მიღებული „ცივი შხაპის“ (2:4 მესამებუნდესლიგელ „კარლსრუესთან“) შემდეგ, ბუნდესლიგის პირველ ტურში, საკუთარ მოედანზე „ნიურნბერგთან“ დამარცხდა (0:1). რომ არა მეკარე **რენე ადლერის** კარში თამაში, ფრანკები ჩრდილოელებს კიდევ 2-3 გოლსაც გაუტანდნენ. სწორედ ამიტომ გამართეს „ჰამბურგის“ ფანებმა მატჩის შემდეგ „სტვენის კონცერტი“.

*„ეს არის უკლასო გუნდი, რომელსაც ვერც ვერაფერს მოვთხოვთ! ფეხბურთელები მუდმივად ერთსა და იმავე შეცდომებს უშვებენ, მოსაწონს კი არაფერს აკეთებენ,“* - წუხდა მატჩის შემდეგ „ჰამბურგის“ ცოცხალი ლეგენდა, 75 წლის **უვე ზეელერი**.

### გამარჯვებული დებიუტანტები

ბუნდესლიგის პირველ ტურში მინიმუმ ერთი დებიუტანტი მაინც იმარჯვებს ხოლმე, ამჯერად კი ორმა მოიგო. „ფორტუნას“ გამარჯვებას სენსაციას ვერ ვუწოდებთ, რადგან დიუსელდორფელებმა აუგსბურგში მოიგეს (2:0), აი, „აინტრახტმა“ კი, ბევრისთვის მოულოდნელად, „ლევერკუზენი“ დაამარცხა. თანაც, ფრანკფურტელებმა პირველი ტაიმი წააგეს და მეორე ნახევარში თამაში **აიგნერისა** და **ლანიგის** გოლებით შეატრიალეს. „ფორტუნას“ გმირი კი **დანი შაჰინი** გახდა, რომელმაც „აუგსბურგს“ დუბლი შეუსრულა და არა მარტო ამ მატჩის, არამედ ზოგადად პირველი ტურის ერთ-ერთი გმირია.

შაბათსვე, „ფრაიბურგი“ და „მაინცი“ ფრით (1:1) გაიყარნენ, ხოლო „ვოლფსბურგმა“ კი 90-ე წუთზე გატანილი გოლით შტუტგარტიდან სამი ქულა წაიღო. ეს ერთადერთი გოლი გასულ სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **ბას დოსტმა** გაიტანა და დაამტკიცა, რომ **ფელიქს მაგათს** მასში მილიონები ტყუილად არ გადაუხდია. დოსტის გოლამდე შვაბებს ჰქონდათ საუკეთესო შანსი, მაგრამ **ვედად იბიშევიჩის** თერთმეტმეტრიანი ვოლფსბურგელთა მეკარე **დიეგო ბენალიომ** მოიგერია, რამაც მაგათის ბიჭებს „ფრთები შეასხა“: დოსტმა საპირისპირო კარის დალაშქვრა ზუსტად ორ წუთში მოახერხა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

#### მომდევნო ტური

31 აგვისტო. მაინცი-ფიურტი.

1 სექტემბერი. შალკე-აუგსბურგი, ლევერკუზენი-ფრაიბურგი, ვერდერი-ჰამბურგი, ნიურნბერგი-ბორუსია (დ), ჰოფენჰაიმი-აინტრახტი, ფორტუნა-ბორუსია (მ).

2 სექტემბერი. ვოლფსბურგი-ჰანოვერი, ბაიერნი-შტუტგარტი.

#### ბორუსია (დ)–ვერდერი 2:1

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - კირხი (82. პერიშიჩი), სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - გიუნდოგანი (71. ლაიტნერი), კელი - ბლაშჩიკოვსკიმ, როისი, გროსკროიტცი (78. გიოტცე) - ლევანდოვსკი.

**ვერდერი (4-1-4-1):** მილიტცი - გებრე სელასიე, სოკრატისი, პრიოდლი, იგნიოვსკი (66. პეტერსენი) - ფრიტცი - დე ბრუინი, იუნუზოვიჩი, ჰანტი (87. ფიულკრუგი), ელია - არნაუტოვიჩი.

**გოლები:** 1:0 როისი (11), 1:1 გებრე სელასიე (75), 2:1 გიოტცე (81)

**გაფრთხილება:** გიუნდოგანი, კელი - იგნიოვსკი, იუნუზოვიჩი

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 19(6)-10(3); **ბურთის ფლობა:** 53%-48%.

**მაყურებელი:** 80 645

#### ბორუსია (მ)–ჰოფენჰაიმი 2:1

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ტერ შტეგენი - იანჩკე, შტრანცლი, ბრუვერსი, დემსი - ნორდტვეიტი, ჯაკა - რინგი (62. ჰერმანი), არანგო - ჰანკე (74. ჰრგოტა), ლ. დე იონგი (80. დე კამარგო).

**ჰოფენჰაიმი (4-2-2-2):** ვიზე - ბეკი, დელპიერი, კომპერი, ჯონსონი - ვაისი (82. სალიჰოვიჩი), რუდი - ვუკჩევიჩი, რობერტო ფირმინიო (68. უსამი) - ვოლანდი, დერდიოკი (80. შიპლოკი).

**გოლები:** 1:0 ჰანკე (33), 1:1 რობერტო ფირმინიო (66), 2:1 არანგო (79)

**გაფრთხილება:** იანჩკე, ჯაკა

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 9-6; **თამაშგარე:** 4-7; **კარში დარტყმა:** 7(3)-14(8); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 50 146

#### ფრაიბურგი–მაინცი 1:1

**ფრაიბურგი (4-1-3-2):** ბაუმანი - ჰიონი, გინტერი, დიანიე, ზორგი - შუსტერი - შმიდი, მაკიადი (46. ფლუმი), პუცილა (79. კალვენტე) - მ. კრუსე, გუედე (72. ფრაისი).

**მაინცი (4-2-3-1):** ვეტკლო - ბუნგერტი (76. პოსპეხი), კირხჰოფი, ნოვესკი, მ. კალიჯური - ბაუმგარტლინგერი, სოტო - ჩუპო-მოტინგი, ივანშიტცი (71. ედე), ნ. მიულერი (88. რისე) - სალაი.

**გოლები:** 1:0 მ. კრუსე (49), 1:1 ივანშიტცი (65-პენ)

**გაფრთხილება:** ნ. მიულერი, კირხჰოფი

**კუთხური:** 9-8; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 8(4)-8(3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 22 500

#### აუგსბურგი–ფორტუნა 0:2

**აუგსბურგი (4-2-3-1):** იენტცში - ვერჰეგი, ს. ლანგკამპი, სანკო, ოსტრცოლეკი - ბაიერი, ოტლი - მუსონა (83. პეტრჟელა), კოო (74. იორლი), მორავეკი (46. სიო) - ბონსე.

**ფორტუნა (4-2-2-1-1):** გიფერი - ლეველსი, მალეზასი, ლანგენეკე, ვან დერ ბერგი - ბოძეკი, ო. ფინკი - რ. კრუსე (83. გარბუშევსკი), ბელინგჰაუზენი - ვორონინი (92. ხუანანი) - რაფაელი (60. შაჰინი).

**გოლები:** 0:1 შაჰინი (68), 0:2 შაჰინი (79)

**გაფრთხილება:** მორავეკი, ოსტრცოლეკი, სიო - ბოძეკი, შაჰინი

**კუთხური:** 3-0; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 16(4)-9(4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 30 401

#### ჰამბურგი–ნიურნბერგი 0:1

**ჰამბურგი (4-2-2-1-1):** ადლერი - დიკმაიერი, ბრუმა, მანსიენი, აოგო - სკიელბრედი (70. ბაისტერი), ვესტერმანი - სალა (58. ტეშე), იანსენი - სონი (70. რუდნევსი) - ბერგი.

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი - ჩენდლერი, ნილსონი, კლოზე, პინოლა - ბალიჩი, სიმონსი - ფრანტცი (76. გებჰარტი), კიოტაკე, ესვაინი (90. მაკი) - პოლტერი (64. პეკჰარტი).

**გოლი:** 0:1 ბალიჩი (68)

**გაფრთხილება:** ვესტერმანი, ბაისტერი, იანსენი, ტეშე - პინოლა, ბალიჩი

**კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 16-20; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 11(5)-18(8); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 50 123

#### ფიურტი–ბაიერნი 0:3

**ფიურტი (4-2-3-1):** გრიუნი - ნერიგი, კლაინე, მავრაი, შმიდტგალი - ფიურშტნერი, პრიბი - კლაუსი, ტირალა (69. შტიბერი), სარარერი - ფალი (62. აზემი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ბადშტუბერი - ლუის გუსტავო, კროოსი (88. ტიმოშჩუკი) - თ. მიულერი, შაჩირი (72. შვაინშტაიგერი), რობენი - მანჯუკიჩი (81. პისარო).

**გოლები:** 0:1 თ. მიულერი (43), 0:2 მანჯუკიჩი (59), 0:3 კლაინე (78-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** ფალი, კლაინე - ლუის გუსტავო, ბოატენგი

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 21-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 6(2)-19(9); **ბურთის ფლობა:** 28%-72%.

**მაყურებელი:** 18 000

#### აინტრახტი–ლევერკუზენი 2:1

**აინტრახტი (4-2-3-1):** ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, ანდერსონი, ოჩიპკა - როდე (77. ლანიგი), შვეგლერი - აიგნერი (88. კიოლერი), ა. მაიერი, ინუი (75. ჩელოცი) - ოუშენი.

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო - შვააბი, ვოლშაიდი, ტოპრაკი, კადლეცი - რაინარტცი (84. ჟუნიორ ფერნანდესი) - ლ. ბენდერი, როლფესი - ბელარაბი (69. კასტრო), შიურლე - კისლინგი.

**გოლები:** 0:1 კისლინგი (29), 1:1 აიგნერი (57), 2:1 ლანიგი (82)

**გაფრთხილება:** ანდერსონი - შვააბი, კისლინგი

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 15-22; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 20(4)-19(10); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 27 950

#### შტუტგარტი–ვოლფსბურგი 0:1

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - ჰუგლანდი, ტასკი, მასა, ბოკა - კვისტი (91. ნიდერმაიერი), გენტნერი - ჰარნიკი, ჰაინალი (46. თორუნი), ტრაორე (63. კაკაუ) - იბიშევიჩი.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ფაგნერი, ნალდო, პოგატეცი, როდრიგესი - კნოხე (63. პოლაკი), მ. შეფერი - დეჟაგა (67. ვიერინია), დიეგო, ოლიჩი - დოსტი (92. კიაერი).

*88-ე წუთზე იბიშევიჩმა (შტუტგარტი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლი:** 0:1 დოსტი (90)

**გაფრთხილება:** ტასკი

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 16-23; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 10(5)-13(3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 48 280

#### ჰანოვერი–შალკე 2:2

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი – ჩერუნდოლო, ეგიმანი, ფელიპე (77. ნიკჩი), პანდერი – ანდრეასენი, პინტუ (69. ჰუშტი) – შტინდლი, შმიდებახი – შლაუდრაფი, ია კონანი (65. სობიეხი).

**შალკე (4-1-2-1-2):** ჰილდებრანდი – უჩიდა, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი – ნოიშტედტერი – ჯონსი, დრაქსლერი (80. ბარნეტა) – ჰოლტბი – მარიკა, ჰუნტელაარი.

**გოლები:** 1:0 ფელიპე (43), 1:1 ჰუნტელაარი (52), 1:2 ჰოლტბი (64), 2:2 ნიკჩი (80)

**გაფრთხილება:** შტინდლი – დრაქსლერი, ჯონსი, ჰოლტბი

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 12(2)-15(7); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 49 000

#### II ბუნდესლიგა

III ტური

**ჰერტა-რეგენსბურგი 2:1**

გოლები: 1:0 ალაგუი (41), 2:0 ვაგნერი (43), 2:1 სემბოლო (57)

**ბრაუნშვაიგი-პადერბორნი 2:1**

გოლები: 0:1 დ. ილმაზი (34), 1:1 დოგანი (62), 2:1 კრუპკე (67)

**ზანდჰაუზენი-უნიონი 2:0**

გოლები: 1:0 ლიონინგი (42), 2:0 ფისერი (71)

**დუისბურგი-დინამო 1:3**

გოლები: 0:1 ოუალი (4), 0:2 ლოსილა (20), 0:3 პოტე (78), 1:3 ექსლაგერი (92)

**კოტბუსი-ზანქტ პაული 2:0**

გოლები: 1:0 შტიპერმანი (21), 2:0 ბანოვიჩი (66)

**კაიზერსლაუტერნი-მიუნხენ 1860 0:0**

**ბოხუმი-აალენი 0:1**

გოლი: 0:1 კამპლი (85)

**ინგოლშტადტი-ფრანკფურტი 0:2**

გოლები: 0:1 კაპლანი (42), 0:2 კაპლანი (77)

**აუე-კიოლნი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაუნშვაიგი | 3 | 3 | 0 | 0 | 4-1 | 9 |
| 2. კოტბუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 3. ფრანკფურტი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 4. აალენი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 5. ზანდჰაუზენი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 6. კაიზერსლაუტ. | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| 7. მიუნხენ 1860 | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 8. პადერბორნი | 3 | 1 | 1 | 1 | 7-4 | 4 |
| 9. დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 10. ჰერტა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| 11. რეგენსბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 12. ბოხუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 13. ინგოლშტადტი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 14. ზანქტ პაული | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 2 |
| 15. კიოლნი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 16. უნიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 17. აუე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 18. დუისბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-9 | 0 |

ბომბარდირები: 3 - პოტე (დინამო), სანოგო (კოტბუსი), დ. ილმაზი (პადერბორნი).

#### III ბუნდესლიგა

უნტერჰახინგი-შტუტგარტი II 0:3, შტუტ. კიკერსი-ოსნაბრიუკი 3:0, ერფურტი-არმინია 0:2, კარლსრუე-ალემანია 0:0, ოფენბახი-ბორუსია (დ) II 3:0, ზაარბრიუკენი-ბურგჰაუზენი 3:0, ხემნიტცი-ვეენი 3:2, მიუნსტერი-ჰაიდენჰაიმი 1:1, ბაბელსბერგი-ჰალეშერი 0:1, დარმშტადტი-ჰანზა 1:1.

ესპანეთი. ლა ლიგა. II ტური

# რეალი, უკვე მინუს ხუთი!

## ვილანოვას პირველი გაძევება

**ესეც პირველი დიდი სენსაცია პრიმერაში! მადრიდის „რეალმა“ ტიტულის დაცვა უხეიროდ დაიწყო, ჯერ იყო ფრე „ვალენსიასთან“, რომელსაც ნუხელ მადრიდულ დერბიში „ხეტაფესთან“ მარცხი მოჰყვა - 1:2. „სამეფო კლუბი“ იგუაინის გოლით იგებდა, მაგრამ მეორეში ჯერ ვალერამ გაათანაბრა, შემდეგ ბარადამ კონტრშეტევაზე დაიჭირა მეტოქე. არადა, „ბარსელონა“ აგებდა ნავარაში და ბოლოს მოიგო, „რეალი“ კიდევ თავიდან იგებდა.**

### კარგი თამაში ანოეტაზე, კარგი იმანოლით

„ანოეტაზე“ პირველ ტურში იმედგაცრუებულმა გუნდებმა კარგი სანახაობა აჩუქეს მაყურებელს. საბოლოოდ, ბასკებმა **იმანოლ აგირეჩეს** მონადინების წყალობით ჩემპიონატში პირველი სამი ქულა მოიპოვეს. აი, „სელტა“ კი, მიუხედავად იმისა, რომ სიმპათიურად გამოიყურება, კვლავ უქულოა. სანსებასტიანელთა 25 წლის ფორვარდმა „სელტას“ კარში ორი გოლი გაიტანა, ერთი კი (თავურით გატანილი) საეჭვო სიტუაციაში არ ჩაუთვალეს. ტაიმი „რეალ სოსიედადმა“ უკეთ ითამაშა, მაგრამ ძელებმა და თანამსაჯმა (თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირებით) ანგარიში უცვლელი დატოვეს. მეორე ტაიმის დასაწყისში კი „სელტამ“ თამაშის მიმდინარეობიდან გამომდინარე ალოგიკური გოლი გაიტანა, **კიკე დე ლუკასისა** და **იაგო ასპასის** კომბინაცია პირველმა მართლაც რომ შესანიშნავი დარტყმით დააგვირგვინა. მასპინძელთა პასუხს არ დაუხანებია - აგირეჩემ ფრანგი **ანტუან გრიზმანისა** და მექსიკელი **კარლოს ველას** პასებით გამარჯვება „რეალს“ მოუტანა - 2:1.

### ლეო, მაგრამ არა მესი

ტური არ გავა, ესპანურ პრიმერაში თითო საინტერესო ფეხბურთელი რომ არ გამოჩნდეს. თუკი პირველ ტურში ასეთი მალაგელი **ფაბრის ოლინგა** იყო, ახლა „რაიო ვალეკანოს“ ბრაზილიელმა გარემარბმა **ლეო კარილიო ბაპტისტაომ** გაიბრწყინა. ლეო მეორე დღეს გახდა 20 წლისა, თავისი თინეიჯერობის უკანასკნელ დღეს კი პირველად ითამაშა ლა ლიგაში და „ბეტისს“ „რუის ლოპერაზე“ სეზონის გახსნა ჩაუშხამა - ბრაზილიელმა ჯერ **პიტის** გაატანინა სტუმართა პირველივე შეტევისას, შემდეგ მეორე ტაიმში გამარჯვებისა თავად გაიტანა. ამ ორ გოლს შორის იყო **ხორხე მოლინას** თავური - 1:2. უნდა აღინიშნოს, რომ სანამ „ბეტისის“ კარში ისეთი სუსტი მეკარე უდგას, როგორიც **ფაბრისიო რამირესია**, სევილიურმა კლუბმა მაღალ მიზნებზეც არ უნდა იფიქროს. ეს შეხვედრაც ძალზე კარგი საყურებელი გამოდგა.

### ლოს პერიკიტოსის გასაჭირი

„ესპანიოლმა“ სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო - ორ მატჩში, რომლებშიც თითქოს ქულათა მაქსიმუმის მოპოვება შეიძლებოდა, ერთი ქულაც ვერ აიღო.



ლეო მესის ანგარიშზე 2 ტურში 4 გოლია

„სარაგოსასთან“ შეხვედრის პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა გახსნეს ანგარიში, **ვაკასო მუბარაკის** პასით გოლი მეკარესთან პირისპირ გასულმა **ალვარო ვასკესმა** გაიტანა. მაგრამ მეორე ტაიმში კატალონიელებს ურუგვაელმა ნახევარმცველმა **ხუან ალბინმა** უღალატა - მან ხელით ითამაშა საჯარიმოში, მე-2 ყვითელი ბარათი მიიღო და **აპონიომ** პენალტის ნიშნულიდან გაათანაბრა. მატჩის მიწურულს **ელდერ პოშტიგამ** მცველების შეცდომით ისარგებლა და ახლო მანძილიდან გაიტანა გამარჯვების გოლი - 1:2. შეხვედრა უხეშობებითა და ყვითელი ბარათების სიმრავლით იყო გამორჩეული.

### ათენზე ფიქრში

**მანუელ პელეგრინის** „მალაგას“ სიკვდილ-სიცოცხლის მატჩი ელის საბერძნეთში, თუ გუნდი ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ გავა, ფინანსური კრახი ელის. ამიტომაც ჩილელმა სპეციალისტმა რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა „მალიორკასთან“ თამაშში. მასპინძელთა ქომაგებმა უცნაური სახით გამოხატეს პროტესტი ფეხბურთის ფედერაციისადმი - თამაში ადგილობრივი დროით 23 საათზე დაიწყო, ქომაგები კი ღამის პიჟამოებში გამოწყობილნი მივიდნენ „ლა როსალედაზე“. ანგარიში ებრაელმა **ტომერ ჰემედმა** გახსნა, **ნსუეს** ჩამოწოდებულს მან თავური შეაგება. ეს ჰემედის მესამე გოლია სეზონში. „მალაგამ“ ადგილობრივი კადრების წყალობით გაათანაბრა - **ფრანსისკო პორტილიოს** პასი შეცვლაზე შესულმა **ხუანმიმ** გამოიყენა - 1:1.

### მინიკლასიკო რეალმა მოიგო

გუშინ ერთი „კლასიკოც“ ვიხილეთ, რომელსაც წინ სიტყვა „მინი“ შეეფერება - წლებია, რაც ერთმანეთს „რეალისა“ და „ბარსელონას“ სარეზერვო გუნდები არ შეხვედრიან, მაგრამ წლეულს „რეალ კასტილია“ დაბრუნდა სეგუნდა დივიზიონშიც და პირველი მინიკლასიკოც მოუგო „ბარსელონას“ - 3:2. დი სტეფანოს სახელობის სტადიონზე ამ შეხვედრას 6 ათასი მაყურებელი დაესწრო. ვინ აჯობებდა ახლახან დასრულებული ევროპის ახალგაზრდული პირველობის ბომბარდირი **ხესე** (რეალი) თუ ნაკრებში მისი თანაგუნდელი **ჟერარდ დეულოფეუ** (ბარსელონა)? საბოლოოდ, ისინი სულაც არ ყოფილან მთავარ როლებში - აი, „რეალის“ **დენის ჩერიშევმა** კი დიდებულად ითამაშა.

### მაშველი რგოლი მესი

**ტიტო ვილანოვას** შეუძლია მშვიდად იყოს - სანამ გუნდში **ლეო მესი** ჰყავს სანერვიულოც არაფერია - კვირას, პამლონაში არგენტინელის წყალობით „ბარსამ“ 0:1 შემოატრიალა. მესიმ ორი გოლი მას მერე გამოვიდა, რაც მოედანზე **ჩავი, პედრო** და **ვილია** გავიდნენ. მესიმ ჯერ პედროს მონადინებისა და **ალექსის სანჩესის** პასით გაათანაბრა, ხუთ წუთში კი **ხორდი ალბას** ჩამოწოდებულს მიუჩინა „ოსასუნას“ კარში ადგილი. თამაში კი სენსაციურად დაიწყო **რონალ ლამას** ჩაწოდების შემდეგ **ხოსება ლორენტემ** ბურთის დაუმუშავებლად დალაშქრა ვალდესის კარი. მეორე ტაიმში მეკარესთან პირისპირ გასულ **ნინოს** ძელის ნაცვლად კარი რომ აელო, ალბათ მესიც ველარ უშველიდა ტიტოს გუნდს, რომელიც, სხვათა შორის, პირველად გააძევეს, როგორც მთავარი მწვრთნელი.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

#### მომდევნო ტური

1 სექტემბერი: **სელტა-ოსასუნა, სარაგოსა-მალაგა, დეპორტივო-ხეტაფე, მალიორკა-რეალ სოსიედადი.**

2 სექტემბერი: **რაიო ვალეკანო-სევილია, ბილბაო-ვალიადოლიდი, ლევანტე-ესპანიოლი, რეალი-გრანადა, ბარსელონა-ვალენსია.**

3 სექტემბერი: **ბეტისი-ატლეტიკო.**

#### სოსიედადი-სელტა 2:1

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო – ესტრადა, ანსოტეგი, მ. გონსალესი, დე ლა ბელა – ბერგარა, ილარამენდი (59. პარდო) – ჩაბი პრიეტო, ველა (64. გ. კასტრო), გრიზმანი – აგირეჩე (82. ელუსტონდო).

**სელტა (4-2-3-1):** ვარასი – მალიო, კაბრალი, ტუნიესი, ლაგო (72. ბელვისი) – ოუბინია (82. ხ. ტომასი), ა. ლოპესი – ა. ფერნანდესი, დე ლუკასი (57. ინსა), კრონ-დელი – ასპასი.

**გოლები:** 0:1 დე ლუკასი (49), 1:1 აგირეჩე (53), 2:1 აგირეჩე (60)

**გაფრთხილება:** ანსოტეგი, ილარამენდი, ველა, გრიზმანი, ბერგარა – მალიო, ლოპესი

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 15-14 (6-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 27 500

#### ბეტისი- ვალეკანო 1:2

**ბეტისი (4-2-3-1):** ფაბრისიო – ჩიკა, პაულაუ (46. ამაია), დორადო, ნაჩო – კანიასი, ბენიატი – აგრა (69. კემპბელი), ხ. პერეირა, ხუან კარლოსი (57. პოსუელო) – მოლინა.

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი – ტიტო, ფუეგო, ამატი, კასადო – კარილიო (65. გალვესი), პიტი (75. დელიბაშიჩი), ხოსე კარლოსი (49. ლ. ბანგურა) – ბილე ნილსენი.

**გოლები:** 0:1 პიტი (2), 1:1 მოლინა (4), 1:2 კარილიო (62)

**გაფრთხილება:** აგრა, ბენიატი, პერეირა, ნაჩო, მოლინა – კასადო, ტიტო, პიტი, ამატი, რუბენი

**კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 14-17; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 14-19 (4-5); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 43 000

#### ესპანიოლი-სარაგოსა 1:2

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კ. ალვარესი – ხ. ლოპესი, რ. როდრიგესი, მორენო (53. ფორლინი), კაპდევილა – ვ. სანჩესი, კ. გომესი – ალბინი, ვერდუ, ვაკასო (53. ტეხერა) – ა. ვასკესი (78. რუი ფონტე).

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო – გონი, ალვარო, პარედესი, აბრაამი – პინტერი (68. არანდა), ხოსე მარი – მონტანიესი (86. ორტი), აპონიო, ე. ორიოლი (46. ვ. როდრიგესი) – პოშტიგა.

**გოლები:** 1:0 ა. ვასკესი (43), 1:1 აპონიო (51-პენ), 1:2 პოშტიგა (89)

**გაფრთხილება:** ალბინი, ვაკასო, სანჩესი, როდრიგესი, გომესი – გონი, პინტერი, როდრიგესი, მონტანიესი

**გაძევება:** ალბინი (50)

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 15-21; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 9-10 (1-5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 25 000

#### მალაგა-მალიორკა 1:1

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო – ს. სანჩესი, დემიკელისი, ველიგტონი, მონრეალი – ნაჩო კამაჩო, დუდა – პორტილიო, ისკო (83. ხოაკინი), ბუონანოტე (67. ელიზეუ) – სება ფერნანდესი (67. ხუანმი).

**მალიორკა (4-4-2):** ავატე – ჩ. ნავარო, ნუნიეში, ბიგასი, ა. ლოპესი – ნსუე (76. ჩარლი), პინა, ხ. მარკესი (60. ჟოაო ვიქტორი), მ. პერეირა – ვიქტორი, ჰემედი (80. ალფარო).

**გოლები:** 0:1 ჰემედი (67), 1:1 ხუანმი (77)

**გაფრთხილება:** დემიკელისი, დუდა – მარკესი, ვიქტორი, პინა, ავატე

**გაძევება:** ელიზეუ (89)

**კუთხური:** 14-4; **ჯარიმა:** 8-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 18-9 (6-4); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 26 500

#### ოსასუნა-ბარსელონა 1:2

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, არიბასი, ფლანიო, დამია - პუნიალი, ლოე - სეხუდო (79. ლოლო), სისი (77. ტიმორი), ლამა - ხ. ლორენტე (68. ნინო).

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პუიოლი, პიკე, ალბა - ფაბრეგასი (62. პედრო), ბუსკეტსი, ინიესტა (69. ჩავი) - სანჩესი, მესი, ტელიო (74. ვილია).

**გოლები:** 1:0 ხ. ლორენტე (17), 1:1 მესი (75), 1:2 მესი (80)

**გაფრთხილება:** სისი, დამია, ლოე, ფლანიო, ლამა, ლოლო - ბუსკეტსი, პიკე, პუიოლი

**გაძევება:** ტიტო ვილანოვა (71. ბარსელონა (მწვრთნელი)), პუნიალი (76)

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 3-7; **კარში დარტყმა:** 17-15 (5-10); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 18 800

#### გრანადა-სევილია 1:1

**გრანადა (4-2-3-1):** ტონიო - ნიომი, ი. ლოპესი, ბ. გომესი, სიკეირა - ირინეი (80. ხუანმა ორტისი), მ. რიკო - ელ-არაბი (72. მაჩისი), ხაიმე (63. ტორჯე), ორელიანა - ფლორო ფლორესი.

**სევილია (4-3-3):** დ. ლოპესი - სისინიო, ფასიო (46. ბოტია), სპაჰიჩი, ფ. ნავარო - ტროხოვსკი, მედელი, რაკიტიჩი (88. კალა) - ხესუს ნავასი, ნეგრედო, რეიესი (35. პალოპი).

**გოლები:** 1:0 მ. რიკო (36), 1:1 ნეგრედო (44)

**გაფრთხილება:** სიკეირა, ირინეი, ლოპესი, გომესი - ბოტია, რაკიტიჩი

**გაძევება:** დ. ლოპესი (34)

**კუთხური:** 6-0; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 18-9 (7-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 16 000

#### ხეტაფე-რეალი 2:1

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, აბრაამი (50. ლოპო), ალექსისი, მ. ტორესი - მიჩელი, ხ. ტორესი - ბარადა (84. ლასენი), ლაფიტა, დ. კასტრო - მიკუ (69. კოლუნგა).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, ალბიოლი, სერხიო რამოსი, მარსელო (73. კალეხონი) - დიარა (58. ბენზემა), ჩაბი ალონსო - დი მარია (79. მორატა), იოზილი, რონალდო - იგუაინი.

**გოლები:** 0:1 იგუაინი (26), 1:1 ვალერა (52), 2:1 ბარადა (74)

**გაფრთხილება:** ვალერა, მიჩელი, ტორესი - ალბიოლი

**გაძევება:** ფ. კოენტრაო (93. სათადარიგოთა სკამიდან)

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11-14 (3-5); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 13 000

#### ვალენსია-დეპორტივო 3:3

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ჟ. პერეირა, რიკარდო კოშტა, რუისი, მატიო (69. ბერნატი) - გაგო (37. პარეხო), ტინო კოსტა - ფეგული, ჟონასი (76. რამი), გუარდადო - სოლდადო.

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია (46. ლუქსი) - მ. პაბლო, აიტამი, მარჩენა, ევალდო - ხ. დომინგესი, ა. აგილარი - გამა, ვალერონი (58. ოლივეირა), პიცი - რიკი (80. კამუნიასი).

**გოლები:** 1:0 სოლდადო (11), 2:0 სოლდადო (28), 2:1 აგილარი (38), 3:1 ფეგული (41), 3:2 აგილარი (59), 3:3 პიცი (76-პენ)

**გაფრთხილება:** კოშტა, მატიო, პერეირა, რუისი, პარეხო - მარჩენა, ოლივეირა

**გაძევება:** კოშტა (75)

**კუთხური:** 2-10; **ჯარიმა:** 15-10; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 13-13 (5-8); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 45 000

ვალიადოლიდი-ლევანტე — დღეს. 22:00
ატლეტიკო-ბილბაო — დღეს. 00:00

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 7-2 | 6 |
| 2. ვალეკანო | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 3. სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. დეპორტივო | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 5. მალიორკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6. მალაგა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7. ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-5 | 3 |
| 8. ვალიადოლიდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 9. ხეტაფე | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 10. სარაგოსა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 11. სოსიედადი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-6 | 3 |
| 12. ვალენსია | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| 13. ატლეტიკო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 14. ლევანტე | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 15. რეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 16. გრანადა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 17. ბილბაო | 1 | 0 | 0 | 1 | 3-5 | 0 |
| 18. ესპანიოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 19. სელტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 20. ოსასუნა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 3 - ტომერ ჰემედი (მალიორკა), ხორხე მოლინა (ბეტისი); 2 - იმანოლ აგირეჩე (რეალ სოსიედადი), , მიკელ სან ხოსე (ბილბაო), ალვარო ნეგრედო (სევილია), გონსალო იგუაინი (რეალი), რობერტო სოლდადო (ვალენსია), აბელ აგილარი (დეპორტივო)

#### სეგუნდა დივიზიონი. II ტური

**ალმერია-ხერესი** 2:1
**გოლები:** 1:0 შარლესი (9), 1:1 ვეგა (23), 2:1 შარლესი (26)

**გვადალახარა-ხირონა** 1:5
**გოლები:** 1:0 ჯონი (20), 1:1 დ. გარსია (37), 1:2 ხუანლუ (48), 1:3 ბენხა (50), 1:4 ხანდრო (59), 1:5 ხუანლუ (90).

**ლას პალმასი-ლუგო** 1:1
**გოლები:** 1:0 ვიტოლო (37), 1:1 პ. ალვარესი (40)

**საბადელი-ვილიარეალი** 0:0

**უელვა-მირანდესი** 1:0
**გოლი:** 1:0 ვალე (70)

**პონფერადინა-ალკორკონი** 2:0
**გოლები:** 1:0 ვერა მატეოსი (81), 2:0 მაიორი (89)

**უესკა-ნუმანსია** 1:1
**გოლები:** 1:0 სპესიე (3), 1:1 პოკე (28)
**გაძევება:** პოკე (64. ნუმანსია)

**სპორტინგი-მურსია** 2:3
**გოლები:** 1:0 ბილიჩი (7), 1:1 ნ. მარტინესი (12), 1:2 მატილია (48), 1:3 კრისტიანი (52), 2:3 მუნისი (82)
**გაძევება:** ო. სანჩესი (32. მურსია)

**რეალი II-ბარსელონა II** 3:2
**გოლები:** 1:0 ხუანფრანი (11), 2:0 ჩერიშევი (25), 2:1 მეხიასი (39 ს.კ.), 3:1 პლანიო (47), 3:2 ს. რობერტო (70-პენ)

**ერკულესი-ელჩე** 1:2
**გოლები:** 0:1 ჩუმეტრა (27), 0:2 ბ. გერერო (29), 1:2 ესკასი (54)

**კორდობა-რასინგი** 2:0
**გოლები:** 1:0 ლოპეს სილვა (15), 2:0 ლოპეს სილვა (71)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 2 | 2 | 0 | 0 | 6-3 | 6 |
| 2. ალმერია | 2 | 2 | 0 | 0 | 7-5 | 6 |
| 3. ხირონა | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 4. ნუმანსია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 5. კორდობა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 6. მურსია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7. ლას პალმასი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8. უესკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 9. ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 10. ლუგო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 11. ხერესი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 12. პონფერადინა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 13. რეალი II | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 14. უელვა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 15. საბადელი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 16. ალკორკონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 17. გვადალახარა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-6 | 1 |
| 18. ბარსელონა II | 2 | 0 | 0 | 2 | 6-8 | 0 |
| 19. ერკულესი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 20. მირანდესი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 21. სპორტინგი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 22. რასინგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - ჟერარდ დეულოფეუ (ბარსელონა II), შარლესი (ალმერია).

### პორტუგალია

#### ლიგა საგრეში. II ტური

**აკადემიკა-ოლანენსე** 1:1
**გოლები:** 1:0 ედინიო (53), 1:1 დ. სილვა (68)

**ბრაგა-ბეირა მარი** 3:1
**გოლები:** 1:0 რუბენ მიკაელი (27), 2:0 რუბენ მიკაელი (33), 3:0 რუბენ ამორიმი (85), 3:1 ნილდო (90)

**პორტუ-გიმარაეში** 4:0
**გოლები:** 1:0 ლუჩო გონსალესი (16), 2:0 ჰალკი (66), 3:0 ლუჩო გონსალესი (71), 4:0 ჯ. მარტინესი (80-პენ)

**მორეირენსე-ნასიონალი** 3:1
**გოლები:** 1:0 გილასი (9), 2:0 გილასი (52), 3:0 გაუჩო (65), 3:1 ისაელი (72)
**გაძევება:** მეშერი (34. ნასიონალი)

**ეშტორილი-ფერეირა** 1:1
**გოლები:** 0:1 ანტუნეში (30), 1:1 ვიტორია (74-პენ)
**გაძევება:** ლუიზ კარლუში (78. ფერეირა), ვიტორია (86. ეშტორილი)

**მარიტიმუ-ჟილ ვისენტე** 0:0

**სეტუბალი-ბენფიკა** 0:5
**გოლები:** 0:1 როდრიგო (13), 0:2 სალვიო (31), 0:3 ე. პერესი (45), 0:4 ნოლიტო (67), 0:5 როდრიგო (81)
**გაძევება:** ამორეირინია (8. სეტუბალი)

**სპორტინგი-რიუ ავე** დღეს. 23:15

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 7-2 | 4 |
| 2. პორტუ | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| 3. ბრაგა | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 4. მორეირენსე | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 5. ოლანენსე | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6. მარიტიმუ | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 7. აკადემიკა | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| 8. ფერეირა | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 9. ჟილ ვისენტე | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 10. სპორტინგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 11. ეშტორილი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 12. ბეირა მარი | 2 | 0 | 1 | 1 | 4-6 | 1 |
| 13. ნასიონალი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 14. გიმარაეში | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| 15. სეტუბალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-7 | 1 |
| 16. რიუ ავე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - ედინიო (აკადემიკა), როდრიგო (ბენფიკა).

ინგლისის. პრემიერლიგა. II ტური

# მძიმე სანახაობა ოლდ ტრეფორდზე

**სანდერლენდში** ისეთი წვიმა მოვიდა, რომ "ლაითსის" მინდორს დრენაჟმაც ვერ უშველა. მატჩის არბიტრმა გუნდების მთავარ მწვრთნელებთან კონსულტაციის შემდეგ "რედინგთან" თამაშის გადადება ბრძანა.

## ტოტალური ჩელსი

"სტემფორდ ბრიჯზე" "ჩელსიმ" თამაში ძალზე კონცენტრირებულმა დაიწყო და მალე აბსოლუტური უპირატესობა იგდო ხელთ. კომპლიმენტი ეკუთვნოდათ მცველებს, რომელთაც მე-3 ტურის გადმოტანილი შეხვედრის შემდეგ მიღებული საყვედური გაითვალისწინეს. შედეგად **დემბა ბასა და პაპის სისეს** ბურთი დიდხანს არ მისვლიათ. მასპინძლებს პირველივე საგოლე სიტუაციის გამოყენება **ტიმ კრულმა** არ დაანება. 0:0 ტაბლოზე დიდხანს მაინც ვერ გაჩერდა. **ხუან მატამ ფერნანდო ტორესს** საჯარიმოსთან პასი დაუგორა. "ელ ნინიომ" ოდნავ წინ წაიწია თუ არა, მასზე თამაშის წესები დაირღვა. არბიტრმა თერთმეტმეტრიანისკენ დაუყოვნებლივ მიუთითა. რაკი **ფრენკ ლემპარდი** ძირითადში არ იყო, დარტყმა თავის თავზე **ედენ აზარმა** აიღო და გაიტანა. ტაიმის დასრულებას არაფერი უკლდა, როცა ტორესმა ეფექტური შორეული დარტყმით მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. აზარმა ამჯერად უკვე საგოლე გადაცემა მიითვალა.

მეორე ნახევარში "კაჭკაჭებზე" ზეწოლა არ შენელებულა. ანგარიშის გაზრდის შანსი ჰქონდათ იმავე აზარს, **ობი მიკელს**, ტორესსა და **რაიან ბერტრანს**. სტუმრებს ამ ყველაფერზე პასუხი მატჩის დასრულებამდე არ გაუციათ - ბოლო წუთებზე კი **დემბა ბას** შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მას **პეტრ ჩეხმა** აულო.

## ვან პერსის პირველი

მატჩი მასპინძელთათვის შოკით დაიწყო. **დემიენ დაფმა** მე-3 წუთზე 10-11 მეტრიდან 75 ათასზე მეტი ფანი წამიერად დაადუმა. "იუნაიტედი" გონს მალე მოეგო მოულოდნელად ძირითადში გამოჩენილი **რობინ ვან პერსის** წყალობით. **პატრის ევრას** ჩაწოდების შემდეგ ჰოლანდიელმა ურთულესი სიტუაციიდან გაათანაბრა. დარჩენილ წუთებში "ფულჰემს" "იუნაიტედის" რისხვა კიდევ არაერთხელ დაატყდა თავს, მაგრამ **მარკ შვარცერმა** მხოლოდ ორი გოლი გაუშვა. ჯერ იყო და ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს **მაიკლ კერიკმა** 18 მეტრიდან დასცხო, მართალია, მეკარემ მოიგერია, მაგრამ ბურთი **შინჯი კაგავას** მიუვიდა. იაპონელს გატანა ალარ გასჭირვებია. მერე კი **ეშლი იანგის** ჩაწოდების შემდეგ **რაფაელ და სილვამ** ახლო მანძილიდან გაიტანა თავურით.



უეინ რუნიმ ასეთი ჭრილობა მიიღო

სტუმრები მეორე ტაიმს უფრო მობილიზებულნი შეხვდნენ. ამის მიუხედავად, "იუნაიტედს" მომენტები მაინც ექმნებოდა. რაფაელს დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ ვან პერსის ფლანგური პასის შემდეგ მცირედით ააცილა. საბოლოო ანგარიში **ნემანია ვიდიჩმა** დააფიქსირა. ფულჰემელი **სტივენ სიდუელის** ჩაწოდების შემდეგ სერბმა თავის კარებში გაიტანა. 31 წლის მცველისთვის ეს პრემიერლიგაში ჩატარებულ 169-ე შეხვედრაში პირველი ავტოგოლი აღმოჩნდა. მეტოქეთა მეკარეები კი მას 14-ჯერ ჰყავს დამწუხრებული. **ალექს ფერგიუსონმა** თამაში **დენი უელბეკი** და **უეინ რუნი** ჩართო. **მარტინ იოლმა** 5 წუთში მინდორზე **მლადენ პეტრიჩის** ნაცვლად **უგო როდალიეგას** უხმო. სწორედ კოლუმბიელმა ჩაიდინა ის, რამაც სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივარი ლამის შოკში ჩააგდო. შეხვედრის დასრულებამდე წამებით ადრე დე ხეას კარის მიმართულებით საჯარიმო დაინიშნა. როდალიეგას რუნი ფეხებში ჩაუვარდა, ვისი ბუციც ინგლისელს ბარძაყში მოხვდა და, შეიძლება ითქვას, მთელი ფეხი გადაუსერა. "ეშმაკების" ვარსკვლავი პირდაპირ საავადმყოფოში გადაიყვანეს. წინასწარი ვარაუდით, რუნის ოთხი კვირა გაუცდება.

## მეორე მსხვერპლი

"ვესტ ბრომვიჩმა" პირველ ტურში "ლივერპულისგან" მარტო "ბუნდლა" დატოვა, დაამარცხა რა 3:0. პრემიერლიგის აუტსაიდერად მიჩნეულ კლუბს მეორე ტურშიც სერიოზული გამოცდა ელოდა "უაით ჰართ ლეინზე". **სტივ კლარკის** გუნდმა ეს გამოცდაც "ხუთიანზე" ჩააბარა. მართალია, ქულა ბოლო წუთზე გაუხდა გადასარჩენი, მაგრამ მათ დამსახურებას ეს ვერ აკნინებს.

"დეზებს" პირველ 45 წუთშივე შეეძლოთ შეხვედრის ბედის გადაწყვეტა. გატანა მართებდათ **გარეთ ბეილს, აარონ ლენონს, რაფაელ ვან დერ ვაარტსა** და **იან ვერტონგენს**. სტუმართაგან ერთადერთი სახიფათო სიტუაცია **მარკ-ანდრე ფორჩუნს** შეექმნა. 65-ე წუთზე როგორც იქნა **ჯერმეინ დეფომ** ანგარიში გახსნა, მაგრამ გვერდითა არბიტრმა პასის მომენტში მასზე თამაშგარე (სრულიად სამართლიანი) დააფიქსირა. 74-ეზე კი გოლი **ბენ ფოსტერის** კარში მაინც გავიდა და ეს უკვე წესების დაცვით მოხდა. **ბენუა ასუ-ეკოტომ** დიდი მანძილიდან შორეულ კუთხეს დაუმიზნა. საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე სტუმრებმა **ბრედ ფრიდელის** კართან შტურმი მოაწყვეს. მცველებმა კუთხურების გათამაშების შემდეგ ორჯერ გამოიტანეს ბურთი ხაზიდან. გაჯანჯლებული შეტევა **ჯეიმს მორისონმა** ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმით დაასრულა.

## სუონსის ლოგიკა

"სუონსის" შარშანდელი თამაში ყველამ ერთხმად შეაფასა წლის უმთავრეს სენსაციად. მას მერე კი, რაც გუნდი წარმატებების უმთავრესმა შემოქმედებმა **ბრენდან როჯერსმა, გილფი სიგურდსონმა** და **ჯო ალენმა** "ლიბერთი სტედიუმი" დატოვეს, უელსელებს კრახს უწინასწარმეტყველებდნენ. არაფერი მსგავსი გუნდს არ ეტყობა. მეტიც, მან ორიდან ორი თამაში მოიგო და საერთო ჯამში ბურთების სხვაობა +8 აქვს. ამ ეტაპზე, თუკი ჩემპიონატის აღმოჩენაზე შეიძლება ლაპარაკი, თამამად ვიტყვით, რომ ერთ-ერთი ასეთია "თეთრი გედების" ესპანელი ნახევარმცველი **მიგელ მიჩუ**.

## გულუბრყვილო დაცვა

ახლად შეკრულმა "ლივერპულმა" ფანებს ის მაკეტი წარუდგინა, რისი მშენებლობისკენაც ისწრაფვის "წითლების" მთავარი მწვრთნელი **ბრენდან როჯერსი**. მერსისაიდელებმა მრისხანე მეტოქესთან შემტევი ფეხბურთი გააჩაღეს და რომ არა დაცვაში დაშვებული გულუბრყვილო შეცდომები, სეზონის პირველ გამარჯვებას იზეიმებდნენ. გამართლება რამდენად შეიძლება, ამისი არ ვიცით, მაგრამ ახსნა კი შეიძლება – მასპინძელთა გუნდს დისკვალიფიცირებული **დანიელ აგერი** აკლდა. **სება კოატესმა** მისი ღირსეულად შეცვლა ვერ შეძლო.

### მომდევნო ტური

1-ლი სექტემბერი - ვესტ ჰემი-ფულჰემი, სუონსი-სანდერლენდი, ტოტენჰემი-ნორვიჩი, ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი, უიგანი-სტოკ სიტი, მანჩესტერ სიტი-ქუინზ პარკი

2 სექტემბერი – ლივერპული-არსენალი, ნიუკასლი-ასტონ ვილა, საუთჰემპტონი-მანჩესტერ იუნაიტედი

### სუონსი–ვესტ ჰემი 3:0

**სუონსი** (4-3-3): ვორმი – რანხელი, ჩიკო, უილიამსი, ნ. ტეილორი (დევისი 84) – დე გუზმანი (აგუსტინი 75), ბრიტონი, მიჩუ – ნ. დაიერი, გრემი, რუტლეჯი (მური 81)

**ვესტ ჰემი** (4-3-3): იასკელაინენი – დემელი, ჯ. კოლინზი, რიდი, მაკარტნი – ნოუბლი, ტომკინსი (ვას ტე 46), დიამე (ა. დიარა 70) – ჯარვისი, კ. კოული (მაიგა 62), ნოლანი

**გოლები:** 1:0 რანხელი (20), 2:0 მიჩუ (29), 3:0 გრემი (64)

**გაფრთხილება:** რანხელი, ჩიკო – კ. კოული, ნოლანი, ჯ. კოლინზი, რიდი

**კარში დარტყმა:** 8-4(5-4), **კუთხური:** 5-4, **ჯარიმა:** 15-18, **თამაშგარე:** 4-2, **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 20 424

### ასტონ ვილა–ევერტონი 1:3

**ასტონ ვილა** (4-4-2): გივენი – ლოუტონი, ვლაარი, ბეიკერი, კლარკი – ნ'ზოგბია, ელ-აჰმადი, ჰერდი (ლიშაი 59), ბენანი (ვაიმანი 70) – დელფუნესო (ჰოლმენი 46), ბენტი

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – ნევილი, იაგიელკა, დისტენი, ბეინსი – ოსმანი, პიენაარი, გიბსონი (მირალიაში 71), ს. ნეისმიტი (კოულმენი 64), - იელავიჩი (ჰეიტინგა 87), ფელაინი

**გოლები:** 0:1 პიენაარი (3), 0:2 ფელაინი (31), 0:3 იელავიჩი (44), 1:3 ელ-აჰმადი (75)

**გაფრთხილება:** ელ-აჰმადი

**გაძევება:** კლარკი (58) -

**კარში დარტყმა:** 6-14(3-6), **კუთხური:** 1-9, **ჯარიმა:** 9-11, **თამაშგარე:** 0-3, **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 36 565

### მანჩესტერ იუნ–ფულჰემი 3:2

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-2-3-1): დე ხეა – რაფაელი, კერიკი, ვიდიჩი, ევრა – კლევერლი, ანდერსონი (გიგზი 81) – ვალენსია, კაგავა (რუნი 68), ე. იანგი (უელბეკი 68) – ვან პერსი

**ფულჰემი** (4-2-3-1): შვარცერი – რიტერი, ჰიუზი, ჰანგელანდი, ბრიგსი – მ. დიარა (ბეირდი 81), დემბელე, დაფი, რუისი, კაჩანიკლიჩი (სიდუელი 62) – პეტრიჩი (როდალიეგა 73)

**გოლები:** 0:1 დაფი (3), 1:1 ვან პერსი (10), 2:1 კაგავა (35), 3:1 რაფაელი (41) 3:2 ვიდიჩი (64-ს.კ-ში)

**გაფრთხილება:** ჰანგელანდი

**კარში დარტყმა:** 15-8(7-6), **კუთხური:** 8-8, **ჯარიმა:** 12-7, **თამაშგარე:** 1-0, **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 75 352

### ნორვიჩი–ქუინზ პარკი 1:1

**ნორვიჩი** (4-4-2): რადი – რ. მარტინი, ბასონგი, ბარნეტი, გარიდო – სნოდგრასი, ჰოუსონი, ბ. ჯონსონი, პიკლინგტონი – ჯექსონი (კ. მარტინი 88), ჰოლტი (მორისონი 88)

**ქუინზ პარკი** (4-5-1): გრინი – ტრაორე (ბოსინგვა 73), ჰილი (ონუოჰა 46), ა. ფერდინანდი, ფაბიო – მაკი, დიაკიტე (დერი 85), ჟ.ს. პარკი, ჰოილეტი – სისე, ზამორა

**გოლები:** 1:0 ჯექსონი (11), 1:1 ზამორა (19)

**გაფრთხილება:** ჰილი, ა. ფერდინანდი

**კარში დარტყმა:** 11-5(4-3), **კუთხური:** 6-2, **ჯარიმა:** 11-13, **თამაშგარე:** 1-4, **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 26 317

### საუთჰემპტონი–უიგანი 0:2

**საუთჰემპტონი** (4-5-1): კ. დევისი – კლაინი, ხ. ფონტე, ჰოოველდი, ფოქსი – ს. დევისი (ვორდ-პრაუსი 75), შნაიდერლინი, ლალანა, დო პრადო, როდრიგესი (შარპი 76) - ლამბერტი

**უიგანი** (3-4-3): ალ-ჰაბსი – ალკარასი, კოლდუელი, კონე (ბოსელი 90+2) – ბოისი, მაკარტი, მაკარტური, ფიგეროა – რამისი, დი სანტო (ხ. გომესი 67), მელონი (ბოსეჟური 75)

**გოლები:** 0:1 დი სანტო (51), 0:2 კონე (89)

**გაფრთხილება:** არ ყოფილა

**კარში დარტყმა:** 12-6(8-2), **კუთხური:** 10-3, **ჯარიმა:** 4-8, **თამაშგარე:** 1-2, **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 29 604

### ტოტენჰემი–ვესტ ბრომვიჩი 1:1

**ტოტენჰემი** (4-2-3-1): ფრიდელი – უოლკერი, გალასი, ვერტონგენი, ასუ-ეკოტო – ლივერმორი, სანდრო (სიგურდსონი 73) – ლენონი, ვან დერ ვაარტი (ადებაიორი 62), ბეილი – დეფო (ჯენასი 76)

**ვესტ ბრომვიჩი** (4-2-3-1): ფოსტერი – რიდი, ჯ ოლსონი, მაკოლი, რიჯუელი – იაკობი, მულუმბუ – დორანსი (ბრანტი 75), მორისონი, ფორჩუნი (როზენბერგი 78) – ლონგი (ლუკაკუ 63)

**გოლები:** 1:0 ასუ-ეკოტო (74), 1:1 მორისონი (90)

**გაფრთხილება:** ვერტონგენი – მულუმბუ, რიდი, იაკობი

**კარში დარტყმა:** 15-7(9-3), **კუთხური:** 7-5, **ჯარიმა:** 9-6, **თამაშგარე:** 2-3, **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 36 166

### ჩელსი–ნიუკასლი 2:0

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი – ივანოვიჩი, დ. ლუისი, გ. კეჰილი, ე. კოული – მიკელი, მეირელეში (ლემპარდი 88), ბერტრანდი – აზარი, ტორესი, მატა (რამირესი 67)

**ნიუკასლი** (4-3-3): კრული – სიმპსონი (რ. ტეილორი 64), ს. ტეილორი, კოლოჩინი, სანტონი (სანტონი 74) – კაბაი (პერჩი 77), ანიტა, ხონასი, ბენ არფა, ს. სისე, ბა

**გოლები:** 1:0 აზარი (22-პენ), 2:0 ტორესი (45+2)

**გაფრთხილება:** - ტორესი

**კარში დარტყმა:** 11-9(6-3), **კუთხური:** 2-3, **ჯარიმა:** 8-10, **თამაშგარე:** 1:3, **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 41 718

### სტოკ სიტი–არსენალი 0:0

**სტოკ სიტი** (4-4-2): ბეგოვიჩი – უილსონი, შოუკროსი, ჰუთი, უილკინსონი – კაიტლი, უელანი (პალასიოსი 81), კემერონი, პენანტი (ჯეროში 66) – კრაუჩი (მოტონი 79), უოლტერსი

**არსენალი** (4-3-3): მანონე – გიბსი, ვერმალენი, მერტეზაკერი, ჯენკინსონი – არტეტა, კასორლა (რემსი 81), დიაბი – ჟერვინიო (უოლკოტი 72), ჟირუ, პოდოლსკი (ოქსლეიდ-ჩემბერლენი 72)

**კარში დარტყმა:** 5-13(3-2), **კუთხური:** 0-11, **ჯარიმა:** 10-9, **თამაშგარე:** 3:1, **ბურთის ფლობა:** 32%-68%

**გაფრთხილება:** ჰუთი, უილკინსონი –

**მაყურებელი:** 27 072

### ლივერპული–მანჩესტერ სიტი 2:2

**ლივერპული** (4-2-3-1): რეინა – გ. ჯონსონი, შკრტელი, კოატესი, კელი (ხოსე ენრიკე 66) – ალენი, ლუკასი (შელვი 5) – სტერლინგი, ბორინი (კეროლი 83) – სუარესი

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი – საბალეტა, კომპანი, კ. ტურე, კოლაროვი – მილნერი (დ. სილვა 76), ი. ტურე, ნასრი (როდუელი 59), დე იონგი – ტევესი, ბალოტელი (ჯეკო 62)

**გოლები:** 1:0 შკრტელი (34), 1:1 ი. ტურე (63), 2:1 სუარესი (66), 2:2 ტევესი (80)

**გაფრთხილება:** სუარესი -

**კარში დარტყმა:** 10-9(3-4), **კუთხური:** 4-4, **ჯარიმა:** 10-9, **თამაშგარე:** 0:1, **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 44 942

**სანდერლენდი-რედინგი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| 2. სუონსი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 3. ევერტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4. ვესტ ბრომვიჩი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 5. სიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 6. ფულჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 7-3 | 3 |
| 7. იუნაიტედი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 8. უიგანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9. ნიუკასლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 10. ვესტ ჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 11. სტოკ სიტი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 12. არსენალი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 13. სანდერლენდი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 14. ტოტენჰემი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 15. რედინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 16. ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 17. ნორვიჩი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |
| 18. ქუინზ პარკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |
| 19. საუთჰემპტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 20. ასტონ ვილა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 – მიგელ მიჩუ (სუონსი), 2-2 – მლადენ პეტრიჩი, დემიენ დაფი (ორივე ფულჰემი), ნათან დაიერი (სუონსი), მარუან ფელაინი (ევერტონი), ბრანისლავ ივანოვიჩი, ფერნანდო ტორესი, ფრენკ ლემპარდი (ყველა ჩელსი)

### ჩემპიონშიპი. III ტური

**ბოლტონი-ნოტინგემ ფორესტი** 2:2

გოლები: 0:1 მაკგუგანი (15), 1:1 იგლზი (39), 2:1 სორდელი (49), 2:2 რიდი (57)

**ბრისტოლი-კარდიფი** 4:2

გოლები: 1:0 პირსონი (32), 2:0 ვულფორდი (45), 2:1 სმიტი (57), 3:1 ვულფორდი (70), 3:2 ჰელგუსონი (82), 4:2 ბელდოკი (87)

**ბლექბერნი-ლესტერი** 2:1

გოლები: 1:0 გომესი (33), 1:1 ვარდი (55), 2:1 პედერსენი (79)

**ბლეკპული-იპსვიჩი** 6:0

გოლები: 1:0 კრესუელი (13-ს.კ-ში), 2:0 ტეილორ-ფლეტჩერი (45), 3:0 ინსი (49), 4:0 ინსი (58), 5:0 კეტკარტი (62), 6:0 დიკო (90)

**ბრაიტონი-ბარნსლი** 5:1

გოლები: 1:0 ბარნსი (4), 2:0 ბრიჯი (14), 2:1 კ. დევისი (35-პენ), 3:1 მაკაილ-სმიტი (38), 4:1 მაკაილ-სმიტი (50), 5:1 ბარნსი (81)

**ჩარლტონი-ჰალი** 0:0

**ჰადერსფილდი-ბარნლი** 2:0

გოლები: 1:0 ლინჩი (7). 2:0 როუდსი (58)

**მიდლსბრო-კრისტალ პალასი** 2:1

გოლები: 1:0 ჰაინესი (41), 2:0 სამანა (52), 2:1 ისტერი (56-პენ)

**პიტერბორო-ლიდსი** 1:2

გოლები: 0:1 ბეკიო (7), 0:2 ბეკიო (50), 1:2 ბოსტვიკი (73)

**შეფილდ უენ-მილუოლი** 3:2

გოლები: 1:0 ჯონსონი (19), 1:1 ჰენრი (35), 1:2 ტროტერი (43), 2:2 ლიერა(68), 3:2 ლიერა (90)

**ვულვერჰემპტონი-დერბი** 1:1

გოლები: 1:0 დოილი (35), 1:1 რობინსონი (90)

**უოტფორდი-ბირმინგემი** 2:0

გოლები: 1:0 აბდი (3-პენ), 2:0 ვიდრა (17)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბლეკპული | 3 | 3 | 0 | 0 | 10-1 | 9 |
| 2. შეფილდ უენ. | 3 | 2 | 1 | 0 | 8-6 | 7 |
| 3. ბლექბერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 4. ბრისტოლი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| 5. უოტფორდი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 6. მიდლსბრო | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 7. ლიდსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 8. ნოტინგემი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 9. ჩარლტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 10. ბრაიტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-2 | 4 |
| 11. ვულვზი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 12. ჰადერსფ. | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 13. ბოლტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 14. ჰალ სიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 15. კარდიფი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 16. იპსვიჩი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-7 | 4 |
| 17. ლესტერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 18. ბარნლი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 19. მილუოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 20. ბარნსლი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-8 | 3 |
| 21. დერბი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 22. ბირმინგემი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 23. პიტერბორო | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |
| 24. კრისტ. პალ. | 3 | 0 | 0 | 3 | 4-9 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - ტომას ინსი (ბლეკპული), 3-3 - ლუჩანო ბეკიო (ლიდსი), მარტინ ვულფორდი (ბრისტოლი)

### ლიგა ერთი. III ტური

ბორნმუთი-პრესტონი 1:1, ბრენტფორდი-ქრიუ 5:1, კარლაისლი-პორტსმუთი 4:2, კოლჩესტერი-შეფილდ იუნ 1:1, ქოვენთრი-ბერი 2:2, დონკასტერი-ქროული 0:1, ნოტს ქაუნთი-უოლსოლი 0:1, ოლდჰემი-სტივენეიჯი 0:1, სკანტორპი-იოვილი 0:4, შრიუსბერი-ტრანმერი 1:1, სუინდონი-მილტონი 1:0, ლეიტონი-ჰარტლპული გადაიდო

## შოტლანდია

პრემიერლიგა. IV ტური

### ინვერნესი–სელტიკი 2:4

**სელტიკი:** ფორსტერი, ლუსტიგი, უილსონი, მალგრიუ, ისაგირე (ჩელმერსი 76), მაკორტი, ტვარძიკი, ვანიამა, მეტიუსი (ბანგურა 67) – უოტი, ჰუპერი (ფორესტი 65)

გოლები: 0:1 ვანიამა (3), 0:2 უოტი (25), 0:3 მალგრიუ (48), 0:4 უოტი (64), 1:4 დრეიპერი (82), 2:4 დრეიპერი (86)

| | |
|---|---|
| დანდი-როს ქაუნთი | 0:1 |
| ჰიბერნიანი-სტ. ჯონსტონი | 2:0 |
| კილმარნოკი-დანდი იუნ. | 3:1 |
| აბერდინი-ჰართსი | 0-0 |
| მოზერველი-სტ. მირენი | 1-1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 2. ჰიბერნიანი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 3. დანდი იუნ | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| 4. ჰართსი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-3 | 6 |
| 5. მოზერველი | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| 6. როს ქაუნთი | 4 | 1 | 3 | 0 | 2-1 | 6 |
| 7. სტ. მირენი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 8. კილმარნოკი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| 9. აბერდინი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 10. ინვერნესი | 4 | 0 | 3 | 1 | 7-9 | 3 |
| 11. სტ. ჯონსტ. | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |
| 12. დანდი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-6 | 1 |

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით მარსაგიშვილი
თავისუფალი ჭიდაობა



BP ულოცავს
დავით მარსაგიშვილს
ლონდონის 2012 წლის
ოლიმპიურ თამაშებზე
წარმატებით ასპარეზობას

bp

ოფიციალური პარტნიორი

უცხოური ფეხბურთი

იტალია. სერია A I ტური

# ჩემპიონი მოგებით იწყებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მილანის სასარგებლო მარცხი?

**სერია A-ს 2012/2013 წლების სეზონის გათამაშება ორი ძალიან საინტერესო შეხვედრით გაიხსნა – "ფიორენტინამ" საკუთარ კედლებში "უდინეზე" დაამარცხა, ხოლო "იუვენტუსმა" "პარმა" იმსხვერპლა. ჯერ ფლორენციაში შევიაროთ და შემდეგ, ტურინში გადავინაცვლოთ.**

### ვიოლა გამოსწორდა?

"ფიორენტინას" მესვეურები იმდენი აკრიტიკეს ფლორენციელმა ტიფოზებმა, სანამ მიჯრით განახორციელეს ტრანსფერები და საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყარეს თავი. განსაკუთრებით ეს ნახევარდაცვაზე ითქმის, სადაც რამდენიმე ახალწვეულია – თუნდაც, **ბორხა ვალერო, დავიდ პისარო** და **ალბერტო აკვილანი** შეგვიძლია დავასახელოთ... მოკლედ, "ვიოლა" შუა ხაზში გვარიანად მოძლიერდა და პირველ ტურში, ეს ნათლად გამოჩნდა. მართალია, ერთი თამაშით ვერანაირ დასკვნებს ვერ გავაკეთებთ, მაგრამ უდინელები რომ ფლორენციელებმა სწორედ მოედნის შუაგულში დაჩაგრეს, ეს ფაქტია. ამ ყველაფერს შეტევის წინა ხაზზე **სტევან იოვეტიჩის** შესანიშნავი თამაში დაემატა და შედეგიც შესაბამისი დაიდო. "ფიორენტინამ" ძალიან კარგად დაიწყო სეზონი, დაამარცხა რა მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი მეტოქე და გულშემატკივრებში იმედი გააჩინა, რომ "ვიოლას" ხანგრძლივი კრიზისი მალე დასრულდება. მატჩის შემდეგ, ფლორენციული გუნდის მთავარი მწვრთნელი, **ვინჩენცო მონტელა** უაღრესად კმაყოფილი იყო:

*"ოპტიმალური კონდიციისგან შორს ვართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალიან კარგი თამაში ვაჩვენეთ. ძალიან კმაყოფილი ვარ შეგირდთა გარჯით, თავი არ დაუზოგავთ და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს. რაც მთავარია, მომატება შეგვიძლია და ესეც კარგად გამოჩნდა – სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი და ვეცდებით, რომ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი გადავიბიროთ. აქვე განსაკუთრებულად მინდა გამოვარჩიო სტევან იოვეტიჩი, რომლის დუბლმაც სამი ქულის მოპოვებით ტკბობის საშუალება მოგვცა. ჩერნოგორიელი "ფიორენტინას" ძალიან სჭირდება და ის არსად არ წავა".*

### თითქოს სეზონი გახურებული იყოს

გასული სეზონის ტრიუმფატორმა ახალი ჩემპიონატიც გამარჯვებით დაიწყო – "იუვენტუსმა" ყველა კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. ტურინელებმა ორი უპასუხო გოლი მიართვეს "პარმას" და სამი ქულა აუღელვებლად მოიპოვეს. მასპინძელთაგან შეტევის წინა ხაზზე **სებასტიან ჯოვინკო** და **მირკო ვუჩინიჩი** მოქმედებდნენ, ანტრაქტის შემდეგ კი საქმეში **ალესანდრო მატრიც** ჩაერთო. თუმცა, თავდამსხმელებიდან დიდად არც ერთს არ გაუბრწყინია, თავი უფრო უკანახაზელებმა გამოიდეს და თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ გოლის ავტორებს გადახედოთ. პირველი გოლი **კვადვო ასამოას** პასის შემდეგ **შტეფან ლიხტშტაინერმა** გაიტანა, მეორე კი **ანდრეა პირლოს** ანგარიშზეა, რომელმაც საფირმო საჯარიმო დარტყმა შეასრულა უზუსტესად. ტრადიციულად, პირლო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო და ტურინელთა თამაშს სიღრმიდან წარმართავდა. ემილიელებმა პიემონტელებს საერთოდ ვერაფერი დაუპირისპირეს და ნამატჩევს მწვრთნელმა ისლა თქვა, ძლიერმა გაიმარჯვაო. რაც შეეხება **ანტონიო კონტეს**, მისი ამბავი კარგად მოგეხსენებათ და არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ მატჩის შემდგომი კომენტარი არ გაუკეთებია.

მთლიანობაში "იუვენტუსმა" საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ტურინელებმა თამაში მაღალ ტემპში წარმართეს და ისე გაისარჯნენ, თითქოს სეზონი გახურებული იყოს. როგორც ჩანს, ტურინელებმა მოსამზადებელი ეტაპი კარგად დაგეგმეს და ჩემპიონატის სტარტს მომზადებულნი შეხვდნენ. აქედანვე ჩანს, რომ "იუვენტუსი" სკუდეტოს შენარჩუნებისთვის იბრძოლებს, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

### მილანმა ჯერ არ იცის, რა შეუძლია

აი, რა მიზნებისთვის იბრძოლებს "მილანი", ერთი ღმერთმა იცის, რადგან გუნდი აშკარად დასუსტებულია და ეს პირველივე ტურში გამოჩნდა. კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ერთი თამაშით დასკვნების გამოტანა უმადური საქმეა, მაგრამ შემადგენლობის მხრივ რომ "როსონერის" სერიოზული პრობლემები აქვს, ეს ფაქტია. ზაფხულში, გუნდი **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, ტიაგო სილვამ** და კიდევ არაერთმა ვარსკვლავმა დატოვა, რომელთა ღირსეული შემცვლელები ჯერჯერობით არ ჩანან. სულ ახლახან, "მილანელო" **ანტონიო კასანომაც** დატოვა და "ინტერს" მიაშურა – მართალია, იქიდან აქეთ **ჯამპაოლო პაცინი** მივიდა, მაგრამ ამ უკანასკნელს კარგა ხანია კრიზისი აქვს და კაცმა არ იცის, როდის ათამაშდება, ან ათამაშდება თუ არა საერთოდ. მოკლედ, "მილანი" რთულ დღეშია და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პირველივე ტურში დადასტურდა. **მასიმილიანო ალეგრის** შეგირდები ნელ ტემპში უტევდნენ მეტოქეს, ბევრი ვერაფერი დააკლეს და ბოლოს გოლიც გაუშვეს. მართალია, ტერიტორიულ უპირატესობას "შავწითლები" ფლობდნენ, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ გენუელებმა სამი ქულა დაუმსახურებლად მოიპოვეს. ინერტული იყო **სტეფან ელ შაარავისა** და **რობინიოს** თავდამსხმელთა ტანდემი, ვერც ჯამპაოლო პაცინიმ გაიბრწყინა და შედეგიც გენუელთა სასარგებლო დაფიქსირდა. შესაძლოა, ეს მარცხი "მილანისთვის" უკეთესიც იყოს, თუმცა ეს იმ შემთხვევაში, თუ კლუბის მესვეურები სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურდებიან და 31 აგვისტომდე მინიმუმ ერთ ექსტრაკლასის ფეხბურთელს გადაიბირებენ. ამბობენ, **ადრიანო გალიანი** მადრიდშია ჩასული და **კაკას** ტრანსფერი ბოლომდე მიყავსო. ვნახოთ!

"ინტერმა" ახალი სეზონი დამაჯერებელი გამარჯვებით გახსნა – **ანდრეა სტრამაჩონის** შეგირდებმა დებიუტანტი "პესკარა" დაიბრიყვეს და მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვეს. არადა, ბევრი ფიქრობდა, რომ მოტივირებული "დელფინები" დიდ წინააღმდეგობას გაუწევდნენ მილანელებს, მაგრამ ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა – ლომბარდიელებმა სამი უპასუხო გოლი გაუტანეს დებიუტანტს და ამდენივე ქულა უპრობლემოდ მოიპოვეს.



მასიმილიანო ალეგრი და რობინიო სამპდორიასთან ვერაფერს გახდნენ

**მომდევნო ტური**

1 სექტემბერი: ტორინო-პესკარა, ბოლონია-მილანი.

2 სექტემბერი: უდინეზე-იუვენტუსი, კალიარი-ატალანტა, კატანია-ჯენოა, ინტერი-რომა, ლაციო-პალერმო, ნაპოლი-ფიორენტინა, პარმა-კიევო, სამპდორია-სიენა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაური**

#### ფიორენტინა-უდინეზე 2:1

**ფიორენტინა (3-5-2):** ვივიანო – რონდალია, გონსალო, ნასტასიჩი – კასანი (52. კუადრადო), რომულო (78. რომულო), ბორხა ვალერო, პისარო, პასკუალი – ლიაიჩი (66. ელ ჰამდაუი), იოვეტიჩი.

**უდინეზე (3-5-1-1):** ბრკიჩი – ჰეორტალიქსი, დანილო, კოდა – ფარაონი, ბატოკიო, ვილიანსი (46. პერეირა), ბადუ, პასკუალე (77. დომიცი) – მაიკოსუელი – მურიელი (68. ფაბრინი).

**გოლები:** 0:1 მაიკოსუელი (28), 1:1 იოვეტიჩი (68), 2:1 იოვეტიჩი (90).

**კუთხური:** 10-0; **ჯარიმა:** 14-11; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10(2)-3(1); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 35 000

#### იუვენტუსი-პარმა 2:0

**იუვენტუსი (3-5-2):** სტორარი – მარონე, ბონუჩი, ბარცალი – ლიხტშტაინერი (78. პადოინი), ვიდალი, პირლო, მარკიზიო, ასამოა – ჯოვინკო (87. დე ჩელიე), ვუჩინიჩი (70. მატრი).

**პარმა (3-5-2):** მირანტე – ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი – როზი (82. პელე), ასკუა (58. ნინისი), ვალდესი, პაროლო, გობი – ბიაბიანი, პაბონი (82. ბელფოდილი).

**გოლები:** 1:0 ლიხტშტაინერი (54), 2:0 პირლო (58).

**კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 20-11; **თამაშგარე:** 9-1; **კარში დარტყმა:** 12(6)-6(5); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 37 000

#### მილანი-სამპდორია 0:1

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – დე შილიო, ბონერა, იეპესი, ანტონინი – ფლამინი, მონტოლივო, ნოჩერინო (70. კონსტანტი) – ბოატენგი – ელ შაარავი (56. პაცინი), რობინიო (59. ემანუელსონი).

**სამპდორია (4-3-3):** რომერო – ბერარდი, გასტალდელო, როსინი, კოსტა - ობიანგი, ტისონე, პოლი (81. მუნარი) – ესტიგარიბია (74. მაქსი ლოპესი), ედერი (76. სორიანო), კრსტიჩი.

**გოლი:** 0:1 კოსტა (59).

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 8-14; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 16(6)-8(3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 65 000

#### რომა-კატანია 2:2

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – პარიზი, ბურდისო, კასტანი, ბალცარეტი – ბრედლი, დე როსი, პიანიჩი (85. ფლორენცი) – ტოტი (85. ლოპესი), ლამელა (72. მარკინიო), ოსვალდო.

**კატანია (4-4-2):** ანდუხარი – ანდუხარი, ბელუში, ლეგროტალიე, მარკეზე – ალმირონი, ბიაჯანტი (85. შაკა), ლოდი, ბარიენტოსი (66. კასტრო) – ბერგესიო (76. ბერგესიო), გომესი.

**გოლები:** 0:1 მარკეზე (29), 1:1 ოსვალდო (59), 1:2 გომესი (61), 2:2 ლოპესი (90).

**კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 14(5)-9(4); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 45 000

#### ატალანტა-ლაციო 0:1

**ატალანტა (4-4-2):** კონსილი – ბელინი, ლუკინი, მანფრედინი, ბრივიო – სკეოლოტო (67. ტროისი), ბიონდინი (90. კაცოლა), ჩიგარინი, ბონავენტურა (75. პრარა) – მორალესი, დენისი.

**ლაციო (4-3-2-1):** მარკეტი – კონკო, დიასი, ბიავა, ლულიჩი – გონსალესი (84. ცანა), ლედესმა, ერნანესი – მაური (80. ონაზი), კანდრევა (89. სკალონი) - კლოზე.

**გოლები:** 0:1 ერნანესი (17).

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 5(3)-10(4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 22 000

#### კიევო-ბოლონია 2:0

**კიევო (4-3-3):** სორენტინო – დაინელი, ცეზარი, ფრეი, სარდო – რიგონი, ჰეტემაი, ლუსიანო (85. ვაჩეკი) – თერეუ (84. მოსკარდელი), პელისიერი, დი მიკელე (61. კრუსადო).

**ბოლონია (3-4-2-1):** ალიარდი – კერუბინი, დე კარვალიო, ანტონსონი – გარიჩი (68. გაბიადინი), პერესი, ტაიდერი, გუარანტე (84. პულცეტი) – დიამანტი, მოტა – აკვაფრესკა (88. პასკუატო).

**გოლები:** 1:0 პელისიერი (65), 2:0 კრუსადო (79).

**კუთხური:** 1-1; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 6(3)-3(1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 12 000

#### ჯენოა-კალიარი 2:0

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – მესტო (46. მესტო), გრანკვისტი, კანინი, ანტონელი (68. მორეტი) – კუჩკა, იანკოვიჩი, სეიმური (67. ტოსცერი), მერკელი – იმობილე, ხორკერა.

**კალიარი (4-3-3):** აგაცი – პიზანო, ასტორი, აველარი (60. პერიკო), როსეტინი – დესენა (83. იბარბო), ეკდალი, ნაინგოლანი – კოსუ, პინილია (86. რიბეირო), ლარივეი.

**გოლები:** 1:0 მერკელი (51), 2:0 იმობილე (85).

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 11(4)-15(4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 22 000

#### პალერმო-ნაპოლი 0:3

**პალერმო (3-4-2-1):** უიკანი – მუნიოსი, ჩეტო, ფონ ბერგენი – პიზანო, დონატი (55. რიოსი), ბრიენცა (29. მილიაჩო), ბერტოლო, ბარეტო (80. ბუდანი) – ერნანდესი, მიკოლი.

**ნაპოლი (3-5-2):** დე სანქტისი – ბრიტოსი, კანავარო, კამპანიარო – მაჯო, ინლერი (77. ვარგასი), ბერამი, არონიკა, ჰამშიკი (90. დონადელი) – ინსინიე (61. ჯემაილი) – კავანი.

**გოლები:** 0:1 ჰამშიკი (48), 0:2 მაჯო (79), 0:3 კავანი (88).

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 12-8; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 11(6)-8(5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 30 000

#### პესკარა-ინტერი 0:3

**პესკარა (4-3-3):** პერინი – ძანონი, რომანიოლი, კაპუანო, ბალცანო – ნილსენი (62. კუინტერო), კოლუჩი, კაშონე – ვეისი, ჯონატასი (75. აბრუსკატო), კაპრარი (66. სელიკი).

**ინტერი (4-3-2-1):** კასტელაცი – ძანეტი, რანოკია, სილვესტრი, ნაგატომო – გარგანო (86. დუნკანი), კამბიასო, გუარინი - სნეიდერი, კასანო (68. კოუტინიო) – მილიტო (83. ლივაია).

**გოლები:** 0:1 სნეიდერი (17), 0:2 მილიტო (19), 0:3 კოუტინიო (81).

**კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 12-5; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 10(5)-13(6); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 18 000

#### სიენა-ტორინო 0:0

**სიენა (3-5-2):** პეგოლო – ნეტო, ფელიპე (86. პაჩი), კონტინი - დელ გროსო, მანინი, ვერე (78. სესტუ), ვერგასოლა, დაგოსტინო – ბოგდანი (46. ვალიანი), კალაიო.

**ტორინო (4-2-2-2):** ჟილე – დარმიანი, გლიკი, ოგბონა, მაზიელო – გაცი, ბრიგი – ვივესი (77. ბაშა), სტევანოვიჩი (55. სანტანა) – მეჯორინი, ბიანკი.

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 4(0)-7(1); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 11 000

**შენიშვნა:** *სიენა – 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

#### სერია B

**I ტური**

**მოდენა-ვერონა** 1:1

**გოლები:** 0:1 ბაჩინოვი (15), 1:1 სინიორი (49).

**ბარი-ჩიტადელა** 2:1

**გოლები:** 1:0 ჩეპიტელი (10), 1:1 სანტოსი (46-ს.კ) 2:1 კაპუტო (62).

**კროტონე-ბრეშა** 1:0

**გოლი:** 1:0 მაილო (90).

**ემპოლი-რეჯინა** 1:1

**გოლები:** 1:0 პუჩიარელი (11-პენ.), 1:1 ჩერავოლო (55).

**გროსეტო-ნოვარა** 1:1

**გოლები:** 1:0 სფორცინი (18), 1:1 გონსალესი (64).

**იუვე სტაბია-ლივორნო** 1:3

**გოლები:** 1:0 მუროლო (34), 1:1 სალვიატო (43), 1:2 სილიგარდი (64), 1:3 დიონისი (72).

**პადოვა-ლანჩანო** 1:1

**გოლები:** 1:0 რენძეტი (38), 1:1 მამარელა (57).

**პრო ვერჩელი-ტერნანა** 1:0

**გოლი:** 1:0 პიაცა (13).

**სპეცია-ვიჩენცა** 2:1

**გოლები:** 1:0 სანსოვინი (5), 1:1 ჯაკომელი (72), 2:1 სანსოვინი (90).

**ვარეზე-ასკოლი** 2:0

**გოლები:** 1:0 პერეირა (48), 2:0 ძეჩინი (90).

**ჩეზენა-სასუოლო** დღეს

**შენიშვნა:** გროსეტო – 6 ქულა, ბარი – 5, ნოვარა – 4, რეჯინა – 3, პადოვა – 2, მოდენა – 2, ემპოლი – 1, ასკოლი – 1, ვარეზე – 1.

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### ნაციონალი

IV ტური

| | |
|---|---|
| სტოკპორტი-გეიტსჰედი | 1:2 |
| ბაროუ-ალფრეტონი | 1:3 |
| ბრენტრი-ნიუპორტი | 1:2 |
| დარტფორდი-კიდერმინსტერი | 1:0 |
| ფორესტ გრინი-უოკინგი | 3:1 |
| ჰერეფორდი-ებსფლიტი | 4:2 |
| ლინკოლნი-მაკლსფილდი | 2:3 |
| ლუტონი-ტელფორდი | 0:1 |
| მენსფილდი-ჰაიდი | 1:0 |
| ნანიტონი-კემბრიჯი | 2:2 |
| საუთპორტი-ტამუორტი | 0:3 |
| რექსემი-გრიმსბი | 0:0 |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

IV ტური

| | |
|---|---|
| კლოპენბურგი-გოსლარერი | 5:1 |
| ჰანოვერი II-ობერნოილანდი | 5:1 |
| ჰაველსე-მეპენი | 1:1 |
| ვიქტორია-ვერდერი II | 1:2 |
| ვაიხი-ჰამბურგი II | 0:5 |
| რედენი-სტ. პაული II | 1:1 |
| ნოიმიუნსტერი-კილი | 1:4 |
| ოლდენბურგი-ვოლფსბურგი II | 1:1 |
| ვილჰელმსჰავენი-ლიუბეკი | 1:1 |

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

II ტური

| | |
|---|---|
| აუერბახი-მეისელვიცი | 5:0 |
| კარლ ცაისი-მაგდებურგი | 0:0 |
| ბერლინერი-ცვიკაუ | 1:0 |
| რატენოვი-ჰერტა II | 2:1 |
| გერმანია-პლაუენი | 2:0 |
| ლოკომოტივი-ტორგელოვერი | 3:1 |
| ნოიშტრელიცი-ლაიპციგი | 1:2 |
| უნიონი II-კოტბუსი II | 2:2 |

### რეგიონალლიგა (დას)

V ტური

| | |
|---|---|
| ჰულსი-ვუპერტალერი | 0:3 |
| ლევერკუზენი II-ბოხუმი II | 0:2 |
| ვიდენბრუკი-ვიქტორია | 0:4 |
| კიოლნი II-ფელბერტი | 2:2 |
| ობერჰაუზენი-ფერლი | 3:2 |
| ფორტუნა-ესენი | 3:1 |
| ბერგიში-ლოტე | 1:2 |
| კრაი-გლადბახი II | 3:1 |
| ფორტუნა II-ზიგენი | 1:2 |

### რეგიონალლიგა (ს-დ)

V ტური

| | |
|---|---|
| აინტრახტი II-პფიულენდორფი | 4:2 |
| ეშბორნი-მაინცი II | 2:1 |
| კასელი-ელვერსბერგი | 1:1 |
| ობერშტაინი-ულმი | 0:1 |
| ფრანკფურტი II-ტრირი | 0:3 |
| ჰომბურგი-ფრაიბურგი II | 2:0 |
| კობლენცი-ბაიერნი (ა) | 1:1 |
| მანჰაიმი-კაიზერი II | 1:1 |
| ვორმატია-ჰოფენჰაიმი II | 1:1 |

### რეგიონალლიგა (ბ)

IX ტური

| | |
|---|---|
| აუგსბურგი II-ბაიერნ ჰოფი | 1:1 |
| ვიურცბურგერი-ჰელმსშტეტენი | 1:1 |
| ზელიგენპორტენი-მიუნხენი II | 2:1 |
| ბამბერგი-ბუხბახი | 0:4 |
| ისმანინგი-როზენჰაიმი | 3:0 |
| ილერტისენი-ფრონლახი | 3:0 |
| რაინი-ელტერსდორფი | 1:0 |
| ვიქტორია-მემინგენი | 0:2 |
| ფიურტი II-ინგოლშტადტი II | 1:0 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

V ტური

| | |
|---|---|
| ანჟერსი-ისტრი | 0:1 |
| ოსერი-ლავალი | 2:1 |
| შატორუ-ტური | 3:0 |
| გფკო აიაჩო-ლანსი | 1:1 |
| მონაკო-არლი | 3:0 |
| ნიორი-გინგამი | 0:0 |
| კლერმონი-სედანი | 0:2 |
| ნიმი-კაენი | 0:2 |
| დიჟონი-ჰავრი | 2:2 |
| ნანტი-ლე მანი | დღეს |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

IV ტური

| | |
|---|---|
| მარიტიმუ B-გიმარაეში B | 2:0 |
| აროუკა-ოლივეირენსე | 2:1 |
| სტ. კლარა-ტონდელა | 0:0 |
| ატლეტიკო-სპორტინგი B | 1:3 |
| ბრაგა B-უნიაო | 1:1 |
| ფრეამუნდე-პორტიმონენსე | 1:3 |
| კოვილია-პენაფიელი | 0:1 |
| ტროფენსე-ლეიქსოესი | 0:1 |
| პორტუ B-ავეში | 1:2 |
| ფეირენსე-ნავალი | 0:0 |
| ბენფიკა B-ბელენენსეში | დღეს |

## ბოსნია

IV ტური

| | |
|---|---|
| გრადინა-ველეჟი | 1:3 |
| ოლიმპიკი-სარაევო | 0:1 |
| რადნიკი-ტრავნიკი | 2:2 |
| რუდარი-ლეოტარი | 3:1 |
| სელიკი-შიროკი ბრიეგი | 2:1 |
| გაბელა-ჟელეზნიჩარი | 2:3 |
| სლავია-ჟვიეზდა | 1:0 |
| ზრინსკი-ბორაცი | 1:0 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

III ტური

| | |
|---|---|
| ეირდრი-დანფერმლაინი | 1:2 |
| კოუდენბითი-ჰემილტონი | 1:0 |
| მორტონი-ფალკირკი | 1:2 |
| პარტიკი-დამბარტონი | 3:0 |
| რეითი-ლივინგსტონი | 0:0 |

### II დივიზიონი

III ტური

| | |
|---|---|
| ალოა-არბროთი | 2:3 |
| ეირი-ფორფარი | 2:3 |
| ბრეჩინი-ისტ ფაიფი | 2:1 |
| ქუინი-ალბიონი | 1:0 |
| სტრანრარი-სტენჰაუზმური | 1:1 |

### III დივიზიონი

III ტური

| | |
|---|---|
| ისტ სტირლინგი-ელჯინი | 1:4 |
| მონროუზი-ანენი | 0:0 |
| პიტერჰედი-ქუინზ პარკი | 1:0 |
| სტირლინგი-კლაიდი | 0:1 |
| ბერვიკი-რეინჯერსი | 1:1 |

## ავსტრია

VI ტური

| | |
|---|---|
| ავსტრია-ტიროლი | 2:0 |
| მატერსბურგი-რიდი | 2:1 |
| ზალცბურგი-ვინერი | 1:1 |
| შტურმი-ადმირა | 3:2 |
| ვოლფსბერგი-რაპიდი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრია | 6 | 5 | 0 | 1 | 8-1 | 15 |
| 2. რაპიდი | 6 | 4 | 0 | 2 | 10-4 | 12 |
| 3. მატერსბურგი | 6 | 4 | 0 | 2 | 11-7 | 12 |
| 4. ზალცბურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 12-9 | 11 |
| 5. რიდი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-7 | 9 |
| 6. შტურმი | 6 | 3 | 0 | 3 | 9-11 | 9 |
| 7. ადმირა | 6 | 2 | 1 | 3 | 12-11 | 7 |
| 8. ვოლფსბერგი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-8 | 6 |
| 9. ვინერი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-13 | 4 |
| 10. ტიროლი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-14 | 3 |

## დანია

VII ტური

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-სონდერიისკი | 4:1 |
| რანდერსი-კოპენჰაგენი | 2:3 |
| მიდტიულანდი-სილკებორგი | 1:1 |
| ოდენსე-ოლბორგი | 0:4 |
| ბრონდბიუ-ესბერგი | 1:1 |
| ჰორსენსი-აგფ ორჰუსი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 7 | 5 | 2 | 0 | 17-7 | 17 |
| 2. ნორდსილანდი | 7 | 4 | 2 | 1 | 18-7 | 14 |
| 3. ოლბორგი | 7 | 4 | 2 | 1 | 15-7 | 14 |
| 4. ოდენსე | 7 | 4 | 1 | 2 | 7-8 | 13 |
| 5. რანდერსი | 7 | 4 | 0 | 3 | 9-12 | 12 |
| 6. სონდერიისკი | 7 | 3 | 1 | 3 | 12-11 | 10 |
| 7. მიდტიულანდი | 7 | 2 | 2 | 3 | 11-14 | 8 |
| 8. ჰორსენსი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-10 | 8 |
| 9. აგფ ორჰუსი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-8 | 5 |
| 10. ბრონდბიუ | 7 | 1 | 2 | 4 | 6-10 | 5 |
| 11. სილკებორგი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-15 | 4 |
| 12. ესბერგი | 7 | 0 | 3 | 4 | 5-9 | 3 |

### II დივიზიონი

VI ტური

ჰობრო-კიოგე 0:0; ლუნგბიუ-ვიბორგი 2:1; აკადემისკი-ფრედერისია 1:3; ვესტსიელანდი-სკივე 2:1; ჰოლინგი-ბრონსჰოი 0:3; ფინი-ვეილე დღეს.

## ფინეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ჰაკა-ლაჰტი | 0:3 |
| ჰიკ-მარიეჰამნი | 5:1 |
| ინტერი-იარო | 3:1 |
| კუოპიო-იუვიასკიულა | 2:3 |
| მიუპა-ტურკუ | 1:1 |
| ჰონკა-ვაასა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 23 | 14 | 2 | 7 | 47-30 | 44 |
| 2. ტურკუ | 23 | 12 | 4 | 7 | 44-23 | 40 |
| 3. ჰიკ | 23 | 12 | 4 | 7 | 38-23 | 40 |
| 4. მარიეჰამნი | 23 | 10 | 7 | 6 | 33-29 | 37 |
| 5. მიუპა | 23 | 10 | 6 | 7 | 27-19 | 36 |
| 6. ვაასა | 22 | 9 | 6 | 7 | 25-19 | 33 |
| 7. ჰონკა | 22 | 9 | 5 | 8 | 24-26 | 32 |
| 8. ლაჰტი | 24 | 10 | 1 | 13 | 28-37 | 31 |
| 9. იუვიასკიულა | 23 | 9 | 3 | 11 | 36-45 | 30 |
| 10. კუოპიო | 23 | 7 | 4 | 12 | 25-36 | 25 |
| 11. ჰაკა | 24 | 7 | 1 | 16 | 25-45 | 22 |
| 12. იარო | 23 | 5 | 5 | 13 | 16-36 | 20 |

### II დივიზიონი

XXI ტური

ოპს-იიპო 3:0; პკ35-როვანიემი 0:1; ვიიკინგიტი-სეინაიონი 0:1.

## საბერძნეთი

I ტური

| | |
|---|---|
| აეკ-ასტერასი | 0:1 |
| იანინა-პლატანიასი | 0:0 |
| ლევადია-პანათინაიკოსი | 0:1 |
| კერკირა-ატრომიტოსი | 0:2 |
| ოფი-ქსანტი | 0:0 |
| პაოკ-პანთრაკიკოსი | 1:0 |
| ვერია-ოლიმპიაკოსი | 1:2 |
| პანიონიოსი-არისი | დღეს |

## სლოვენია

VII ტური

| | |
|---|---|
| დომჟალე-რუდარი | 2:0 |
| პუბლიკუმი-მარიბორი | 0:2 |
| ალუმინი-ოლიმპია | 2:1 |
| ტრიგლავი-გორიცა | 2:1 |
| კოპერი-მურა | 4:1 |

## ისლანდია

XVII ტური

| | |
|---|---|
| აკრანესი-გრინდავიკი | 2:1 |
| ბრეიდაბლიკი-სელფოსი | 1:1 |
| ფილკირი-ჰაფნარი | 0:1 |
| სტიარნანი-ვესტმანაეიარი | 1:1 |
| კეფლავიკი-ვალური | დღეს |
| რეიკიავიკი-ფრამი | დღეს |

## ჩრ. ირლანდია

III ტური

| | |
|---|---|
| გლენავონი-დუნგანონი | 0:1 |
| ლინფილდი-დონეგალი | 4:0 |
| პორტადაუნი-კოლრეინი | 3:4 |
| ბალინამალარდი-ბალიმენა | 0:0 |
| კლიფტონვილი-გლენტორანი | 1:1 |
| ლისბურნი-კრუზეიდერსი | 1:3 |

## ნორვეგია

XX ტური

| | |
|---|---|
| ოდ გრენლანდი-ბრანი | 1:0 |
| სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 3:3 |
| ჰაუგესუნდი-სტაბეკი | 4:1 |
| ჰიონეფოსი-ტრომსიო | 0:1 |
| მიოლდე-ვოლერენგა | 2:0 |
| სანდნესი-სოგნდალი | 3:1 |
| რუსენბორგი-ვიკინგი | 1:1 |
| ფრედრიკსტადი-ოლესუნდი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიოლდე | 20 | 13 | 2 | 5 | 35-20 | 41 |
| 2. სტრიომსგოდსეტი | 20 | 12 | 4 | 4 | 42-28 | 40 |
| 3. რუსენბორგი | 20 | 9 | 10 | 1 | 34-16 | 37 |
| 4. ჰაუგესუნდი | 20 | 8 | 7 | 5 | 35-24 | 31 |
| 5. ვიკინგი | 20 | 9 | 4 | 7 | 28-26 | 31 |
| 6. ტრომსიო | 19 | 8 | 6 | 5 | 31-22 | 30 |
| 7. ბრანი | 20 | 9 | 2 | 9 | 38-29 | 29 |
| 8. ჰიონეფოსი | 20 | 7 | 8 | 5 | 22-22 | 29 |
| 9. ვოლერენგა | 20 | 8 | 4 | 8 | 28-29 | 28 |
| 10. ოდ გრენლანდი | 20 | 7 | 4 | 9 | 27-35 | 25 |
| 11. ლილესტრიომი | 20 | 5 | 9 | 6 | 30-34 | 24 |
| 12. ოლესუნდი | 19 | 5 | 8 | 6 | 24-24 | 23 |
| 13. სანდნესი | 19 | 5 | 5 | 9 | 23-34 | 20 |
| 14. სოგნდალი | 20 | 4 | 7 | 9 | 19-29 | 19 |
| 15. ფრედრიკსტადი | 19 | 4 | 3 | 12 | 26-38 | 15 |
| 16. სტაბეკი | 20 | 3 | 1 | 16 | 17-49 | 10 |

### II დივიზიონი

XIX ტური

ბოდო გლიმტი-ჰამ კამი 3:1; ალტა-სანდეფიორდი 0:1; ბორუმი-ჰიოდი 1:2; კონგსვინგერი-მიონდალენი 0:2; ნოტოდენი-ულ კისა 1:2; რანჰაიმი-ბრინი 0:0; სარპსბორგი-ტრიომსდალენი 2:0; სტრიომენი-სტარტი 1:2.

## შვედეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ერებრო-გეფლე | 1:2 |
| იურგორდენი-ჰელსინგბორგი | 3:1 |
| გაის-აიკ | 0:1 |
| ჰაკენი-ელფსბორგი | 4:2 |
| კალმარი-გიოტებორგი | 3:0 |
| ატვიდაბერგი-ნორჩოპინგი | დღეს |
| მიალბიუ-სირიანსკა | დღეს |
| მალმიო-სუნდსვალი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელფსბორგი | 20 | 13 | 2 | 5 | 35-20 | 41 |
| 2. ჰაკენი | 20 | 11 | 3 | 6 | 43-25 | 36 |
| 3. აიკ | 20 | 10 | 6 | 4 | 25-18 | 36 |
| 4. მალმიო | 19 | 10 | 5 | 4 | 33-24 | 35 |
| 5. ჰელსინგბორგ | 20 | 8 | 7 | 5 | 31-24 | 31 |
| 6. იურგორდენ | 20 | 6 | 11 | 3 | 26-22 | 29 |
| 7. ნორჩოპინგი | 19 | 8 | 5 | 6 | 27-32 | 29 |
| 8. ატვიდაბერგი | 19 | 7 | 6 | 6 | 37-29 | 27 |
| 9. კალმარი | 20 | 7 | 5 | 8 | 26-31 | 26 |
| 10. სუნდსვალი | 19 | 6 | 6 | 7 | 24-22 | 24 |
| 11. გიოტებორგი | 20 | 5 | 9 | 6 | 25-30 | 24 |
| 12. მიალბიუ | 19 | 5 | 8 | 6 | 22-26 | 23 |
| 13. სირიანსკა | 19 | 6 | 3 | 10 | 19-29 | 21 |
| 14. გეფლე | 20 | 4 | 7 | 9 | 16-27 | 19 |
| 15. გაის | 20 | 1 | 8 | 11 | 16-29 | 11 |
| 16. ერებრუ | 20 | 2 | 5 | 13 | 17-34 | 11 |

### II დივიზიონი

XXI ტური

ფალკენბერგი-ჰამარბიუ 1:3; ასირისკა-ლიუნგსკილე 2:0; დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება.

## თურქეთი

### II დივიზიონი

I ტური

| | |
|---|---|
| ბოლუ-ადანა დემირი | 0:0 |
| ადანა-შანლიურფა | 0:0 |
| სამსუნი-თავშანლი | 1:1 |
| ქართალი-გიოზთეფე | 2:1 |
| დენიზლი-1461 ტრაბზონი | 1:2 |
| ერჩიესი-ანკარაგიუჯუ | 2:1 |
| ქონია-ბუკა | 0:2 |
| რიზე-ბბ გაზიანთეფი | 2:1 |
| ქარსიაქა-მანისა | დღეს |

## უელსი

II ტური

| | |
|---|---|
| აფან ლიდო-რნს | 1:3 |
| ებერისტვიტი-ბალა | 1:1 |
| ქონიასი-პორტ ტელბოტი | 2:0 |
| ლანელი-პრესტატინი | 2:2 |
| ნიუტაუნი-ბანგორი | 3:2 |
| ეირბასი-კარმარტენი | 1:2 |

## ბელარუსი

XXII ტური

| | |
|---|---|
| გომელი-ნემანი | 1:1 |
| ნაფტანი-დინამო (მნ) | 0:2 |
| ტორპედო-შახტიორი | 2:3 |
| მინსკი-დინამო (ბრ) | 2:1 |
| სლავია-ბატე | გადაიდო |

## შვეიცარია

VII ტური

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-თუნი | 1:0 |
| სტ. გალენი-ბაზელი | 2:1 |
| სერვეტი-ლუცერნი | 0:2 |
| ციურიხი-სიონი | 1:0 |
| იანგ ბოიზი-ლოზანა | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიონი | 7 | 5 | 1 | 1 | 10-2 | 16 |
| 2. სტ. გალენი | 7 | 4 | 3 | 0 | 10-5 | 15 |
| 3. გრასჰოპერსი | 7 | 4 | 2 | 1 | 8-5 | 14 |
| 4. ბაზელი | 7 | 3 | 3 | 1 | 12-8 | 12 |
| 5. იანგ ბოიზი | 7 | 2 | 3 | 2 | 9-5 | 9 |
| 6. ციურიხი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-11 | 8 |
| 7. თუნი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-9 | 7 |
| 8. ლუცერნი | 7 | 1 | 3 | 3 | 7-11 | 6 |
| 9. ლოზანა | 7 | 1 | 2 | 4 | 5-10 | 5 |
| 10. სერვეტი | 7 | 0 | 2 | 5 | 3-12 | 2 |

### ჩელენჯლიგა

VII ტური

არაუ-ლუგანო 3:1; ვადუცი-ვოლენი 5:0; ბილი-ვინტერტური 3:2; ლოკარნო-ვილი 0:3; კიასო-ბელინცონა დღეს.

## ბულგარეთი

III ტური

| | |
|---|---|
| ჩერნო მორე-სლავია | 0:0 |
| ცსკა-ლოკომოტივი (პ) | 0:0 |
| მონტანა-ლევსკი | 0:2 |
| პირინი-ლუდოგორეცი | 0:2 |
| ლიტექსი-მინიორი | 0:0 |
| ბოტევი-ჩერნომორეცი | 2:0 |
| ლოკომოტივი (ს)-ბოტევი | 3:0 |
| ბეროე-ეტერი | 1:0 |

## ხორვატია

VI ტური

| | |
|---|---|
| ინტერი-რიეკა | 2:0 |
| სლავენი-ლოკომოტივა | 3:2 |
| სიბალია-ზადარი | 0:0 |
| ისტრა-სპლიტი | 1:0 |
| დინამო-ზაგრები | 6:0 |
| ჰაიდუკი-ოსიეკი | 1:1 |

## ჩეხეთი

V ტური

| | |
|---|---|
| სლავია-ბრნო | 5:0 |
| იჰლავა-სიგმა | 1:1 |
| პრშიბრამი-დუკლა | 1:1 |
| სლოვაცკო-ტეპლიცე | 2:1 |
| ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 0:2 |
| ჰრადეცი-ბანიკი | 1:1 |
| პლზენი-ბოლესლავი | 2:0 |
| იაბლონეცი-სპარტა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პლზენი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-5 | 10 |
| 2. ლიბერეცი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 10 |
| 2. სპარტა | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 4. იაბლონეცი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-3 | 10 |
| 5. ბოლესლავი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 6. ბრნო | 5 | 2 | 1 | 2 | 6-12 | 7 |
| 7. სლავია | 5 | 1 | 3 | 1 | 11-7 | 6 |
| 8. დუკლა | 5 | 1 | 3 | 1 | 10-7 | 6 |
| 9. სიგმა | 5 | 1 | 3 | 1 | 5-4 | 6 |
| 10. იჰლავა | 5 | 0 | 5 | 0 | 7-7 | 5 |
| 11. ბანიკი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |
| 12. ტეპლიცე | 5 | 1 | 2 | 2 | 3-7 | 5 |
| 13. ჰრადეცი | 5 | 0 | 4 | 1 | 5-8 | 4 |
| 14. სლოვაცკო | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 4 |
| 15. ბუდეიოვიცე | 5 | 1 | 0 | 4 | 5-10 | 3 |
| 16. პრშიბრამი | 5 | 0 | 3 | 2 | 3-8 | 3 |

### II დივიზიონი

IV ტური

ბოჰემიანსი-ჩასლავი 0:0; პარდუბიცე-ვარნსდორფი 2:2; სოკოლოვი-ტაბორსკო 1:1; უსტი-ვიქტორია 0:2; მოსტი-ვლაშიმი 1:1; სიგმა-ოპავა 2:1; ზლინი-ბოჰემიანსი 1905 0:1; კარვინა-ზნოიმო 0:1.

## ესტონეთი

XXV ტური

| | |
|---|---|
| პაიდე-ვიილანდი | 0:2 |
| სილმაე-ლევადია | 1:1 |
| ტრანს ნარვა-კურესაარე | 2:0 |
| ფლორა-ტამეკა | 5:1 |

## უნგრეთი

V ტური

| | |
|---|---|
| პაქსი-ეგრი | 0:1 |
| მტკ-უიპეშტი | 2:1 |
| კაპოშვარი-პეჩი | 1:1 |
| ფერენცვაროში-ჰონვედი | 0:2 |
| დიოში-კეჩკემეტი | 5:1 |
| დიოშდიორი-შიოფოკი | 2:1 |
| დებრეცენი-ლომბარდ პაპა | 1:0 |
| ვიდეოტონი-პალადაში | 2:1 |

## ლატვია

XXV ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკსი-მეტა | 3:4 |
| სკონტო-დაუგავა რიგა | 1:1 |
| იურმალა-დაუგავა | 2:4 |
| მეტალურგსი-გულბენე | 3:1 |
| ვენტსპილსი-იეგლავა | 0:0 |

## სერბეთი

III ტური

| | |
|---|---|
| რადნიჩკი-რადნიჩკი 1923 | 1:1 |
| სლობოდა-დონი შრემი | 2:2 |
| იავორი-სპარტაკი | 2:0 |
| ოფკ-ჰაიდუკი | 0:0 |
| რადი-სმედერევო | 0:0 |
| ვოივოდინა-ბორჩა | 1:0 |
| ნოვი პაზარი-ცრვენა ზვეზდა | 1:2 |
| პარტიზანი-იაგოდინა | 1:0 |

## ლიტვა

XXVI ტური

| | |
|---|---|
| კრუოია-სუდუვა | 2:1 |
| ატლანტასი-ეკრანასი | 1:2 |
| დაინავა-შიაულიაი | 0:2 |
| ბანგა-ტაურასი | 4:0 |

## მოლდოვა

VII ტური

| | |
|---|---|
| რაპიდი-ისკრა | 2:1 |
| ნისტრუ-აკადემია | 1:2 |
| ტირასპოლი-კოსტულენი | 4:0 |
| ოლიმპია-შერიფი | 0:1 |
| სპერანცა-დაჩია | 1:1 |
| ზიმბრუ-მილსამი | 2:1 |

## ჩერნოგორია

IV ტური

| | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი-მოგრენი | 0:2 |
| სელიკი-მლადოსტი | 3:0 |
| იედინსტვო-სუტიესკა | 0:1 |
| მორნარი-ლოვჩენი | 1:2 |
| რუდარი-გრბალი | 1:0 |
| ზეტა-პეტროვაცი | 3:4 |

## პოლონეთი

II ტური

| | |
|---|---|
| ზაგლებე-პიასტი | 2:1 |
| იაგელონია-გურნიკი | 1:1 |
| პოდბესკიძე-ვისლა | 1:1 |
| ვიძევი-რუხი | 2:0 |
| პოლონია-ლეხი | 1:2 |
| შლიონსკი-კორონა | 2:0 |
| ბელხატოვი-ლეგია | 0:2 |
| პოგონი-ლეჩია | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. ლეხი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 3. ვიძევი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4. იაგელონია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. გურნიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. ვისლა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7. პოგონი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 8. პოლონია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 9. შლიონსკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 10. პოდბესკიძე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 11. პიასტი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 12. ლეჩია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 13. ზაგლებე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-5 | 0 |
| 14. ბელხატოვი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 15. რუხი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |
| 15. კორონა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

## რუმინეთი

VI ტური

| | |
|---|---|
| გაზ მეთანი-ტურნუ | 2:0 |
| ასტრა-კონკორდია | 6:3 |
| ოცელული-გლორია | 1:1 |
| რაპიდი-კლუჟი | 3:2 |
| ლაში-პანდური | 0:1 |
| დინამო-პეტროლული | 2:1 |
| ჩახლაული-კონსტანტა | დღეს |
| უნივერსიტატეა-ბრაშოვი | დღეს |
| ვასლუი-სტიაუა | დღეს |

## რუსეთი

VI ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-დინამო | 2:3 |
| ზენიტი-რუბინი | 1:2 |
| ტერეკი-სპარტაკი | 2:1 |
| როსტოვი-ალანია | 3:1 |
| ამქარი-კრასნოდარი | 2:2 |
| ცსკა-კრ. სოვეტოვი | 3:0 |
| ანჟი-მორდოვია | 4:2 |
| ყუბანი-ვოლგა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 6 | 4 | 1 | 1 | 14-4 | 13 |
| 2. ტერეკი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-8 | 13 |
| 3. რუბინი | 6 | 4 | 0 | 2 | 11-7 | 12 |
| 4. ცსკა | 6 | 4 | 0 | 2 | 10-6 | 12 |
| 5. სპარტაკი | 6 | 4 | 0 | 2 | 11-10 | 12 |
| 6. ანჟი | 6 | 3 | 2 | 1 | 10-7 | 11 |
| 7. ლოკომოტივ | 6 | 3 | 1 | 2 | 12-10 | 10 |
| 8. ამქარი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 8. კრასნოდარი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 8 |
| 10. ალანია | 6 | 2 | 1 | 3 | 12-11 | 7 |
| 11. კრილია | 6 | 2 | 1 | 3 | 5-10 | 7 |
| 12. ყუბანი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| 13. როსტოვი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 5 |
| 14. მორდოვია | 6 | 1 | 1 | 4 | 7-11 | 4 |
| 15. ვოლგა | 5 | 1 | 0 | 4 | 3-8 | 3 |
| 16. დინამო | 6 | 1 | 0 | 5 | 4-13 | 3 |

## ბრაზილია

XIX ტური

| | |
|---|---|
| პალმეირასი-სანტოსი | 1:2 |
| ვასკო-ფლუმინენსე | 1:2 |
| პონტე პრეტა-პორტუგეზა | 2:1 |
| ბოტაფოგო-ფლამენგო | 0:0 |
| კორინთიანსი-სან პაულუ | 1:2 |
| ფიგეირენსე-კორიტიბა | 3:1 |
| ინტერნასიონალი-გრემიო | 0:1 |
| კრუზეირო-ატ. მინეირო | გვ. დასრულდა |
| სპორტ რესიფე-ნაუტიკო | გვ. დასრულდა |
| ბაია-ატ. გოიანენსე | გვ. დასრულდა |

## ჩილე

VIII ტური

| | |
|---|---|
| უნ. კონსეპსიონი-ლა სერენა | 3:1 |
| უნ. ესპანიოლა-უნ. ჩილე | 5:2 |
| კობრესალი-პალესტინო | 0:1 |
| კოლო კოლო-კობრელოა | 3:1 |
| ო'ჰიგინსი-დეპ. იკიკე | 0:1 |
| სან ფელიპე-უონდერერსი | 1:0 |
| ანტოფაგასტა-უაჩიპატო | 3:0 |
| რეინჯერსი-აუდაქსი | 1:0 |

## სლოვაკეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| სენიცა-მიიავა | 0:1 |
| რუჟომბეროკი-ტრნავა | 2:2 |
| ტრენჩინი-სლოვანი | 2:2 |
| ბისტრიცა-პრეშოვი | 0:0 |
| ნიტრა-კოშიცე | 4:1 |
| მორავცე-ჟილინა | 1:0 |

## უკრაინა

VII ტური

| | |
|---|---|
| ზორია-ვორსკლა | 1:1 |
| ილიჩივეცი-გოვერლა | 2:0 |
| დინამო-ჩერნომორეცი | 2:0 |
| მეტალურგი (ზ)-მეტალურგი (დ) | 1:2 |
| დნიპრო-ვოლინი | 2:1 |
| შახტარი-კარპატი | 3:0 |
| მეტალისტი-კრივბასი | 3:1 |
| ტავრია-არსენალი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 7 | 7 | 0 | 0 | 26-3 | 21 |
| 2. დინამო | 7 | 6 | 0 | 1 | 12-3 | 18 |
| 3. დნიპრო | 7 | 5 | 2 | 0 | 16-4 | 17 |
| 4. მეტალისტი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-5 | 14 |
| 5. ზორია | 7 | 3 | 2 | 2 | 9-8 | 11 |
| 6. არსენალი | 7 | 3 | 2 | 2 | 8-11 | 11 |
| 7. კრივბასი | 7 | 3 | 1 | 3 | 4-5 | 10 |
| 8. ილიჩივეცი | 7 | 3 | 0 | 4 | 11-7 | 9 |
| 9. მეტალურ (დ) | 7 | 2 | 2 | 3 | 7-9 | 8 |
| 10. ტავრია | 7 | 2 | 2 | 3 | 5-8 | 8 |
| 11. ვოლინი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-13 | 8 |
| 12. კარპატი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-14 | 8 |
| 13. ვორსკლა | 7 | 2 | 1 | 4 | 6-9 | 7 |
| 14. ჩერნომორეცი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-13 | 7 |
| 15. მეტალურ (ზ) | 7 | 0 | 1 | 6 | 3-15 | 1 |
| 16. გოვერლა | 7 | 0 | 0 | 7 | 5-19 | 0 |

## არგენტინა

IV ტური

| | |
|---|---|
| ოლ ბოისი-ტიგრე | 2:2 |
| სანტა ფე-ბოკა ხუნიორსი | 1:2 |
| არგ. ხუნიორსი-გოდოი | 2:1 |
| ინდეპენდიენტე-არსენალი | 0:2 |
| ატ. რაფაელა-კილმესი | 1:1 |
| ბელგრანო-ნიუელსი | 0:0 |
| ლანუსი-რასინგი | 1:1 |
| სან მარტინი-ველესი | 0:3 |

## ეკვადორი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ლდუ ლოხა-ლდუ კიტო | 1:2 |
| დეპ. კუენკა-ბარსელონა | 1:2 |
| დეპ. მაკარა-ტექ. უნივერსიტარიო | 2:0 |
| ემელეკი-ოლმედო | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-მანტა | 1:0 |

## პარაგვაი

V ტური

| | |
|---|---|
| სერო პორტენიო-რუბიო ნუ | 3:0 |
| ლიბერტადი-სოლ დე ამერიკა | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-დეპ. კარაპეგუა | 0:1 |
| ნასიონალი-გუარანი | 1:2 |
| სპორტივო-ოლიმპია | 2:1 |
| პრეზიდენტე-ტაკუარი | 2:0 |

## ურუგვაი

I ტური

| | |
|---|---|
| დეფენსორი-ნასიონალი | 2:2 |
| რივერ პლეიტი-ხუვენტუდი | 1:0 |
| სერო-პროგრესო | 0:2 |
| სერო ლარგო-მონტევიდეო | 2:3 |
| სენტრალი-ელ ტანკე | 1:2 |
| ფენიქსი-პენიაროლი | 4:3 |
| რასინგი-ბელა ვისტა | 0:1 |

## მექსიკა

VI ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-კერეტარო | 2:1 |
| ლეონი-მორელია | 1:3 |
| ამერიკა-ტიხუანა | 0:1 |
| პაჩუკა-ს. ლაგუნა | 0:0 |
| ტიგრესი-ტოლუკა | 1:1 |
| პუებლა-სან ლუისი | 1:0 |
| პუმასი-კრუს ასული | 0:1 |

## აშშ

| | |
|---|---|
| ფილადელფია-სოლტ ლეიკი | 0:0 |
| მონრეალი-დი სი იუნაიტედი | 3:0 |
| კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი | 4:3 |
| ჰიუსტონი-ტორონტო | 1:1 |
| ჩივასი-სიეტლი | 2:6 |
| პორტლენდი-ვანკუვერი | 2:1 |
| სან ხოსე-კოლორადო | 4:1 |

## იაპონია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| შიმიზუ-ურავა | 0:2 |
| კაშიმა-ნიიგატა | 0:1 |
| სერეზო-იოკოჰამა | 2:0 |
| გამბა-საპორო | 7:2 |
| კაშივა-იუბატა | 0:3 |
| კავასაკი-ნაგოია | 0:1 |
| ომიია-ვეგალტა | 1:3 |
| ჰიროშიმა-ტოკიო | 0:1 |
| კობე-ტოსუ | 0:0 |

## აზერბაიჯანი

IV ტური

| | |
|---|---|
| ყარაბახი-რავანი | 0:0 |
| ტურანი-ინტერი | 2:3 |
| ქაბალა-სუმგაიტი | 4:1 |
| ბაქუ-ქაფაზი | 3:1 |

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი. ლიგა ერთი. III ტური

**ევიანი-ლიონი** 1:1
გოლები: 1:0 ბარბოსა (57), 1:1 ბასტოსი (74)

**ნიცა-ლილი** 2:2
გოლები: 0:1 პაიე (36), 1:1 პეიჩინოვიჩი (43), 2:1 ბოტეაკი (55), 2:2 სიდიბე (59)

**ნანსი-ტულუზი** 0:1
გოლი: 0:1 სისოკო (11)

**რეიმსი-სოშო** 1:0
გოლი: 1:0 პრივა (90-ს.კ-ში)

**რენი-ბასტია** 3:2
გოლები: 1:0 ალესანდრინი (22), 1:1 მარკე (28), 2:1 პიტრიოპა (40), 2:2 მარშალი (75), 3:2 მ'ვილა (84)

**ტრუა-ლორიანი** 2:2
გოლები: 1:0 ნივე (3), 1:1 ბარტელმე (18), 2:1 ობადი (52), 2:2 მვუემბა (62)

**ვალანსიენი-აიაჩო** 3:0
გოლები: 1:0 სამასა (16), 2:0 ნერი (56), 3:0 ობერჰაუზერი (80-ს.კ-ში)

**მონპელიე-მარსელი** 0:1
გოლები: 0:1 ჟინიაკი (77)

**სტ. ეტიენი-ბრესტი** 4:0
გოლები: 1:0 აუბამეიანგი (13), 2:0 ამუმა (30), 3:0 გილავონგი (61), 4:0 აუბამეიანგი (63)

**პსჟ-ბორდო** 0:0



| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 3 | 3 | 0 | 0 | 4-0 | 9 |
| 2. ლიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 3. ვალანსიენი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 4. ტულუზი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 5. ბორდო | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 6. ბასტია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-6 | 6 |
| 7. ლორიანი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| 8. ლილი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| 9. ნანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 10. სტ. ეტიენი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-4 | 3 |
| 11. რენი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 12. პსჟ | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 13. რეიმსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 14. ბრესტი | 3 | 1 | 0 | 1 | 1-5 | 3 |
| 15. ნიცა | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 16. აიაჩო * | 3 | 1 | 1 | 1 | 1-3 | 2 |
| 17. ევიანი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 18. მონპელიე | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| 18. ტრუა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| 20. სოშო | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

** აიაჩოს -2 ქულა*

**ბომბარდირები:** 2-2 ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ-ჟერმენი), ლუდოვიკ ობრანიაკი (ბორდო), ვისამ ბენ იედერი (ტულუზი), ჟერემი ალიადიე (ლორიანი), ტოიფულო მაულიდა, ანტონი მოდესტე (ორივე ბასტია), ბაფეტიმბი გომისი, მიშელ ბასტოსი (ორივე ლიონი) პიერ ემერიკ აუბამეიანგი (სტ ეტიენი)

**მომდევნო ტური**

**1-ლი სექტემბერი: ბასტია-სტ. ეტიენი, ბასტია-სტ. ეტიენი, აიაჩო-ევიანი, ლორიანი-ნანსი, სოშო-მონპელიე, ბრესტი-ტრუა, ტულუზი-რეიმსი**

**2 სექტემბერი: ბორდო-ნიცა, მარსელი-რენი, ლილი-პსჟ**

## ჰოლანდია. ერედივიზიე. III ტური

**ვალვაიკი-როდა** 1:0
გოლი: 1:0 ბრაბერი (54)

**უტრეხტი-ზვოლე** 1:1
გოლები: 1:0 დუპლანი (45), 1:1 ლახმანი (83)

**ვენლო-დენ ჰააგი** 2:4
გოლები: 1:0 სეიპი (10), 1:1 დუინენი (33), 1:2 შერი (48), 1:3 ტოონსტრა (51), 2:3 ვორტერმანსი (80), 2:4 შერი (85)

**აიაქსი-ბრედა** 5:0
გოლები: 1:0 დე იონგი (2), 2:0 მოისანდერი (11), 3:0 სანა (41), 4:0 სერერო (49), 5:0 დე იონგი (90)

**ალკმაარი-ჰერენვენი** 0:0

**ჰერაკლესი-ფეიენოორდი** 1:2
გოლები: 0:1 იანმაატი (4), 0:2 იმერსი (43), 1:2 დუარტე (51)

**ნაიმეგენი-ტვენტე** 1:3
გოლები: 0:1 კასტანიოსი (14), 0:2 ბულიკინი (22), 0:3 ფერი (42-პენ), 1:3 სნო (77)

**ვილემ II-ვიტესი** 0-2
გოლები: 0:1 რეისი (38), 0:2 რეისი (82)

**გრონინგენი-პსვ** 1-3
გოლები: 0:1 ჰატჩინსონი (38), 0:2 მერტენსი (72), 0:3 დეპაი (84), 1:3 სხეტი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| 2. აიაქსი | 3 | 2 | 1 | 0 | 13-3 | 7 |
| 3. ვიტესი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 4. ვაალვაიკი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| 5. ფეიენოორდი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 6. პსვ | 3 | 2 | 0 | 1 | 10-4 | 6 |
| 7. დენ ჰააგი | 3 | 1 | 2 | 0 | 8-6 | 5 |
| 8. ალკმაარი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 9. უტრეხტი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 10. ნაიმეგენი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-9 | 3 |
| 11. ზვოლე | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 12. ვილემ II | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 13. ჰერენვენი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 2 |
| 14. ჰერაკლესი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 15. ვენლო | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| 16. გრონინგენი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |
| 17. ბრედა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| 18. როდა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |

## ბელგია. ჟუპილერლიგა. V ტური

**ლუვენი-ანდერლეხტი** 1:1
**სერკლი-ლიერსი** 0:3
**ბეერსხოტი-შარლერუა** 2:0
**კორტრიიკი-ბევერენი** 2:1
**სტანდარდი-მეხელენი** 3-2
**გენტი-ლოკერენი** 2-1
**გენკი-ვარეგემი** 2-0
**მონსი-ბრიუგე** 1-3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 5 | 4 | 1 | 0 | 13-6 | 13 |
| 2. ანდერლეხტი | 5 | 3 | 2 | 0 | 8-3 | 11 |
| 3. სტანდარდი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-6 | 10 |
| 4. გენტი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 5. ვარეგემი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 6. გენკი | 5 | 2 | 3 | 0 | 9-6 | 9 |
| 7. ლოკერენი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-8 | 7 |
| 8. კორტრიიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 9. ლიერსი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-4 | 6 |
| 10. ლუვენი | 5 | 1 | 3 | 1 | 9-11 | 6 |
| 11. მეხელენი | 5 | 1 | 2 | 2 | 10-10 | 5 |
| 12. მონსი | 5 | 1 | 2 | 2 | 10-10 | 5 |
| 13. ბეერსხოტი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 4 |
| 14. შარლერუა | 5 | 1 | 0 | 4 | 5-13 | 3 |
| 15. ბევერენი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-10 | 1 |
| 16. სერკლ ბრიუგე | 5 | 0 | 1 | 4 | 6-14 | 1 |

## თურქეთი. სუპერლიგა. II ტური

**ქასიმფაშა-ქარაბიუქი** 2:1
გოლები: 1:0 იოზმერტი (28), 1:1 ჩერნატი (45), 2:1 კალა (83)

**სივასი-მერშინი** 3:3
გოლები: 1:0 ჩაჰეჩოუპე (9), 1:1 კულიო (17), 2:1 ენერამო (28), 3:1 ენერამო (33), 3:2 სტეპანოვი (36), 3:3 ბენ იაია (70)

**ორდუ-ესქიშეჰირი** 2:0
გოლები: 1:0 დავიდ ბარალი (24), 2:0 კაბზე (45)

**ახიშარი-გენჩლერბირლიგი** 0:0

**ფენერბაჰჩე-გაზიანთეფი** 3:0
გოლები: 1:0 ტოპალი (32), 2:0 სოუ (79), 3:0 კუიტი (84)

**ბურსა-ბუიუქშეჰირი** 0:1
გოლი: 0:1 ვებო (53)

**ტრაბზონი-ელაზიგი** 2:0
გოლები: 1:0 ვიტეკი (41), 2:0 ენრიკე (82)

**ბეშიქთაში-გალათასარაი** 3:3
გოლები: 1:0 მელო (8 ს.კ.), 1:1 ელმანდერი (20), 2:1 ჰოლოშკო (43), 2:2 ბულუთი (45), 3:2 ჰოლოშკო (51), 3:3 ინანი (86)

**ანთალია-ქაისერი** დღეს



# ქართული სპორტი

## ჭადრაკი



# ნონა ბრინჯაოს დასჯერდა

გუშინ კაუნასში დამთავრდა ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის XII ჩემპიონატი, რომელშიც ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი,** სენიორთა მსოფლიო და ევროპის პირველობების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი დიდოსტატი **თამარ ხმიადაშვილი** და საქართველოს ექსჩემპიონი **ნინო მელაშვილი** მონაწილეობდნენ. ბოლო ტურის წინ გაფრინდაშვილი 5,5 ქულით II-IV ადგილებს ინაწილებდა და მედლის მოპოვების რეალურ შანსს ინარჩუნებდა, რაც გამოიყენა კიდეც - თეთრი ფიგურებით ესტონელ ჰედა კრუუსიაუკს სძლია და 6,5 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ამდენივე ქულა მოაგროვა რუსმა გალინა სტრუტინსკაიამ, რომელმაც ბოლო ტურში თანამემამულე ტატიანა ბოგუმილს აჯობა და უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილი დაიკავა. 7,5 ქულით ევროპის ჩემპიონობა ესტონელმა ტატიანა ფომინამ მოიპოვა - გადამწყვეტ პაექრობაში თამარ ხმიადაშვილი დაამარცხა, რომელიც 5 ქულით VIII ადგილზე გავიდა, ნინო მელაშვილს 4,5 ქულით XII ადგილი ხვდა.

მამაკაცებში 7-7 ქულით (დამატებითი მაჩვენებლების მიხედვით) საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ნიკოლაი პუშკოვი (რუსეთი), 2. ვიქტორ კუპრეიჩიკი (ბელარუსი), 3. ევგენი მოჩალოვი (ბელარუსი).

**ვაჟა დანელია**

# საპრიზო ადგილებს მიღმა

თბილისელი დიდოსტატი **ლევან აროშიძე** ხშირად წარმატებით მონაწილეობს ესპანეთის საჭადრაკო ტურნირებში. ბარსელონაში გამართული საერთაშორისო ფესტივალი კი, რომელიც გუშინ დამთავრდა, ჩვენებურისთვის უილბლო გამოდგა. მე-10 ტურში აროშიძემ ფინელი ვილკა სიფილა დაამარცხა, მაგრამ მხოლოდ 7,5 ქულას მოუყარა თავი, რაც საპრიზო ადგილებისთვის არ ეყო - მეთხუთმეტე ადგილით დაკმაყოფილდა.

ტურნირმა ერთპიროვნული გამარჯვებული ვერ გამოავლინა, რადგან 10 ტურის შემდეგ ერთბაშად ხუთ მონაწილეს აღმოაჩნდა 8-8 ქულა. დამატებითი მაჩვენებლებით მათ შორის ადგილები ასე განაწილდა: გჟეგოშ გაიევსკი (პოლონეთი), ალექსანდრ რახმანოვი (რუსეთი), ემილიო კორდოვა (პერუ), კევინ სპრაგეტი (კანადა), სამუელ შენკლენდი (აშშ).

ქომაგები ბერძნულ საერთაშორისო ტურნირში („ისტმია 2012") მოასპარეზე **დავით მაღალაშვილმა** და **შოთა აზალაძემაც** ვერ გაახარეს: მაღალაშვილმა 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა და პირველ-მესამე ადგილებზე გასულ დმიტრი სვეტუშკინს (მოლდოვა), ერიკ ჰანსენს (კანადა), სუნდარ შიამს (ინდოეთი) ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩა, 6,5-ქულიან მოჭადრაკეებს შორის კი უარესი კოეფიციენტით მეცხრე საფეხურზე დამკვიდრდა, აზალაძემ 5,5 ქულით 21-ე ადგილი დაიკავა.

**ვაჟა დანელია**

# პირველ ათეულში მწირი მონაგარით

**თითო ვერცხლი და ბრინჯაო - ასეთი მწირი მონაგრით დაასრულეს საქართველოს წარმომადგენლებმა 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელსაც ჩეხეთის დედაქალაქმა პრალამ უმასპინძლა. შეჯიბრებაში კი 22 ჩვენებური მონაწილეობდა.**



გიორგი სიბაშვილი

**ნიკოლოზ კაჭარავა** 8-წლიანებში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონია, იოლად მოიგო თანატოლებში ევროპის თასი და ნანა ალექსანდრიას სახელობის ტურნირი. კონტინენტის პირველობაზეც მთელი შეჯიბრების განმავლობაში მეწინავეთა შორის იყო. ბოლო ტურში თურქი ბარის ეკინ ოზენირი დაამარცხა და ცხრა შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულას მოუყარა თავი ერთპიროვნული ლიდერის - დმიტრი ცოის (რუსეთი) მძლეველმა ცვეტან სტოიანოვმა (ბულგარეთი), რომელსაც უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა და ჩემპიონობაც მას ერგო. კაჭარავა ვერცხლის მედალს დასჯერდა. 7 ქულით მესამე იყო ინგლისელი ჯოშუა ელტმენი. **საბა ლომსაძემ** 5,5 ქულით მე-18 ადგილი დაიკავა.

ამ ასაკის გოგონებში ქართველები საგრძნობლად ჩამორჩნენ პრიზიორებს. რუსმა მარია კუტიანინამ ოქროს მედალი 8 ქულით მოიპოვა. **დიანა ლომაიას** კი 5 ქულით მე-18 ადგილი ერგო. 4 ქულით **სალომე ბეიტრიშვილი** 38-ე ადგილზე გავიდა.

**10-წლიან** ბიჭებში 5,5 ქულით 37-ე იყო **ლუკა ობოლაძე,** რომელსაც, ასევე, 3 ქულით გაუსწრო რუსმა ჩემპიონმა ანდრეი ესიპენკომ. 5 ქულა **ანტონ ნადირაძეს** მხოლოდ მე-40, ხოლო **დიმიტრი ჯიბუტს** 52-ე ადგილისთვის ეყოთ. ამ ასაკში ვერც გოგონებმა იყოჩაღეს: 10. **ანასტასია სიდამონიძე** (6), 27. **თამარ ესაძე** (5,5). 7 ქულითა და უკეთესი კოეფიციენტით აქაც ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა - ანასტასია ზოტოვამ გაიმარჯვა.

**12-წლიან** ბიჭებში ჩვენებურები 50 საუკეთესოშიც ვერ მოხვდნენ: 64. **ირაკლი ახვლედიანი** (5 ქულა), 99. **კოკა ბუკია** (4), 115. **ლუკა გოგია** (3,5). გოგონებში ერთადერთი წარმომადგენელი გვყავდა - **ნატა ჯიბუტი,** რომელიც 5,5 ქულით 27-ე ადგილს დაყაბულდა.

**14-წლიანებში** ჭადრაკის ქართველ სპეციალისტებს **გიორგი სიბაშვილის** ეიმედებოდათ, თუმცა პირველობის 141 მონაწილეს შორის რეიტინგით მხოლოდ 34-ე იყო. ბოლო ტურში იგი თეთრი ფიგურებით სომეხ მანუელ პეტროსიანს დაუზავდა და მონაგარში 7 ქულა აღმოაჩნდა. ამდენივე ქულას კიდევ ოთხმა მოჭადრაკემ მოუყარა თავი. დამატებითი მაჩვენებლებით სიბაშვილს ბრინჯაოს მედალი ხვდა. მეორე ადგილზე



ნიკოლოზ კაჭარავა

პეტროსიანი გავიდა. 8 ქულით ჩემპიონობა იან-კშიშტოფ დუდამ (პოლონეთი) მოიპოვა. ამ ასაკის გოგონებში ქართველთაგან 6 ქულით საუკეთესო იყო **ნინო ხომერიკი** (მე-14 ადგილი), რომელიც ბოლო ტურში თეთრი ფიგურებით რუს ანასტასია პარამზინასთან დამარცხდა, თორემ ხუთეულში მოხვედრაც შეეძლო. მართალია, **ნინო დახუნდარიძემ** და **თამარ ფაშკურიძემ** მე-9 ტურის პარტიები მოიგეს, მაგრამ ეს უფრო კარის გაჯახუნებას ჰგავდა, რადგან 4,5-4,5 ქულით, შესაბამისად, 42-ე და 46-ე ადგილებს დასჯერდნენ.

**16-წლიან** ბიჭებში აშკარად უკეთეს შედეგს მოველოდით **ირაკლი ბერაძისგან,** მან კი 5,5 ქულით 27-ე ადგილი დაიკავა. პოლონელმა ჩემპიონმა კასპერ დროზდოვსკიმ მას 2,5 ქულით გაუსწრო. გოგონებში სამი წარმომადგენელი გვყავდა. **ნატო იმნაძე** ფინიშამდე ტურით ადრე 6,5 ქულით მე-3 ადგილზე იმყოფებოდა და მედლის მოსაპოვებლად ნახევარი ქულაც ჰყოფნიდა, მაგრამ შავი ფიგურებით სწორედ მომავალ ჩემპიონ მარია ტანციურასთან (უკრაინა) წააგო და მე-4 ადგილზე გავიდა. 14. **ანა შამათავა** (6), 21. **დეა გოგიშვილი** (5,5).

**18-წლიან** ვაჟებში **შალვა ნადირაშვილი** ცდიდა ძალებს. 9 შესაძლებლიდან 4 ქულით მან დაახლოებით მისი რეიტინგისთვის (2151) შესაფერისი 53-ე ადგილი დაიკავა. მართალია, წოდება ამ ასაკში 7,5 ქულით გაჩემპიონებულ რუს ვადიმ მოისეენკოსაც არა აქვს, სამაგიეროდ, მის რეიტინგია 2454. შვიდ-შვიდი ქულით მეორე-მესამე ადგილებზე საერთაშორისო ოსტატები - ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთ, 2488) და დანიელ ფორკენი (ესპანეთი, 2440) გავიდნენ. ამ ასაკის გოგონებში, სადაც ჩვენ, სამწუხაროდ, წარმომადგენელი არ გვყავდა, 7,5 ქულით ოქროს მედალი რუსმა დიდოსტატმა ალექსანდრა გორიაჩკინამ დაიმსახურა.

ევროპის პირველობაში 46 ქვეყნის 1173 გოგონა და ვაჟი მონაწილეობდა. ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში, სადაც ჯილდოები მხოლოდ 17-მა ქვეყანამ გაინაწილა, ქართველთა 2 მედალი თითქოს ურიგო არ უნდა იყოს, მაგრამ დასაფიქრებელი ის არის, რომ წინა წლებთან შედარებით შედეგი გაუარესდა, თანაც ჩვენებურთა უმეტესობამ ოცეულს მიღმა დაიკავა ადგილები.

**საბოლოო შედეგები:** რუსეთი - 10 (5 ოქრო, 3 ვერცხლი, 2 ბრინჯაო), პოლონეთი - 2 (2, 0, 0), სომხეთი - 3 (1, 2, 0), უკრაინა - 2 (1, 0, 1), ბულგარეთი - 2 (1, 0, 1), ბელარუსი - 1 (1, 0, 0), საბერძნეთი - 1 (1, 0, 0), აზერბაიჯანი - 3 (0, 2, 1), **საქართველო - 2 (0, 1, 1),** ესპანეთი - 2 (0, 1, 1), ისრაელი - 2 (0, 1, 1), რუმინეთი - 1 (0, 1, 0), ჰოლანდია - 1 (0, 1, 0), საფრანგეთი - 1 (0, 0, 1), ლიტვა - 1 (0, 0, 1), სლოვაკეთი - 1 (0, 0, 1), ინგლისი - 1 (0, 0, 1).

**ვაჟა დანელია**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს პირველობა

# უგვირგვინო და უცნაური გამოსვლა




## სტაბილური გუნდის 5 წაგება ფინალში

საქართველოს ჭაბუკ ბერძენ-რომაელთა ნაკრებმა უცნაურად იასპარეზა ბაქოში, თანატოლთა მსოფლიოს პირველობაზე - **ვაჟა კრავეიშვილის** ხუთმა შეგირდმა, ანუ გუნდის ნახევარმა, ფინალში იჭიდავა, მაგრამ ხუთივემ წააგო! მთლიანად გუნდის გამოსვლას ცუდი ნამდვილად არ ეთქმის, რადგან ამ 5 ვერცხლის გარდა კიდევ ერთი ბრინჯაო მოვიპოვეთ, ერთიც მეხუთეზე გავიდა. მოკლედ, 10 ფალავანიდან შვიდმა მედლისთვის იჭიდავა - საბოლოოდ 6 ჯილდო დავიმსახურეთ, რაც გუნდის სტაბილურობის დასტურია, თუმცა ამ მასშტაბურ წარმატებას ოქროს ბრწყინვალება დააკლდა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენებმა 62 ქულით მეორე ადგილი დაიკავეს - ჩამორჩნენ 84-ქულიან აზერბაიჯანს, თვითონ კი 1 ქულით გაუსწრეს მესამეზე გასულ რუსეთს.

გუნდურში მასპინძელთა ასეთი დიდი უპირატესობა გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხუთიდან სამი ფინალი მათთან წავაგეთ, თითო-თითო კი უკრაინასა და თურქეთთან. პირდაპირ ეთერში ტურნირის სრულად ხილვის


რამაზ ზოიძე (მარცხნივ)

საშუალება არც ამჯერად მოგვეცა, თუმცა იმ ხუთი ფინალიდან რაც ვნახეთ, მსაჯებზე პრეტენზია მხოლოდ **რამაზ ზოიძესთან** (46) დაკავშირებით თუ გვექნება, თორემ სხვებს მოსაგებად მეტი გარჯა მართებდათ.

ზოიძის გარდა, ვერცხლის მედლებს **გენადი ჩიტაძე** (42), **ბაკურ გოგოლი** (54), **გელა ბოლქვაძე** (63) და **ბექა კანდელაკი** (100) დაეუფლნენ. მესამე ადგილზე **ნიკა გავაშელი** (76) გავიდა, მეხუთეზე - **გიორგი ჩხარტიშვილი** (69). ჩვენთვის უფრო წარმატებული გუშინდელი დღე აღმოჩნდა, როცა ნახევარფინალში 5 ქართველი გავიდა, 4-მა ფინალში იჭიდავა, ჯამში კი ხუთივემ მედალი მოიპოვა. ევროპის პირველობის შემდეგ კრავეიშვილმა ეს გუნდი გვარიანად რომ გადაახალისა, წინა წერილშიც ვწერდით - მხოლოდ სამი მედალოსანი დატოვა, დანარჩენები კი შეცვალა. ვფიქრობთ, გამართლებული მიდგომაა და ნამდვილად სწორი ნაბიჯი აღმოჩნდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრ წარმატებულ მოზარდს ვერ ვიხილავდით. მაგალითად, დებიუტანტ ჩიტაძეს, რომელიც პირველ დღეს ქართული გუნდის ლამის ერთადერთი გამონათება იყო. ამ ახალბედამ ტურნირი საკმაოდ მძიმე მარცხით დაიწყო - პირველივე შეხვედრაში პირველი პერიოდი ყაზახ **მაირამბეკ ნადირბაევთან** 0:4 წააგო, მაგრამ შეძლო ძალების მოკრება, მობილიზება და ჯერ 2:0 მოგებით ანგარიში გაათანაბრა, დამატებითში კი 1:0 იმარჯვა და შემდეგ წრეში გავიდა. იქ თურქი **სერგენ აი** 3:0; 1:0; დაჯაბნა. ფინალში კი ორი პერიოდის ჯამში 0:6 წააგო უკრაინელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **არტურ პოლიტაიევთან**.

გვაოცებს და სიმპათიებსაც იხვეჭს რამაზ ზოიძე, რომელიც აგრძელებს წარმატებულ სეზონს შინ თუ გარეთ - საქართველოს ჩემპიონი ორივე სტილით ჭიდაობაში უცხოეთში ბერძნულ-რომაულში ასპარეზობს ზედიზედ მეორე სეზონია, ევროპა-მსოფლიოზე მედლებს იგებს. თან შარშან თუ ოქრო და ბრინჯაო ჰქონდა, წლეულს ოქრო-ვერცხლი აქვს. სხვა საქმეა, რომ შარშან ის ოქრო მსოფლიოზე მოიპოვა, წლეულს - ევროპაზე. კონტინენტის წლევანდელი გამარჯვებული ბაქოში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა და ტიტულის შენარჩუნებასთან ახლოსაც იყო, მაგრამ მისთვის ნაცნობ მასპინძელ **მიხაილ რახმანოვთან** ფინალური პაექრობის მესამე პერიოდში გდება არ ჩაუთვალეს. არადა, პირველ პერიოდში მეტოქეს ქულებით სუფთად აჯობა - 6:0. ქულათა საერთო მარაგი 6:4 იყო მის სასარგებლოდ, მაგრამ პერიოდებში 1:2 წააგო. ზოიძემ რახმანოვს წლეულს ევროპირველობის ფინალში სძლია და მასპინძლები ყველანაირად დაეხმარნენ თავისიანს რევანშის აღებაში.

ზოიძეს ნახევარფინალშიც ნაცნობი მეტოქე ელოდა ძველი ვალების გასასტუმრებლად - რუსი არიფ მირზაევი, რომელსაც ჩვენებურმა შარშან მსოფლიოს პირველობის ფინალში აჯობა, როცა ორივენი 42 კილოგრამში გამოდიოდნენ. ცხადია, რუსს ბაქოში რევანში ძალიან სწყუროდა და კარგადაც დაიწყო ჭიდაობა, მაგრამ ქართველმა სასწაულებრივი ორთაბრძოლა მოუგო და ზედიზედ მეორედ დაამარცხა მსოფლიოს პირველობაზე - 1:9-ზე წაგებული პირველი პერიოდის შემდეგ შეძლო მობილიზება და მომდევნოებში 2:1; 6:0 გამარჯვება. მანამდე ზოიძემ ინდოელი **მეიტეი ინაკუნბა** და ხორვატი **სებასტიან ნადი** დაამარცხა ძირითად დროში (ხორვატს პერიოდები 6:0; 8:0 (!) მოუგო).

ბაკურ გოგოლი ამ ნაკრებისთვის უცხო კადრი უკვე აღარაა და ამდენად, დროც იყო, შედეგი მოეტანა. ის პირველ წრეში ისვენებდა, მერე ოთხი შეხვედრიდან ბოლო ორი კი ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალისტებთან გამართა. ამათგან ნახევარფინალში კონტინენტის რუს ჩემპიონ **აზნაურ ოტიევოვთან** მოსაგებად ძალები ეყო (3:3; 1:0), ფინალში მასპინძელ ვერცხლის მედალოსან **კარიმ ჯაფაროვთან** - არა (0:3; 0:2). გოგოლმა პირველ შეხვედრაში ყაზახი აიან ალიპი იოლად დაამარცხა - 6:1; 1:0, თურქ **ომერ ალფარსლან გისისთან** მოსაგებად კი დამატებითი დრო დასჭირდა. პირველი პერიოდი ჩვენებურმა ჩოქბჯენიდან დატრიალებით 1:0 მოიგო, მაგრამ მეორე იმავე სიტუაციაში ანალოგიური ანგარიშით წააგო. საბედნიეროდ, დამატებითში 2:0 იმარჯვა და საბოლოოდ ფინალამდე წარმატებით იარა.

დებიუტანტობას არც ბოლქვაძე შეუშინდა და ოთხიდან სამ შეხვედრაში იმარჯვა, ფინალში კი არ უჭიდავია აზერბაიჯანელთა ევროპის წლევანდელ მესამე პრიზიორ **რუჰინ მიხაილოვთან**. აღსანიშნავია, რომ მიხაილოვმა ევროპაზე ბრინჯაოსთვის შეხვედრა **მურთაზ ჩაბრავას** მოუგო. ბოლქვაძე პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ლატვიელი **ვლადისლავ ლებედევსი** ძირითად დროში საერთო ანგარიშით 3:1 დაამარცხა. ორ პერიოდში იმარჯვა ნახევარფინალშიც ირანელ **განბარი პარჰამთან**, დამატებითი დრო კი მესამე წრეში დასჭირდა ხორვატ **ფილიპ საჩიჩთან** - 2:0; 0;1; 1:0.

კანდელაკი ფინალამდე სამი მოგებით მივიდა, გზად კი ირანელი **იმან ფარიაბი**, გერმანელი ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი **მუჰამედ ეტკა სევერი** და უკრაინელი **ბორის რეზნიჩენკო** ჩამოიცილა. ამათგან ყველაზე მეტად ირანელთან გაუჭირდა, რომელსაც ორივე პერიოდი მინიმალური ანგარიშით - 1:0 მოუგო, სხვებს კი უფრო დამაჯერებლად აჯობა. აღსანიშნავია, რომ ის შარშან ევროპის პირველობაზე სხვა უკრაინელმა დაამარცხა, თუმცა ამჯერად უკრაინული ბარიერი წარმატებით დასძლია - 2:0; 3:0. ჩვენებურს ფინალში თურქ **ემრე სალაჰატინ მუიანთან** მეტი აქტიურობა, მეტი შეტევა მართებდა. პირველ პერიოდში მას აშკარად ეტყობოდა, რომ ჩოქბჯენს ელოდებოდა და ეს შანსი წარმატებითაც გამოიყენა - დაატრიალა მეტოქე, მაგრამ მეორეში ილეთის მცდელობისას შეცდა და ორქულიანი გდება აჩუქა თურქს. სამწუხაროდ, ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერც დამატებით დროში გაუწია. ვფიქრობ, მანაც და ზოგადად ჩვენმა მოჭიდავეებმა უნდა შეიგნონ, რომ ილეთის გაკეთება აუცილებელია; რომ არავინ არაფერს დაგითმობს, მეტოქის შეცდომის იმედზე ყოფნით ძიძგილაობა კი წყლის ნაყვაა. აუცილებელია, მოწინააღმდეგე წნეხში გყავდეს - ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც.

გავაშელი ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანია და ახლაც მესამე ადგილს დასჯერდა. მისთვის დაუძლეველი ზღუდე რუსთა მომავალი ფინალისტი **მაირბეკ ადიგუნოვი** აღმოჩნდა, თუმცა ორივე პერიოდი მხოლოდ 0:1 დათმო. სამაგიეროდ, მანამდე იჭიდავა დამაჯერებლად - ინდოელ **მანგეტ კუმარს** ორ პერიოდში 3:0 მოუგო, ამერიკელ **ჩანდლერ როჯერსს** კი - 6:0; 7:2. ბრინჯაოსთვის შეხვედრაშიც შეუჩერებელი იყო ყაზახ **ჰუსეინ მუცოლგოვთან** - 1:0; 3;2.

ჩხარტიშვილი მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორია, ახლა კი ბრინჯაომდე ერთი ხელის განვდენა დააკლდა - შარშანდელის მსგავსად, ძირითადში ამჯერადაც რუსთა მომავალ ჩემპიონთან, ოღონდ ამჯერად არა **ბისლან ასაკალოვთან**, არამედ **მანსურ გუბაევთან** დამარცხდა, ბრინჯაოსთვის პაექრობა კი ყირგიზ **ატაბეკ აზისბეკოვს** დაუთმო.

ჩვენი გუნდის დანარჩენი წევრები - **ირაკლი შავაძე** (50), **ლაშა ებილაშვილი** (58) და **სულხან ბუიძე** (85) ადრევე გავარდნენ. ამათგან ყველაზე დასანანი შავაძის წაგებაა, რომელიც ევროპის წლევანდელი ჩემპიონია.

დავძენთ, რომ ყველასათვის ცნობილი პოლიტიკური მიზეზით სომხური გუნდები ბაქოში საერთოდ არ ჩასულან.

**ირაკლი თავაძე**



ჰოლანდია-საქართველო. 21:30

# ჰოლანდიაში საბრძოლველად

დღეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი წრე დასრულდება. საქართველოს ნაკრები ჰოლანდიას ალმერეში ეთამაშება და აქვს წრის წაგებლად დასრულების კარგი შანსი.

კალათბურთელებმა ლატვიასთან მატჩის შემდეგაც აღნიშნეს, რომ ჰოლანდია ის გუნდი არ არის, მის წინააღმდეგ თამაშისას ვინმეს მოდუნების უფლება ჰქონდეს. იმედი დავიტოვოთ, რომ შედეგი ლოგიკური დაფიქსირდება და ჯგუფის ფავორიტი ჰოლანდიიდან ორ ქულას ჩამოიტანს.

■ ■ ■

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წინ ჰოლანდიის შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები განხორციელდა. შეიცვალა მთავარი მწვრთნელი. გუნდს წვრთნის **იან იანსენი**.

მან თავიდან 14 კალათბურთელი მიიწვია, თუმცა როგორც ჰოლანდიური პრესა იტყობინება, ოთხის თამაში გამოირიცხა. **დენ გაძურიჩი**, რომელიც ახლახან „პორტლენდში" გადავიდა, ჰოლანდიაში საკონტრაქტო სიტუაციის გამო ვერ ჩავიდა. ასევე სატრანსფერო საკითხები მოიყვანა ნაკრებში არგამოცხადების მიზეზად **როლანდ შაფტენაარმა**, ხოლო **შტეფან ვესელსი** ნაკრებს პირადი მიზეზით დააკლდა. „ლეიდენის" კალათბურთელ **პატრიკ ჰილიმანს** კი ტრავმამ შეუშალა ხელი.

■ ■ ■

წლეულს ჰოლანდია საქართველოს ნაკრების ერთადერთი მეტოქეა, რომელიც ჩვენს გუნდს ოფიციალურ მატჩში არ შეხვედრია. ბოლო წლებში ქართველებს ჰოლანდიაში ამხანაგურად თამაშის გამოცდილება აქვთ, შარშან ოთხთა ტურნირზე მასპინძლები 77:72 დაამარცხეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



### ჰოლანდია

| მოთამაშე | სმ | პოზიცია | დაბ.თარ. | გუნდი |
|---|---|---|---|---|
| კეეს აკერბუმი | 200 | ფორვარდი | 1983 | დენ ბოსხი |
| შონ კანინგემი | 188 | გამთამაშებელი | 1986 | ტინდასტოლი (ისლანდია) |
| ფრანსისკო ელსონი | 212 | ცენტრი | 1976 | ფილადელფია (აშშ) |
| ჰენკ ნორელი | 212 | ცენტრი | 1987 | ხუვენტუდი (ესპანეთი) |
| ჯესი ვოორნი | 193 | უკანახაზელი | 1990 | გრონინგენი |
| ტიეს ტეეუვკენსი | 190 | უკანახაზელი | 1985 | გრონინგენი |
| რობინ სმუელდერსი | 208 | ფორვარდი | 1987 | ოლდენბურგი (გერმანია) |
| როჯერ იანსენი | 188 | უკანახაზელი | 1984 | დენ ბოსხი |
| ვორსი დე იონგი | 194 | უკანახაზელი | 1988 | ლეიდენი |
| არვინ სლაგთერი | 192 | უკანახაზელი | 1985 | ლეიდენი |
| ლეონ უილიამსი | 183 | უკანახაზელი | 1991 | ზვოლე |
| ნიკი ჰულზებოსი | 205 | ფორვარდი | 1986 | ზვოლე |

*მწვრთნელი: იან იანსენი*

### ამხანაგურები

**31.07.2009**

**ჰოლანდია-საქართველო 79:63**

16:15, 23:19, 21:11, 19:18

**საქართველო:** ცინცაძე (23წთ, 7ქ), ტულუში (22წთ. 14ქ), სანიკიძე (35წთ. 16ქ. 5მ), ვ. ბოისა (25წთ. 4ქ), შერმადინი (17წთ); გამყრელიძე (27წთ. 8ქ. 3პ), მეტრეველი (17წთ. 7ქ), თ. შენგელია (21წთ. 7ქ. 2ჩ), ა. ბოისა (13წთ)

**1.08.2009**

**ჰოლანდია-საქართველო 81:74**

18:25, 18:10, 20:14, 25:25

**საქართველო:** ცინცაძე (33წთ, 18ქ, 4პ, 5ჩ), ტულუში (26წთ, 16ქ), სანიკიძე (33წთ, 9ქ, 6მ), ვ. ბოისა (30წთ. 16ქ. 5მ), შერმადინი (22წთ. 4ქ. 7მ); გამყრელიძე (18წთ), ა. ბოისა (9წთ), მეტრეველი (11წთ. 5ქ), თ. შენგელია (17წთ. 6ქ. 5მ)

**12.08.2011**

**ჰოლანდია-საქართველო 72:77**

11:19, 19:18, 17:24, 25:16

**საქართველო:** გამყრელიძე (29წთ, 2ქ), ვ. ბოისა (19წთ, 4ქ), ფაჩულია (30 წთ, 12 ქ, 6მ), შერმადინი (11წთ, 2ქ), მარკოიშვილი (26წთ, 19ქ), სანიკიძე (25წთ, 11ქ, 12მ), ცქიტიშვილი (16წთ, 13ქ), შენგელია (19წთ, 9ქ, 5მ), ჰეინსი (25წთ, 5ქ)

**ჰოლანდია:** სმუელდერსი (15ქ), გაძურიჩი (11ქ), ვოორნი (11ქ), იანსენი (8ქ), ვან კემპენი (8ქ), სლაგტერი (5ქ), ვან დერ ჰორსტი (5ქ), ოსიაკვუვუმვამი (3ქ), ვესელსი (2ქ), როიე (2ქ), ტეეუვკენსი (2ქ).

სატრანსფერო სიახლე

# ნეაპოლელი მეტრეველი



იტალიურმა გამოცემებმა საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდეს - საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ნიკა მეტრეველი** „ნაპოლიში" გადადის. ეს გუნდი ერთ დროს ევროლიგაზეც გამოდიოდა (მაშინ მასში **ტაირონ ელისი** თამაშობდა), თუმცა სადღეისოდ იტალიის ჩემპიონატის მეორე ლიგაშია. კლუბის ხელმძღვანელობა სატრანსფერო პოლიტიკას აქტიურად წარმართავს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მომავალი სეზონისთვის მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

შეგახსენებთ, რომ ნიკა მეტრეველი გასულ სეზონში იტალიურ „დინამო სასარიში" გამოდიოდა, მანამდე „რიმინი კრაბსის" ღირსებას იცავდა, უფრო ადრე - „მონფერატოსი". მას მოქმედი კონტრაქტი აქვს სიენას „მონტეპასკისთან". შარშან „დინამოში" განათხოვრების წესით თამაშობდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ნაპოლიშიც" იჯარით გადავა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ლეგიონერები

# სამი სინბინი მეორე დივიზიონის სტარტზე

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მეორე ტურის შემდეგ დაუმარცხებელი სამი გუნდია. აქედან ორი ქართველი მორაგბეებისაა, „ტულუზი“ და „ტულონი“.**



დავით ზირაქაშვილი (მარჯვნივ) და გიორგი ჟღენტი

ახლახან დაწყებულ ჩემპიონატში პირველი გამარჯვებმა მოიპოვა **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ“. ჩვენებურთა ამ გუნდმა, რომელსაც ექვსი არგენტინელი მორაგბე აკლია, შინ უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“ - 13:8.

მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველი ტაიმის მიწურულს კლერმონელთა შეცდომამ გადაწყვიტა. მონპელიელეთა გარემარბმა **პიერ ბერარმა** ცხრა ნომრის **მორგან პარას** გადაცემა ჩაჭრა და ლელო გაიტანა. პირველი ნახევარი მასპინძლებმა 10:5 მოიგეს.

„ვულკანებმა“ დიდი მცდელობის მიუხედავად ეს ჩამორჩენა ვერაფრით აღმოფხვრეს. მეორე ტაიმში გუნდებმა თითო საჯარიმო მიითვალეს და შეხვედრა „მონპელიეს“ დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა.

ნარიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს, ჟღენტმა მასზე 15 წუთით მეტი ითამაშა, გორგოძე მატჩში 41-ე წუთიდან ჩაერთო, ზირაქაშვილმა მოედანი 58-ე წუთზე დატოვა, კოლელიშვილი განაცხადში არ იყო.

საკმაოდ საინტერესო გამოდგა ქვეყნის ჩემპიონის **ჯაბა ბრეგვაძისა და ვასილ კაკოვინის** „ტულუზის“ დაპირისპირება შინ დივიზიონის დებიუტანტ „მონ დე მარსანთან“. სტუმრებმა მრისხანე მეტოქეს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს და მე-60 წუთამდე იგებდნენ კიდეც - 22:20.

ტულუზელებმა ძალები დასკვნით 20 წუთში მოიკრიბეს და ნამდვილად საჩემპიონო რაგბობა აჩვენეს. საბოლოოდ კი მონაგარს კიდევ 17 ქულა მიუმატეს, მეტოქეს ჯამში ოთხი ლელო გაუტანეს და ერთი პრემიალური ქულაც მიითვალეს.

ბრეგვაძეს და კაკოვინს ტრავმების გამო არ უთამაშიათ.

უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუწია სტუმრად პარიზულ „მეტრო რასინგთან“ **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონს“. ჩვენებურთა გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში იყო და გამარჯვებას 76-ე წუთზე ინგლისელი მგეზავის **ჯონი ვილკინსონის** საჯარიმოს წყალობით მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებს ორი ლელო ავსტრალიელმა შუამარბმა **მეთ გიტომ** გაუტანა.

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს, მიქაუტაძე და ჩილაჩავა განაცხადში არ იყვნენ.

წლევანდელ სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა“, რომელმაც შინ შანსი არ დაუტოვა დივიზიონის დებიუტანტ „გრენობლს“ - 30:13. თამაში საკმაოდ უხეში გამოდგა, მატჩის არბიტრმა მორაგბეებს ხუთი ყვითელი და ერთიც წითელი ბარათი უჩვენა.

**ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ“ კი სტუმრად ვერაფერი გააწყო ბასკურ „ბაიონთან“ - 11:24. მატჩის გმირი მასპინძელთა მგეზავი ჟაკ-ლუის პოთხიტერი გახდა, რომელმაც პარიზელებს რვა საჯარიმო გაუტანა (24 ქულა). ჟვანია განაცხადში არ იყო.

### I დივიზიონი

#### II ტური

**ბორდო-პერპინიანი 26:22, მეტრო რასინგი-ტულონი 21:23, მონოელიე-კლერმონი 13:8, ტულუზი-მონ დე მარსანი 37:22, კასტრი-გრენობლი 30:13, ბაიონი-სტად ფრანსე 24:11, აჟენი-ბიარიცი 19:25.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბიარიცი - 9 ქულა, 2. ტულუზი - 9, 3. ტულონი - 8, 4. კასტრი - 5, 5. ბაიონი - 5, 6. ბოროდო - 5, 7. კლერმონი - 5, 8. მეტრო რასინგი - 5, 9. სტად ფრანსე - 4, 10. მონპელიე - 4, 11. გრენობლი - 4, 12. პერპინიანი - 2, 13. აჟენი - 2, 14. მონ დე მარსანი - 0.**

#### III ტური

**გრენობლი-სტად ფრანსე, ბიარიცი-ტულუზი, კლერმონი-პერპინიანი, კასტრი-ბაიონი, მონპელიე-აჟენი, მეტრო რასინგი-ბორდო, მონ დე მარსანი-ტულონი**

პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა ელიტური, მეორე დივიზიონის გათამაშებაში. როგორც მოსალოდნელი იყო, სავარაუდო ფავორიტებმა თავიანთი მატჩები მოიგეს. გურამ კავთიძის „ლიონმა“, რომელიც ამ დივიზიონში უძლიერესად მიაჩნიათ, შინ დაამარცხა **გიორგი ჩხაიძის, ირაკლი მირცხულავას, დავით დადუნაშვილისა და გიორგი ნემსაძის** „ტარბი“ - 30:12.

მასპინძელთა უპირატესობა მთელი მატჩის განმავლობაში აშკარა იყო, თუმცა ლიონელებმა საპრემიო ქულის აღება მაინც ვერ მოახერხეს. ჩხაიძე სტუმართა გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს, ზუსტად ამავე დროს ჩაერთნენ თამაშში კავთიძე, დადუნაშვილი, მირცხულავა და ნემსაძე.

პირველივე ტურში მოიგო დივიზიონის დებიუტანტმა **დავით აშვეთიასა და შალვა სუთიაშვილის** „მასიმ“. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი საქართველოს ნაკრების ყოფილი მეორეხაზელი **ვიქტორ დიდებულიძეა**. პარიზელებმა შინ დაამარცხეს „ექსი“ - 21:18.

თამაში, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ საკმაოდ დაძაბული გამოდგა. არბიტრმა მოედნიდან ორივე გუნდის ორ-ორი მორაგბე გაასინბინა. მათ შორის შერკინების ქართველი ბურჯი დავით აშვეთიაც, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს. სუთიაშვილი ტრავმირებულია და არ უთამაშია.

ასევე ურთულეს დაპირისპირებაში გაიმარჯვა შინ „კოლომიესთან“ **ვახტანგ მაისურაძის, ალექსანდრე თოდუასა და კახაბერ კობერიძის** „ალბიმ“ - 22:20. მაისურაძე თამაშში 66-ე წუთიდან ჩაერთო, თოდუა და კობერიძე განაცხადში არ იყვნენ.

**ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა“ სტუმრად მოუგო **ტარიელ რატიანიძის** „დაქსს“ - 31:16. დათუნაშვილმა სრულად ითამაშა, ასეიშვილი თამაშში 33-ე წუთზე ჩაერთო და შვიდ წუთში არბიტრმა სინბინში გაუშვა, ნაცარაშვილი მოედანზე 62-ე წუთიდან გამოჩნდა, რატიანიძე კი, რომელიც მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში იყო, 54-ე წუთზე შეცვალეს.

**დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა და გოდერძი შველიძის** „ბრივმა“ სტუმრად მოუგო ბექა შეყლაშვილის „ბეზიეს“ - 27:20. ხინჩაგიშვილი და შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ და მეორე ტაიმში შეცვალეს, ნატრიაშვილი და შველიძე კი თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთნენ. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე შველიძე არბიტრმა გაასინბინა.

### II დივიზიონი

#### I ტური

**ლიონი-ტარბი 30:12, ლა როშელი-ოიონაქსი 12:22, მასი-ექსი 21:18, ნარბონი-პო 13:17, ალბი-კოლომიე 22:20, დაქსი-ორიაკი 16:31, ოში-კარკასონი 24:23, ბეზიე-ბრივი 20:27**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბრივი - 4 ქულა, 2. ლიონი - 4, 3. ორიაკი - 4, 4. ოიონაქსი - 4, 5. პო - 4, 6. მასი - 4, 7. ალბი - 4, 8. ოში - 4, 9. ბეზიე - 1, 10. კარკასონი - 1, 11. კოლომიე - 1, 12. ექსი - 1, 13. ნარბონი - 1, 14. ლა როშელი - 0, 15. დაქსი - 0, 16. ტარბი - 0.**

#### II ტური

**ოში-მასი, ორიაკი-ექსი, კოლომიე-ნარბონი, ტარბი-პო, კარკასონი-ბრივი, ოიონაქსი-ალბი, ლიონი-ბეზიე, ლა როშელი-დაქსი.**



ირაკლი მირცხულავა (N 23), გიორგი ნემსაძე (N 18) და დავით დადუნაშვილი (N 17)

ოთხი ერი



ეროვნული ბიბლიოთეკა

პუმები ზეიმობენ

# პუმების მოგების ტოლფასი ფრე

**ოთხი ერის გათამაშების მეორე ტურში არგენტინისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებების დაპირისპირება სენსაციურად დასრულდა. ცხადია, ყველამ იცოდა, რომ არგენტინულ მენდოსაში „ბოკეს“ იოლი გასეირნება არ ელოდა, მაგრამ იმას, რომ წაგებას გადაურჩებოდა, ვერავინ იფიქრებდა.**

არგენტინელები საკუთარ კედლებში განსაკუთრებული თავდადებით რომ იბრძვიან, ეს სიახლე არავისთვისაა. მაგრამ სამხრეთ აფრიკასთან მატჩში მათ მართლაც გმირულად იბრძოლეს, თუმცა მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ - 16:16.

ანგარიში მასპინძელთა ფულბეკმა **მარტინ როდრიგესმა** საჯარიმოთი გახსნა მე-11 წუთზე - 3:0, ხუთ წუთში კი მორკინალთა დარტყმების შემდეგ შუამარბმა **სანტიაგო ფერნანდესმა** მეტოქის ხაზის გაჭრა მოახერხა და ლელო მიითვალა, რომელიც როდრიგესმა გარდასახა. არგენტინელები ათი ქულით დაწინაურდნენ - 10:0.

სამხრეთაფრიკელები მეტოქის ასეთმა კადნიერებამ ოდნავ დააბნია და ანგარიშში სხვაობის შემცირება მხოლოდ 32-ე წუთზე შეძლეს, როცა „ბოკეს“ მგეზავმა **მორნი სტეინმა** 30 მეტრიდან საჯარიმო გაიტანა - 3:10. თუმცა „პუმები“ ამას არ შეუშინებია და სამ წუთში როდრიგესმა საჯარიმოთივე აღადგინა ათქულიანი უპირატესობა - 13:3. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ საწყისი ათი წუთი იგივე სცენარით მიმდინარეობდა, როგორითაც პირველი ტაიმი. გუნდებმა თითო-თითო საჯარიმო გაცვალეს - 16:6. ამის შემდეგ უპირატესობას სამხრეთაფრიკელები დაეუფლნენ. 54-ე წუთზე მორნი სტეინმა მორიგი საჯარიმო მიითვალა, მერე კი 65-ე წუთზე შუამარბმა **ფრანსუა სტეინმა** შეძლო ლელოს გატანა, რომელიც მისმა მოგვარე მგეზავმა გარდასახა - 16:16.

მატჩის დასრულებამდე 15 წუთი იყო დარჩენილი და დიდი მცდელობის მიუხედავად მონაგარს გუნდებმა ვერაფერი შემატეს.

ახალი ზელანდიის ნაკრებმა კი „ბლედისლოუს თასი“ შეინარჩუნა. ერთი კვირის წინათ სიდნეიში გამარჯვების შემდეგ, „ოლ ბლექსმა“ ავსტრალიის ნაკრებს ოქლენდშიც სძლია - 22:0. ამდენად, მესამე შეხვედრაში, რომელიც ოთხი ერის გათამაშების შემდეგ ამ გუნდებს შორის გაიმართება, ავსტრალიის ნაკრებს მხოლოდ პრესტიჟის დაცვა მოუწევს.

ახალზელანდიელთა უპირატესობა აშკარა იყო, რაც ზუსტად აისახა კიდეც მატჩის ანგარიშზე. „ვოლაბები“ უქულოდ დარჩნენ, რაც ამ გუნდის ისტორიაში უიშვიათესი ამბავია. „ოლ ბლექსმა“ ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა მწვრთნელის დავალება და მეტოქე მეორე ტაიმში საბოლოოდ გატეხა.

პირველი ნახევარი კი მასპინძლებმა 9:0 მოიგეს. სამი საჯარიმო მგეზავმა **დენ კარტერმა** მიითვალა. მეორე ტაიმში „ოლ ბლექსმა“ ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერა და ფულბეკი **იზრაელ დაგის** ლელოს კარტერმა კიდევ ორი საჯარიმო მიუმატა. ახალი ზელანდიის ნაკრები, როგორც უკვე ვთქვით, „ბლედისლოუს თასს“ დაეუფლა და ოთხი ერის გათამაშებაშიც გალიდერდა.

### ახალი ზელანდია-ავსტრალია 22:0

ახალი ზელანდია (15-9) დაგი (კრაენი 70), ჯეინი, ნონუ (კროკეტი 58), ვილიამსი, გეარი, კარტერი, სმიტი (ბ. ფრენქსი 54). (1-8) კროკეტი, მეალამუ (რომანო 46), ფრენქსი, ჰორი (რეტალეკი 47), ვაითლოქი, მესამი (ვიტო 64), მაქოა, რიდი.

ლ: დაგი. 5ს,გ: კარტერი

ავსტრალია (15-9) ეშლი-კუპერი, მიტჩელი (ბეილი 29), ჰორნი, ბარნსი, იოანი, კუპერი, გენია. (1-8) რობინსონი (სლიპერი 42), მური (ფაინგაა 72), ალექსანდერი, ტიმანი, შარპი, დინსი (გილი 54), ჰუპერი, ჰიგინბოთამი (სამო 46).

მსაჯი: ნაიჯელ ოუენსი (უელსი).

### არგენტინა-სამხრეთ აფრიკა 16:16

არგენტინა (15-9) როდრიგესი, კამაჩო, ბოსჰი, ფერნანდესი, აგულა, სანჩესი (ამოროსინო 54), ვერგალო (ლანდახო 54). (1-8) რონსერო (აიერსა 56), გუინაზუ, ფიგალო, კარისა, ალბასეტე, კაბელო (სენატორე 75), გალინდო (ლეონარდი 35), ფერნანდეს ლობე.

ლ: ფერნანდესი. 3ს,გ: როდრიგესი.

სამხრეთ აფრიკა (15-9) კირხნერი, ჰაბანა (პინარი 57), დე ფილიერსი, ფ. სტეინი, მვოვო, მ. სტეინი, ჰუგარი. (1-8) მთავარირა, სტრაუსი (ლიბენბერხი 75), დუ პლესი, ესტებესი, ბეკერი (ფან დერ მერვე 49), კუცია (დენიელი 64), პოთხიტერი, ალბერტსი.

ლ: ფ. სტეინი. 3ს,გ: მ. სტეინი

მსაჯი: სტიცვ ველში (ავსტრალია)

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ახალი ზელანდია - 8 ქულა, 2. სამხრეთ აფრიკა - 6, 3. არგენტინა - 2, 4. ავსტრალია - 0.**

#### III ტური

ავსტრალია-სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია-არგენტინა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ველოსპორტი. ვუელტა

# ესპანური პოდიუმი

„ვუელტას“ მერვე ეტაპი მთლიანად ესპანური პოდიუმით დასრულდა. **ალეხანდრო ვალვერდემ** წლევანდელ ველომარათონზე მეორე ეტაპი მოიგო, მასთან ერთად სამეულში კი **ხოაკიმ როდრიგესი და ალბერტო კონტადორი** მოხვდნენ.

მერვე ეტაპი პირველი იყო მრავალდღიანი ველომრბოლის მარშრუტში, რომლისთვისაც შეგვეძლო ნამდვილად სამთო რბოლა გვეწოდებინა. აქ იყო მეორე კატეგორიის სირთულის მწვერვალი დე კამერია და ფინიში პირველი კატეგორიის მთაზე - კოლადა დე ლა გალინაზე. სწორედ აქ უნდა შემოწმებულიყო ლიდერთა რეალური მზადყოფნა: რამდენად შეინარჩუნა ძალები უმძიმესი ტურ დე ფრანსის შემდეგ **კრისტოფერ ფრუმმა**, აკრიფა თუ არა ფორმა ალბერტო კონტადორმა და ბოლოს, რამდენად რეალურია ამ ვუელტაზე ხოაკიმ როდრიგესის ამბიციები.

რბოლის დასაწყისში, სწორ მონაკვეთზე გაიქცა ექვსი ველომრბოლი. დაწინაურებულებმა მაქსიმალური უპირატესობა - ცხრანახევარი წუთი დისტანციის შუაში მოიპოვეს, მაგრამ თანდათან „თიმ სქაის“ მონდომებით სხვაობამ შემცირება დაიწყო. პელოტონი ფინიშამდე ხუთი კილომეტრით ადრე, საკმაოდ მჭიდრო ჯგუფად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ შეტევა წამოიწყო ალეხანდრო ვალვერდემ. Movistar-ის ლიდერი ოთხ მთავარ კონკურენტს დაშორდა - ფრუმს, როდრიგესს, კონტადორსა და **დანი მორენოს**, მაგრამ ინგლისელი თავის დამხმარესთან ერთად დაეწია ესპანელს და ბრძოლა თავიდან დაიწყო. შემდეგ, თავად ფრუმმა, ვალვერდემ და კონტადორმა შეუტიეს და მათ შეძლეს როდრიგესის უკან ჩამოტოვება, მაგრამ მცირე ხნით. შესანიშნავი გუნდური მოქმედება აჩვენა მორენომ, რომელმაც ლიდერთა ჯგუფთან მიიყვანა როდრიგესი და შემდეგ შეტევის საშუალება მისცა მას.

როდრიგესის შეტევას კონკურენტებმა დიდი გაჭირვებით გაუძლეს, შემდეგ კი თავისი საფირმო იერიში დაიწყო კონტადორმა და ფინიშამდე 500 მეტრით ადრე, მის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. მაგრამ ვალვერდემ და როდრიგესმა დროულად წამოიწყეს კონტრშეტევა. საბოლოოდ, უკეთესი სპრინტერული თვისებების მქონე ვალვერდემ მოიგო ფინიში და უკან ჩამოიტოვა როდრიგესი და კონტადორი. ფრუმი დაუცველი აღმოჩნდა ესპანური შეტევების წინაშე და მორიგი 15 წამი დაკარგა. ასე რომ, ადგილობრივმა ველომრბოლებმა რევანში აიღეს მეექვსე ეტაპზე „სქაის“ არაჯენტლმენური იერიშის გამო, როცა პოზიციები დაკარგა ვალვერდემ.

ახლა, ალეხანდრო ოთხეულში დაბრუნდა და სწორედ ამ კვარტეტში უნდა ვეძებოთ ვუელტას მომავალი გამარჯვებული. როდრიგესმა გენერალურ კლასიფიკაციაში უკვე ნახევარწუთიანი უპირატესობა მიიღო, კონტადორმა კი ჯერ ვერ წარმოაჩინა თავისი საუკეთესო თვისებები.

**VII ეტაპი**

**უესკა-ალკანისი (164.2 კმ)**

1. **იონ დეგენკოლბი** (გერმანია, Argos) - 3.48,30; 2. **ელია ვივიანი** (იტალია, Liquigas) - იგივე დრო; 3. **ალენ დევისი** (ავსტრალია, GreenEdge) - იგივე დრო; 4. **ნასერ ბუჰანი** (საფრანგეთი, FDJ) - იგივე დრო; 5. **დანიელე ბენატი** (იტალია, Radioshack) - იგივე დრო; 6. **ჯანი მერსმანი** (ბელგია, Lotto) - იგივე დრო...

**VIII ეტაპი**

**ლეიდა-ანდორა (174.7 კმ)**

1. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, Movistar) - 4.06,39; 2. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატიუშა“) - იგივე დრო; 3. **ალბერტო კონტადორი** (ესპანეთი, Saxo Bank) - იგივე დრო; 4. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი, Sky) - +0,15; 5. **დანიელ მორენო** (ესპანეთი, „კატიუშა“) - +0,23; 6. **ბენატ ინჩაუსტი** (ესპანეთი, Movistar) - +0,33...

**საერთო ჩათვლა**

1. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, “კატიუშა”) - 29.59,35; 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი, Sky) - +0,33; 3. **ალბერტო კონტადორი** (ესპანეთი, Saxo Bank) - +0,40; 4. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, Movistar) - +0,50; 5. **რობერტ ჰესინკი** (ჰოლანდია, Rabobank) - +1,41; 6. **დანიელ მორენო** (ესპანეთი, „კატიუშა“) - +1,48...



ალეხანდრო ვალვერდე

# ინდურაინი არმსტრონგს იცავს

ტურ დე ფრანსის ხუთგზის ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ესპანელმა **მიგელ ინდურაინმა** გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ **ლენს არმსტრონგისთვის** მრავალრიცხოვანი ტიტულების ჩამორთმევა მხოლოდ იმ ორგანიზაციას შეუძლია, რომლის ავტორიტეტი საყოველთაოდ არის აღიარებული. ასეთი პოზიცია დააფიქსირა ინდურაინმა ბოლო დღეების მთავარ სკანდალზე, რომელიც ამერიკის ანტი-სადოპინგო სააგენტოს მიერ ლენს არმსტრონგის დისკვალიფიკაციასა და მისთვის 1999 წლიდან დღემდე მოპოვებული ტიტულების ჩამორთმევას ითვალისწინებს. შეგახსენებთ, რომ ამერიკელმა კარიერაში შვიდჯერ მოიგო ტურ დე ფრანსი.

*„სანამ საყოველთაოდ აღიარებული ორგანიზაცია არ გადაწყვეტს არმსტრონგისთვის ტიტულების ჩამორთმევას, ტურ დე ფრანსზე მოპოვებული ყველა გამარჯვება მას უნდა დარჩეს. საქმე ისაა, რომ იქმნება სიტუაცია, როცა ძალიან ბევრი სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნული ინსტანცია თავის ინტერესებს იცავს დოპინგთან ბრძოლის საქმეში. მაგალითად, ამერიკის ანტი-სადოპინგო სააგენტოს მიერ წამოწყებული საქმე ლენს არმსტრონგის წინააღმდეგ, ძალიან უცნაურად მეჩვენა“*, - დაწერა თავის ბლოგში სახელოვანმა ესპანელმა.

■ ■ ■

ამასობაში, ლენს არმსტრონგი პირველად გამოჩნდა პუბლიკის წინაშე მას შემდეგ, რაც USADA-მ მას ტიტულები ჩამოართვა. ამერიკელმა საჩვენებელი რბოლა გამართა ასპენში.

*„ვფიქრობ, ხალხს ესმის, რომ წინ ბევრი საქმე მაქვს. მოხარული ვარ, რომ შევძელი ამ რბოლის ორგანიზება. იმასაც ვხედავ, რომ გულშემატკივრები მხარს მიჭერენ. უფრო მეტიც, უდიდესი შვება ვიგრძენი, როცა ის ტვირთი მომეხსნა, რომელიც კისერზე მთელი ათი წლის განმავლობაში მეკიდა.*

*არაფერზე ვწუხვარ. მყავს ხუთი შესანიშნავი შვილი და კარგი მეუღლე. შევქმენი კიბოსთან ბრძოლის ფონდი, გავაგრძელებთ მშვიდად მუშაობას და ყურადღებას არ მივაქცევ წარმოქმნილ ხმაურს“*, - განაცხადა ამერიკელმა მრბოლელმა.

არმსტრონგი და ინდურაინი



კალათბურთი

# დიადი მამის უღირსი შვილი

ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანის** ვაჟი - მარკუსი 250 დოლარით დააჯარიმეს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და ხულიგნობისთვის, - წერს სააგენტო AP.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მარკუსს პრობლემები შეექმნა სამართალდამცავებთან. ივლისის დასაწყისში, მას სასტუმროს შენობასთან ახლოს ლამის ორ საათზე ხმაურიანი გარჩევა ჰქონდა ორ ქალთან. სასტუმროს ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა პოლიციები გამოიძახა, თუმცა მათ ძალიან გაუჭირდათ პირველ ჯერზე უმცროსი ჯორდანის დაშოშმინება.

მარკუსი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, გარკვეული ხნის შემდეგ კი თავდებით გაუშვეს. პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, ჯორდანი ძლიერი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და უარს აცხადებდა მათთან თანამშრომლობაზე.

საბოლოოდ, მარკუს ჯორდანს 250 დოლარის ოდენობის ჯარიმა დაუწესეს. ეს თანხა მის ოჯახს არ გაალარიბებს და ახლა, როგორც ჩანს, მარკუსის მორიგ გმირობებს უნდა ველოდოთ.

ცხელი ხაზი

**27 აგვისტო. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XIX ტური. კრუზეირო-ატლეტიკო მინეირო.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. შტუტგარტი-ვოლფსბურგი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. სტოკი-არსენალი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. III ტური. აიაქსი-ბრედა.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. IV ტური. რივერ პლეიტი-სან ლორენცო.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. ფიურტი-ბაიერნი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ვერდერი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ოკლაჰომა-სან ანტონიო.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-სან პაულუ.
17:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. გლაზგო-ლენსტერი.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ნიუკასლი.
22:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
22:30 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ოკლაჰომა-სან ანტონიო.
00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ტორონტო. კანადა.
11:30 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-ახალი ზელანდია.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 ჩოგბურთი. WTA -ის ტური. ლუქსემბურგი.
15:40 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ინდიანა-მაიამი.
17:40 სპორტ-NEWS.
18:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ბაზელი-კლუჟი. I მატჩი.
20:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ოკლაჰომა-ლეიკერსი.
22:00 ჩოგბურთი. WTA -ის ტური. ლუქსემბურგი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 20 | 35 | (მზე) |
| ქუთაისი | 25 | 38 | (მზე) |
| ბათუმი | 24 | 34 | (მზე) |
| ფოთი | 24 | 35 | (მზე) |
| ზუგდიდი | 23 | 36 | (მზე) |
| გორი | 22 | 36 | (მზე) |
| თელავი | 20 | 33 | (მზე) |
| სიღნაღი | 19 | 32 | (მზე) |
| ქობულეთი | 23 | 34 | (მზე) |
| ბაკურიანი | 12 | 28 | (მზე) |
| ბორჯომი | 14 | 34 | (მზე) |
| მესტია | 12 | 31 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0654 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6489 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6125 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1836 |

კალათბურთი. ევრობასკეტი 2013

**A ჯგუფი**

**სერბეთი-ესტონეთი 88:63**
26:15, 24:13, 20:13, 18:22
ს: ტეოდოშიჩი (12+5 პასი), კრსტიჩი (12+5 მოხსნა), ანჯუშიჩი (11), კეშელი (9+8 მოხსნა).
ე: ჰალიკი (11), ვენე (10+7 მოხსნა).

**სლოვაკეთი-ისრაელი 64:82**
20:27, 15:20, 12:22, 17:13
ს: ჰაველი (22+5 პასი).
ი: ტაიუსი (18+7 მოხსნა), ელიაჰუ (14).

**ჩერნოგორია-ისლანდია 85:67**
26:15, 22:17, 12:13, 25:22
ჩ: დუბლიევიჩი (16), დაშიჩი (15+7 მოხსნა+6 პასი), შეჰოვიჩი (14), სეკულიჩი (13+9 მოხსნა), პოპოვიჩი (10+5 მოხსნა).
ი: ბაერინსონი (19+6 მოხსნა), სიგურდსონი (15), სტეფანსონი (13), პალსონი (13).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 4 | 4 | 0 | 310-271 | 8 |
| 2. სერბეთი | 4 | 3 | 1 | 343-285 | 7 |
| 3. ისრაელი | 4 | 2 | 2 | 347-310 | 6 |
| 4. ესტონეთი | 4 | 2 | 2 | 310-325 | 6 |
| 5. ისლანდია | 4 | 1 | 3 | 309-361 | 5 |
| 6. სლოვაკეთი | 4 | 0 | 4 | 284-351 | 4 |

**შემდეგი ტური:** 27 აგვისტო. სლოვაკეთი-ჩერნოგორია, ისლანდია-ესტონეთი.

**B ჯგუფი**

**გერმანია-შვედეთი 81:66**
19:17, 26:11, 21:14, 15:24
გ: შაფარციკი (15+5 პასი), ბენცინგი (15), შტაიგერი (12).
შ: ჟერებკო (22), მარაკერი (8+8 მოხსნა).

**ლუქსემბურგი-ბულგარეთი 68:94**
18:22, 18:27, 12:20, 20:25
ლ: შუმახერი (22+4 პასი), კოსტერი (11).
ბ: ვიდენოვი (19+6 მოხსნა+6 პასი), ნიკოლოვი (16+7 მოხსნა), ლილოვი (16), კოსტოვი (11+6 მოხსნა), სიმონსი (9+10 მოხსნა).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 3 | 3 | 0 | 264-189 | 6 |
| 2. ბულგარეთი | 4 | 2 | 2 | 315-311 | 6 |
| 3. აზერბაიჯანი | 3 | 2 | 1 | 268-247 | 5 |
| 4. შვედეთი | 3 | 1 | 2 | 235-238 | 4 |
| 5. ლუქსემბურგი | 3 | 0 | 3 | 199-296 | 3 |

**შემდეგი ტური:** 27 აგვისტო. შვედეთი-ლუქსემბურგი, აზერბაიჯანი-გერმანია.

**C ჯგუფი**

**კვიპროსი-უკრაინა 47:68**
10:16, 12:14, 16:15, 9:23
კ: კინგი (13+14 მოხსნა), ტრისოკასი (12+6 მოხსნა).
უ: ზაბირჩენკო (15), პუსტოზვონოვი (14).

**ხორვატია-უნგრეთი 89:65**
20:14, 27:18, 20:18, 22:15
ხ: უკიჩი (18), ანდრიჩი (15+5 მოხსნა), მარკოტა (12), ბოგდანოვიჩი (11), ზორიჩი (10).
უ: ჰანგა (19), მოივოდა (10).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. უკრაინა | 4 | 3 | 1 | 285-255 | 7 |
| 2. ხორვატია | 3 | 3 | 0 | 262-182 | 6 |
| 3. ავსტრია | 3 | 1 | 2 | 221-228 | 4 |
| 4. უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 217-241 | 4 |
| 5. კვიპროსი | 3 | 0 | 3 | 171-250 | 3 |

**შემდეგი ტური:** 27 აგვისტო. უნგრეთი-კვიპროსი, ავსტრია-ხორვატია.

**E ჯგუფი**

**ფინეთი-ბელგია 97:60**
19:18, 18:14, 28:11, 32:17
ფ: კოპონენი (21+8 პასი), ჰუფი (17), კოივისტო (12), კოტი (11+6 მოხსნა+3 ჩაჭრა).
ბ: ვან როსომი (11).

**ალბანეთი-პოლონეთი 67:105**
19:28, 14:28, 16:14, 18:35
ა: ნდოია (16), ლუკა (14), შიმა (14+5 მოხსნა), ჰისენაგოლი (13+7 მოხსნა).
პ: პონიტკა (17+3 ჩაჭრა), ზამოისკი (14+7 მოხსნა), ინგერსკი (14), გორტატი (11+8 მოხსნა), კოშარეკი (10+6 პასი).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფინეთი | 3 | 3 | 0 | 290-216 | 6 |
| 2. პოლონეთი | 4 | 2 | 2 | 321-278 | 6 |
| 3. ბელგია | 3 | 2 | 1 | 222-203 | 5 |
| 4. შვეიცარია | 3 | 1 | 2 | 191-229 | 4 |
| 5. ალბანეთი | 3 | 0 | 3 | 195-293 | 3 |

**შემდეგი ტური:** 27 აგვისტო. შვეიცარია-ფინეთი, ბელგია-ალბანეთი.

**F ჯგუფი**

**ბელარუსი-იტალია 63:84**
16:22, 17:17, 10:19, 20:26
ბ: კუდრიავცევი (19+5 პასი), პარახოვსკი (9+5 მოხსნა).
ი: დატომე (22+6 მოხსნა), გალინარი (19+5 მოხსნა), პოეტა (11), არადორი (10).

**თურქეთი-პორტუგალია 74:62**
17:17, 25:14, 20:16, 12:15
თ: ერდენი (19), ჩეთინი (16), გიონლუმი (10+6 მოხსნა).
პ: გომეში (19+8 მოხსნა), ფონსეკა (16+10 მოხსნა), სანტუში (10+7 მოხსნა).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 4 | 4 | 0 | 322-230 | 8 |
| 2. თურქეთი | 3 | 2 | 1 | 220-214 | 5 |
| 3. ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 200-195 | 5 |
| 4. ბელარუსი | 3 | 0 | 3 | 202-234 | 3 |
| 5. პორტუგალია | 3 | 0 | 3 | 174-245 | 3 |

**შემდეგი ტური:** 27 აგვისტო. ჩეხეთი-თურქეთი, პორტუგალია-ბელარუსი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ჩოგბურთი. ტურნირების წინ

# რეპეტიცია კვიტოვამ მოიგო

ჩვეულებრივ, „დიდი სლემის“ ჩემპიონატის წინ, სათამაშო კვირა შემოკლებული იყო - ყველა ფინალი პარასკევსა და შაბათს ჩატარდა. მოახლოებული ამერიკის ღია პირველობის მიუხედავად, შეჯიბრებები საკმაოდ საინტერესო და წარმომადგენლობითი გამოვიდა.

თუმცა დალასის ტურნირს გამოაკლდა პირველ ნომრად განთესილი - **ანჟელიკ კერბერი**, რომელმაც განაცხადის გამოტანა გადაწყვიტა. სხვა ფავორიტები სტაბილურად თამაშობდნენ - შვიდი განთესილიდან ხუთმა მიაღწია მეოთხედფინალამდე. **ელენა იანკოვიჩს** უკვე პირველივე წრეში სერიოზული გამოცდა ელოდა - მატჩი **იაროსლავა შვედოვასთან** სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა. თუმცა სერბი შემდეგ კარგ ფორმაში შევიდა და სამ მატჩში ორ სეტში გაიმარჯვა. ნახევარფინალში ის ავსტრალიელ **კეისი დელაკუას** გაუმკლავდა - 7:5, 6:4. მეორე ნახევარფინალში **რობერტა ვინჩიმ** გააგრძელა სერბების რბევა: ცოტა ხნის წინ **ანა ივანოვიჩის** განადგურების (6:0, 6:0) შემდეგ, მან ასეთივე ანგარიშით დაამარცხა **ბოიანა იოვანოვსკი**, ფინალში კი მესამე სერბზე - იანკოვიჩზე ძლიერიც აღმოჩნდა - 7:5, 6:3. რობერტამ კარიერაში პირველი ტიტული მოიგო ჰარდზე - მანამდე მას ხუთი გამარჯვება ჰქონდა გრუნტზე და ერთი - ბალახზე.

■ ■ ■

მეორე ამერიკულ ქალაქში - ნიუ ჰევენში უფრო პრესტიჟული ტურნირი იმართებოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ აქ განთესვის ლიდერები იყვნენ **აგნიეშკა რადვანსკა** და **პეტრა კვიტოვა**. თუმცა პოლონელმა მხოლოდ ერთი გეიმი მოიგო და 0:6, 1:2-დან შეწყვიტა ბრძოლა **ოლგა გოვორცოვასთან** მატჩში. უარის ოფიციალური მიზეზი მხარის ტრავმა იყო, თუმცა აგნიეშკამ აღიარა, რომ ამერიკის ღიას წინ დასვენება სჭირდებოდა. ამან ბადის ზედა ნაწილიდან ფინალამდე **მარია კირილენკოს** გაუხსნა გზა. თავიდან მან **შაარ პეერი** დაამარცხა (6:2, 6:2), შემდეგ უბრძოლველად გავიდა მეოთხედფინალში **მონა ბარტელის** უარის გამო, გოვორცოვას მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო (6:1, 6:2), ხოლო ნახევარფინალში **კაროლინ ვოზნიაცკისთან** ერთი სეტი ჩატარდა - საინტერესო და დაძაბული პარტიის შემდეგ (კირილენკომ 7:5 მოიგო), კაროლინმა მუხლის ტრავმის გამო მიატოვა ბრძოლა.

ასე რომ, დანიელმა პირველი მარცხი იწვნია ნიუ ჰევენში ბოლო ხუთი ტურნირის განმავლობაში - ის აქ 2008-11 წლებში იმარჯვებდა. ახალი ჩემპიონი



კირილენკო ან კვიტოვა უნდა გამხდარიყო. ჩეხმა დამაჯერებლად გაიარა მთელი დისტანცია და არც ერთი სეტი არ წაუგია, ნახევარფინალში კი **სარა ერანი** გაანადგურა - 6:1, 6:3. ფინალი საინტერესო და დრამატული გამოვიდა. ჩოგბურთელები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, რადგან მანამდე ხუთჯერ შეხვდნენ და რუსი წინ იყო - 3:2.

პირველ პარტიაში მცირე უპირატესობა ჩეხს ჰქონდა, მაგრამ მარიამ სამჯერ დაიბრუნა დაკარგული ბრეიკი, მათ შორის, 5:6-ზე. ტაი-ბრეიკის სცენარიც მთლიანად პარტიის მიმდინარეობას ჰგავდა - კვიტოვა მუდმივად წინ იყო, მაგრამ კირილენკო ეწეოდა მას და ერთხელ თავის მოწოდებაზე სეტბოლიც მიიღო, თუმცა მაინც დათმო პირველი პარტია.

რუსმა ძალიან კარგად დაიწყო მეორე სეტი, კვიტოვამ კი შეცდომებს უმატა და მოწოდებაც აღარ მისდიოდა. პეტრამ ზედიზედ 12 ქულა წააგო, რამაც კირილენკოს 5:2 დაწინაურების საშუალება მისცა. მაგრამ მარიამ, რომელსაც ისევ ჰქონდა სეტბოლი, ორჯერ სეტზე ვერ ჩააწოდა და ცუდად ჩაატარა პარტიის ბოლო ნაწილი - 6:7(9), 5:7.

წაგების მიუხედავად, კირილენკო ამ კვირას, კარიერაში პირველად აიწევს რეიტინგის მე-12 ადგილამდე. კვიტოვა კი ამერიკული საჰარდო სერიის გამარჯვებული გახდა.

**WTA**

**Texas Tennis Open**

დალასი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**რობერტა ვინჩი (იტა, 3)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 2) 7:5, 6:3.

**New Haven Open**

ნიუ ჰევენი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 637 000 დოლარი

**ფინალი**

**პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 2)**-მარია კირილენკო (რუს, 7) 7:6(9), 7:5.

# ტურნირი ისნერმა მოიგო, სერია – ჯოკოვიჩმა

მამაკაცები ერთადერთ ტურნირში - ამერიკის ქალაქ უინსტონ-სალემში არკვევდნენ ურთიერთობას. ამერიკული ტურნირების სერიაში ლიდერი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** იყო, მაგრამ თუ ამერიკელი **სემ კუერი** უინსტონ სალემში მთავარ პრიზს მოიგებდა, მოახერხებდა სერბის უკან ჩამოტოვებას.

კუერიმ მეოთხედფინალამდე მიაღწია და იქ მხოლოდ გადამწყვეტი სეტის ტაი-ბრეიკზე დაამარცხა უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი**. ნახევარფინალში მისი შემდეგი მეტოქე ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** იყო. სემმა ვერ მოახვია თავს ბრძოლა ბერდიხს და 4:6, 3:6, წააგო. მეორე ნახევარფინალი უფრო დრამატული გამოდგა - **ჯონ ისნერმა** გამარჯვება გამოსტაცა **ჟო-ვილფრიდ ცონგას** - 6:4, 3:6, 7:6(3). ამაში მას 24 ეისი დაეხმარა.

ჯონმა ამ მარათონის შემდეგ მოასწრო ძალების აღდგენა და ფინალში კიდევ ერთი თრილერი შემოგვთავაზა ბერდიხის წინააღმდეგ. ამერიკელმა სამი მატჩბოლის მოგერიება შეძლო, თანაც პირველ ცდაზე ჩეხმა ბრწყინვალე შანსი ვერ გამოიყენა, როცა ჰაერიდან იოლი ბურთი ვერ მოახვედრა კორტში. ჯონმა კი ადგილობრივი პუბლიკის დახმარებით გამარჯვებამდე მიიყვანა საქმე - 3:6, 6:4, 7:6(9).

■ ■ ■

ასე რომ, ნოვაკ ჯოკოვიჩი გახდა ამერიკული საჰარდო ტურნირების სერიის (US Open Series) გამარჯვებული.

მსოფლიოს მეორე ნომერმა ტორონტოში გამარჯვებისთვისა და ცინცინატის მასტერსის ფინალში გასვლისთვის 170 ქულა აიღო, რაც საკმარისი აღმოჩნდა მთავარი პრიზის მოსაპოვებლად. შეგახსენებთ, რომ შარშან ეს სერია ამერიკელმა **მერდი ფიშმა** მოიგო.

ასე რომ, თუ ჯოკოვიჩი შეძლებს ამერიკის ღიაზე შარშანდელი ტიტულის შენარჩუნებას, ის დამატებით მილიონ დოლარს მიიღებს.

**ATP**

**Citi Open**

უინსტონ სალემი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 553 125 დოლარი

**ფინალი**

**ჯონ ისნერი (აშშ, 3)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 2) 3:6, 6:4, 7:6(9).



ჯონ ისნერი




კრივი

# გერმანული დერბი სომეხმა მოიგო

სომხური წარმოშობის გერმანელმა მოკრივემ **არტურ აბრაჰამმა** ბერლინში გამართულ ბრძოლაში ჩამოართვა მეორე საშუალო წონაში WBO-ის ტიტული თანამემამულე **რობერტ შტიგლიცს**. აბრაჰამი მთელი ბრძოლის განმავლობაში ფლობდა ინიციატივას და ქულებით გაიმარჯვა.

ექსპერტები ფავორიტად საშუალო წონაში ყოფილ ჩემპიონ არტურ აბრაჰამს მიიჩნევდნენ. ის მეტოქეზე უფრო დიდი და ძლიერი ჩანდა და მზად იყო ერთი დარტყმით მოელო ბოლო მეტოქისთვის. სწორედ მომაკვდინებელი დარტყმა მიიჩნევა აბრაჰამის სავიზიტო ბარათად. მოწინააღმდეგისგან განსხვავებით, შტიგლიცი უფრო მოძრავი ჩანდა და იმის იმედი უნდა ჰქონოდა, რომ სხვადასხვა მხრიდან შეტევებით გაარღვევდა აბრაჰამის დაცვას

სასტარტო რაუნდები აბრაჰამს დარჩა, რომელიც წარმატებით ახორციელებდა გვერდით დარტყმებს. თუმცა შემდეგ რაუნდებში შტიგლიცის ჯერი დადგა, მაგრამ ინიციატივის მოპოვების მიუხედავად, აბრაჰამის დაცვას ვერაფერი მოუხერხა.

ბრძოლის შუაში ცხადი გახდა, რომ შტიგლიცი თავის მეტოქეს ახალს ვერაფერს სთავაზობდა, არადა, ინიციატივა ისევ მის ხელში იყო. ჩანდა, რომ ქულებით წინ იყო აბრაჰამი, რომლის დარტყმები, პერიოდულად, მიზანს აღწევდა. მეშვიდე-მერვე რაუნდებში აბრაჰამმა ვერ მოითმინა, შეტევაში წავიდა და სერიოზული ზეწოლა განახორციელა რობერტზე.

მოგვიანებით, ფავორიტმა შეტევის საშუალება მისცა შტიგლიცს და აბრაჰამი ბაგირებთანაც კი მიიმწყვდიეს, მაგრამ ჩემპიონი ისევ უინტერესოდ ჩხუბობდა: აბრაჰამმა მოუწოდა მეტოქეს უფრო ძლიერად დაერტყა, მაგრამ ამასობაში გონგის ხმა გაისმა.

მეცხრე რაუნდში შტიგლიცს ორი გვერდითი დარტყმა გამოუვიდა, მაგრამ ბრძოლის უფრო გახსნა არ გარისკა, რადგან საპასუხო დარტყმებს შეუშინდა. თუმცა მეათე რაუნდში ჩემპიონი დაზიანებას ვერ გადაურჩა - შტიგლიცს თვალის ქვეშ ჭრილობა გაეხსნა. მას ისლა რჩებოდა წინ წასულიყო და ნოკდაუნი მაინც მოეპოვებინა.

მე-12 რაუნდში შტიგლიცმა ჩაატარა შეტევა და ისევ მიიმწყვდია აბრაჰამი ბაგირებზე. ამ რაუნდში არტურს მოგებისთვის არაფერი გაუკეთებია, მაგრამ არც შტიგლიცს ჰქონდა საკმარისი დროს იმისთვის, რომ საბოლოო გამარჯვება მოეპოვებინა. ყოველ შემთხვევაში, ფინალური გონგის შემდეგ, აბრაჰამის გუნდში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გამარჯვება და საჩემპიონო ქამარი მათ დარჩებოდათ. ასეც მოხდა - ყველა მსაჯმა უპირატესობა აბრაჰამს მისცა - 116:112, 116:112, 115:113 და არტურმა ჩამოართვა საჩემპიონო ქამარი შტიგლიცს.

დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა; რომ ახლა, არტურ აბრაჰამს ელის ბრძოლა საშუალო წონაში WBA-ის სუპერჩემპიონ **ფელიქს შტურმთან.**

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384.* *ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**